# სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ IV კვარტალის ანგარიში

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიზანია აწარმოოს მაღალი ხარისხის მედიალური პროდუქტები და მოემსახუროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა სამაუწყებლო პლატფორმას. დანერგოს და გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები. გაზარდოს ფასეულობა დანახარჯთან მიმართებაში. შეიქმნას ეფექტური საპარტნიორო გარემო, უზრუნველყოს ორგანიზაციის, სტრუქტურის, პროცეცების და თანამშრომლების ეფექტიანობა და ეფექტურობა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი, რომელშიც თავის მხრივ შედის ახალი ამბების სამსახური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების სამსახური, საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯგუფი, წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი. ახალი ამბების ბლოკი აგებულია მულტიმედიური სამსახურების პრინციპით. მაგალითად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების სამსახური ქმნის გადაცემებს მაუწყებლის ყველა არხისათვის (1-ლი და მე-2 სატელევიზიო არხები, საზოგადოებრივი რადიო 1). სამსახური ასევე უზრუნველყოფს გადაცემების მხარდაჭერას ინტერნეტით (მაუწყებლის ვებ-გვერდი, YouTube, Facebook). ანალოგიური პრინციპით მუშაობს ახალი ამბების სამსახური და მსგავსი სქემით იმუშავებს საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯგუფი.

საერთო ჯამში ახლი ამბების ბლოკში 180-მდე თანამშრომელი მუშაობს: სამსახურების

ხელმძღვანელები, პროდუსერები, ტექნიკური პროდუსერები, რედაქტორები, წამყვანები, კორესპონდენტები, კოორდინატორები და სხვ.


სამეურვეო საბჭო
გენერალური დირექტორი
აღმასრულებელი საბჭო
ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი
ახალი ამბების სამსახური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების სამსახური
საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯგუფი
წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი
მოამბე
მოამბე რადიო 1-ზე
ბრიუსელის ბიურო
პოლიტიკური გადაცემები 1-ელ ტელეარხზე
პოლიტიკური გადაცემები მე-2 ტელეარხზე
რადიო 1-ის პოლიტიკური თოქ-შოუები

საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ „სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმის“ შექმნა რამდენიმე წელს მოითხოვს და ჩვენ შემთხვევაშიც ის ეტაპობრივად ხორციელდება.

დღეისათვის სახეზეა საინფორმაციო სამსახურის კროს-მედიური კონვერგენცია, რაც გამოიხატება შემდეგ ფაქტორებში:

- მედიაპლატფორმის (ტელე, რადიო და ვებგვერდი) საინფორმაციო სამსახურები ფიზიკურად სხვადასხვა ნიუსრუმებში მუშაობენ;
- საინფორმაციო გამოშვებები ერთობლივად იგეგმება. საინფორმაციო სამსახურებს შორის კოორდინაცია პროდუსერების დონეზე ხდება;
- ჟურნალისტები მიკუთვნებულნი არიან კონკრეტულ მედია პლატფორმას და მულტიმედიურ პროდუქტს როგორც წესი არ ქმნიან;

დღეისათვის მულტიმედიური ინტეგრირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „მოამბის“ ბრიუსელის და რეგიონალური ბიუროები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრიუსელის ბიუროს ჟურნალისტის ქეთი ქარდავას მუშაობა, რომელიც თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად აქტიურად იყენებს საკუთარ სოციალურ მედიას, მასალებს ამზადებს, როგორც ტელეეთერისთვის ასევე რადიოსთვის.

საზოგადოებრივი რადიოს ეთერში აქტიურად ისმის „მოამბის“ რეგიონული ჟურნალისტების ჩართვები.

ანალოგიური სქემით მუშაობენ „მოამბის“ ჟურნალისტები, რომლებიც რეგიონში ან უცხოეთში მივლინებით იმყოფებიან. ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მხოლოდ ტელე ჯგუფის გაშვება. მივლინებების დროს, ტელეჟურნალისტები რადიოს პირდაპირ ეთერში ერთვებიან და რადიოს რედაქციას ოპერატიულ ინფორმაციას აწვდიან.

### 1.1 მიზნები და პრინციპები

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი, უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზებას:

- უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- პასუხს აგებს საინფორმაციო გამოშვებების და მიმდინარე ამბების შინაარსზე, რეგიონული მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებაზე;

- უზრუნველყოფს ახალი და მიმდინარე ამბების კრიტიკულ ანალიზს სხვადასხვა მედია ფორმების საშუალებით (რადიო, ტელევიზია, ონლაინ მედია).

ახალი და მიმდინარე ამბების სტრატეგიული მიზანია:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებისა და სტრატეგიული მიზნების რეალიზება ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულებით;
- შექმნას საჯარო სივრცე დებატების, დიალოგისა და ანალიზისთვის;
- ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას, მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის ასახვას;
- შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი აუდიტორია;
- უზრუნველყოს ახალი და მიმდინარე ამბების მულტიპლატფორმული ხელმისაწვდომობა.

გაჯერებული მედიაბაზრის ფონზე ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, თუმცა უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადებული ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება.

აქტუალურობას არ კარგავს პასუხი კითხვებზე ვინ, რა, როდის და სად, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელი და პირველ რიგში ახალი ამბების ბლოკი თავის მოწოდებად და უპირატესობად მიიჩნევს გასცეს პასუხი კითხვებს: როგორ, რატომ და რა გავლენას ახდენს მოქალაქეზე ესა თუ ის მოვლენა?!

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ასახოს ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება, შესაბამისად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი წარმოაჩენს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ფასეულობასა და იდენტობას, და ამავე დროს ხელს უწყობს მათი ერთიანობის დამკვიდრებას. ახალი ამბების ბლოკი უზრუნველყოფს განსხვავებულ ინტერესთა და საჭიროებათა იდენტიფიცირებას და საკუთარ პროდუქციაში ასახვას. ეს მიმართულება სსმ-ს გამოარჩევს სხვა მაუწყებლებისგან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებულია საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე, რაც გვაიძულებს შევქმნათ მულტითემატური პროდუქცია. ობიექტური მიზეზების გამო მულტითემატური მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საზოგადოებრივ რადიოში, რომლის პროგრამულ ბადეშიც ათობით ვიწროთემატური გადაცემაა.

1. **სიახლეები**

## 2.1 სტრუქტურული ცვლილები და მისი მიზნები

2015 წლის 5 ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა ახალი სტრუქტურა, ყველა პლატფორმის (ტელე და რადიო არხები, ვებგვერდი და სიციალური მედია) საინფორმაციო სამსახურები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რედაქციები ერთ ბლოკში გაერთიანდა.

ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია გლობალური ტენდენციებით და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებით. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქამ ტრადიციული მედია გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა. 2014 წელს მოხდა ე.წ სმარტფონების რევოლუცია - ამ წელს ინტერნეტს მობილური ტელეფონით უფრო მეტი მომხმარებელი დაუკავშირდა ვიდრე კომპიუტერით. 2015 წელს სტრიმინგ-მუსიკის (მუსიკის მოსმენა ინტერნეტის გამოყენებით) აუდიტორიამ კომპაქტდისკების მომხმარებელთა რაოდენობას გადააჭარბა. განვითარებულ ქვეყნებში ახალ ამბებს ინტერნეტით უფრო მეტი ადამიანი ეცნობა ვიდრე ტელევიზიით ან რადიოთი. ყველა პროგნოზით 2020 წლამდე ვიდეოკონტენტს ინტერნეტით უფრო მეტი მოხმარებელი ნახავს ვიდრე ტელევიზორით.




ახალი რეალობის გათვალისწინებით ტელე-მაუწყებლობა აღარ არის მიბმული ტელევიზორზე და მით უმეტეს საეთერო მაუწყებლობაზე. ტელეპროგრამების ნახვა შესაძლებელია ტელევიზორით (ანტენით, კაბელით და თანამგზავრით), კომპიუტერით,

პლანშეტით და სმარტფონით. ანალოგიური სიტუაციაა რადიომაუწყებლობაში. რადიოპროგრამების მოსმენა შეიძლება რადიომიმღებით, თანამგზავრული ანტენით და კომპიუტერით. გარდა ამისა, მობილური ტელეფონი შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც რადიომიმღები, ხოლო GSM ინტერნეტი ასევე პირდაპირი ეთერის მოსმენის საშუალებას გვაძლევს.

ბოლო წლების ტენდენციამ ტრადიციული მედიასაშუალებები აიძულა რადიკალურად შეეცვალა მუშაობის პრინციპები. გამოსავალი მულტიმედიურ და ინტეგრირებული რედაქციებშია. ახალი კონცეფცია აცხადებს, რომ პრიორიტეტულია კონტენტი, რომელიც აუდიტორიას სხვადასხვა პლატფორმით და სხვადასხვა ფორმატით მიეწოდება. იგულისხმება, რომ მაუწყებელი მომხმარებელს მთელი დღის განმავლობაში ინფორმაციას აიდიტორიისთვის ხელსაყრელ დროს, ადგილზე და ფორმატით სთავაზობს. დღის სხვადასხვა მონაკვეთში მომხმარბლისათვის განსხვავებული პლატფორმაა მისაღები და მაუწყებლის შეთავაზებაც შესაბამისი უნდა იყოს.



ასეთი მიდგომის შედეგად, მომხმარებელი სხვადასხვა პლატფორმას იყენებს, თუმცა მთელი დღის განმავლობაში მედიაჰოლდინგის მომხმარებლად რჩება და სხვა რესურსს ნაკლებად მიმართავს.

ახალი მიდგომა ასევე გულისხმობს ინტერნეტის პრიორიტეტულობას, რადგან ეს პლატფორმა ყველაზე ოპერატიულია. გარდა ამისა, ინტერნეტი უზრუნველყოფს ინტერაქციას და უკუკავშირს აუდიტორიასთან.

მულტიპლატფორმული მიდგომა და ახალ ამბებზე მომუშავე სამსახურების ინტეგრაცია უზრუნველყოფს:

- დაფარვის ზონისა და აუდიტორიის გაზრდას;
  - მიწოდების ტექნიკური საშუალებების მრავალფეროვნება;
  - ახალგაზრდა აუდიტორიის მოცვა (პირველ რიგში ინტერნეტის ხარჯზე);
- ოპერატიულობის გაზრდას (სოციალური მედია და ვებ-გვერდი);
- ხარჯების ეფექტურობის გაზრდას;

## 2.2 ინტეგრირებული ნიუსრუმის დაგეგმარება



*ახალი ნიუსრუმის პროექტი*

საანგარიშო პერიოდში მომავალი ინტეგრირებული ნიუსრუმის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ეტაპი განხორციელდა. ეს პროცესი მიმდინარეობს მედია საკონსულტაციო ჯგუფის INNOVATION-ის დახმარებით. INNOVATION-ს განხორციელებული აქვს პროექტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და კომპანიის კლიენტების ჩამონათვალში არიან ცნობილი მედიაკომპანიები: BBC, The New York Times, Paris Match, Le Monde, El Mundo, Herald Tribune და სხვ.

საანგარიშო პერიოდში INNOVATION-ის ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბრიტანელი და ესპანელი ექსპერტები, ჩაატარა ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურების აუდიტი. ასევე გაიმართა იდნივიდუალური და ჯგუფური გასაუბრება თანამშრომლებთან, რომლის დროსაც ექსპერტებმა შეადგინეს თანამშრომელთა სამუშაოს დეტალური აღწერილობა.

მიღებული მონაცემების საფუძველზე კომპანიამ INNOVATION შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და ინტეგრირებული ნიუსრუმის ახალი შენობის პროექტი, რომლის პრეზენტაციაც 2016 წელს შედგა.

### 2.3 ცვლილებები „მოამბის“ ფორმატში



ბოლო წლების განმავლობაში საინფორმაციო სამსახურის საჭიროებების შეფასებისას ევროპელი ექსპერტები ხშირად მიუთითებდნენ პრობლემაზე, რომელიც ქრონომეტრაჟს უკავშირდება. შეფასებით დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „არცერთ საინფორმაციო გამოშვებას არ აქვს ფიქსირებული ხანგრძლივობა. ასევე არ არის განსაზღვრული დრო გამოშვების კონკრეტული ბლოკებისთვის ან საინფორმაციო კომპონენტებისთვის“. ასევე პრობლემატური იყო სიუჟეტების ხანგრძლივობა. მათი ქრონომეტრაჟი მნიშვნელოვნად აღემატებოდა თანამედროვე ჟურნალისტიკაში დამკვიდრებულ სტრანდარტებს.

ევროპელი ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალური საინფორმაციო გამოშვება ზედმეტად ხანგრძლივი იყო და დიდი ფორმატის მიუხედავად გამოშვებას აკლდა სტუმრები და ანალიზი. ამის გამო, ექსპერტები 20:00 საათიან გამოშვებას აფასებდნენ როგორც „სტატიკურს“.

ახალი ხელმძღვანელობის პირობებში **ქრონომეტრაჟის** თემას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. პრობლემა მთლიანად გადაჭრილი არ არის, თუმცა სახეზეა მნიშვნელოვანი პროგრესი. 20:00 საათიანი „მოამბის“ ქრონომეტრაჟი 45-60 წუთიდან 30

წუთამდე შემცირდა. ექსპერტების მიერ დასახელებულ „სტუმრის ნაკლებობას“ კი მთლიანად აანაზღაურებს თოქშოუების ზოლი, რომელიც 20:30 სთ-ზე იწყება და „მოამბის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

შემცირდა სიუჟეტების ქრონომეტრაჟიც და ის 2-2,5 წუთით განისაზღვრა.

საანგარიშო პერიოდში ასევე შეიცვალა 20:00-სთ-იანი „მოამბის“ წამყვანთა რაოდენობაც. გამოშვებას უძღვებიან თამთა სანიკიძე და ვასილ ივანოვი. **ორი წამყვანის** ფორმატმა საინფორმაციო გამოშვებას მეტი დინამიკა შესძინა.

ცვლილებები ტარდება გამოშვების შინაარსობრივ ფორმატთან და სცენართან მიმართებაშიც. აქცენტი კეთდება მეტ ანალიტიკასა და მრავალფეროვან გაშუქებაზე. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციით, დღის გამოშვებები გადიოდა 4-საათიანი ინტერვალით (12:00, 16:00 და 20:00). მედიაბაზარზე არსებული სიტუაციის და მულტიმედიური მაუწყებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაწყდა დღის გამოშვებების პერიოდულობის გაზრდა. „მოამბეს“ დაემატა 14:00 საათიანი გამოშვება რომლის ხანგრძლივობაც 5 წუთია.

კიდევ ერთი, 18:00 საათიანი გამოშვება, რომლის ხანგრძლივობაც 1 საათით განისაზღვრა, საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და მომზადდა, თუმცა პროექტი 2016 წელს დაიწყო. ეს გამოშვება „ყველა ახალი ამბავის“ გაშუქების პრინციპს პასუხობს. ფორმატი რესპოდენტების ჩართვასაც ითვალისწინებს. 18:00 საათიანი გამოშვების ფორმატი განსაკუთრებით აქტუალური გახდება საარჩევნო პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტების აქტივობის მაქსიმალურად გაშუქება.

საანგარიშო პერიოდში დილის ეთერს დაემატა 1-წთ-იანი გამოშვებები 07:30, 08:30 და 09:30 საათზე.

ცვლილებების შემდეგ „მოამბის“გამოშვებების დრო და ქრონომეტრაჟი ასე გამოიყურება: 07:00 – 5 წთ, 07:30 –15 წთ, 08:00 – 5 წთ, 08:30 – 1 წთ, 09:00 – 10 წთ, 09:30 – 1 წთ, 10:00 – 10 წთ, 12:00 – 30 წთ, 16:00 – 45 წთ (+ ეკონომეტრი - 15 წთ) 20:00 – 30წთ და 00:00 – 5 წთ.

**ახალი კონცეფციით** „ყველა ახალი ამბის“ გაშუქების პრინციპით მუშაობს 12:00, 16:00 და 18:00-საათიანი გამოშვებები. 20:00-საათიანი გამოშვების ფორმატი მნიშვნელოვნად იცვლება. ის აშუქებს მხოლოდ დღის და მიმდინარე ამბების ყველაზე მნიშვნელოვან თემებს და აქცენტს ანალიზზე აკეთებს. 2016 წელს 20:00-საათიან გამოშვებაში ანალიტიკის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზრდება. „მოამბის“ ანალიტიკური მიმოხილვა გაგრძელდება თოქ-შოუების ნახევრსაათიან ბლოკში, რაც ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბლოკს ქმნის.

### 2.4 ახალი გადაცემები

#### 2.4.1 კონკურსი და ახალი გადაცემები

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააგრძელა ტელე და რადიო პროექტების კონკურსის წესით შერჩევის პროცესი. საკონკურსო კომისია (თავმჯდომარე გიორგი ებრალიძე) დაკომპლექტებული იყო მაუწყებლის თანამშროლებისა და მოწვეული ექსპერტებისაგან (კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ მულტიმედიური ბლოკის ანგარიშში). გაიმართა როგორც შიდა ასევე ღია კონკურსი. შიდა კონკურსში მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

საანგარიშო პერიოდში გამარჯვებულთა შორის დასახელდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორი რადიოპროექტი და ერთი ტელეპროექტი:

**ვექტორი** - ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი და ანალიტიკური გადაცემა მიმოიხილავს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. გადაცემის ქრონომეტრაჟია 26 წუთი. ძირითადად შედგება სტუდიური ნაწილისაგან, სიუჟეტებისაგან (2 სიუჟეტი) და გრაფიკული გამოსახულებებისგან, წამყვანებს შორის დიალოგისაგან და პირდაპირი და სკაიპ ჩართვებისაგან (3-4 ჩართვა). გადაცემაში, სტუმრის სახით (ვიდეო-ჩართვები) მონაწილეობენ გადაწვეტლებათა მიმღები პირები (მინისტრები, მინისტრთა მოადგილეები, დეპუტატები) და არასამთავრობო სექტორისა თუ საექსპერტო ჯგუფების წარმომადგენლები. მათ შორის არიან როგორც ევრო-ატლანტიკური გზის მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტთა შორისაა ევრო-ატლანტიკურ მიმართულებაზე პროგრამების მომზადება, ამდენად, გადაცემა "ვექტორი" მთლიანად პასუხობს ხსენებულ პრიორიტეტს.

პროგრამა ორიენტირებულია 18-45 წლის აუდიტორიაზე, რეგიონების მოსახლეობასა და ეთნიკური უმცირესობებზე. პროექტზე დასაქმებულია 2 წამყვანი, პროდუსერი და კორესპონდენტი.

**ერთად ევროპისაკენ** - პროექტებზე **ერთად ევროპისაკენ** და **ვექტორი** ერთი გუნდი მუშაობს. ორივე პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები ირაკლი ტაბლიაშვილი და გიორგი ცხვიტავა. ასეთი ბმა ერთიან მულტიმედიურ პროექტს ქმნის, რომელიც ევროატლანტიკური ინტეგრაციის საინფორმაციო მხარდაჭერას ისახავს მიზნად. ყოველკვირეული ინტერაქტიული პროგრამა „ერთად ევროპისაკენ“ უკვე რამდენიმე წელია გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, თუმცა აქამდე ეს პროექტი ენთუზიაზმის საფუძველზე

ხორციელდებოდა და მისი ავტორები შესაბამის ანაზღაურებას არ იღებდნენ. გადაცემა ეთერში ორშაბათობით, 16:10–ზე გადის და ის მიზნად ისახავს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერას და მონიტორინგს.

**ჩვენი საქართველო** - ყოველკვირეული ინტერაქტიული თოქ-შოუ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემაზე. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი გიორგი გუგუშვილი და საზოგადოებრივი რადიოს ყოფილი თანამშრომელი კობა ჩოფლიანი(ამჟამად სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს). გადაცემის თემატური მიმართულება საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია;

### 2.4.2 საღამოს თოქ-შოუების ზოლი

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საანგარიშო პერიოდში შეიცვალა 20:00 საათიანი „მოამბის" ფორმატი. გამოშვება ორიენტირებულია მნიშვნელოვანი თემების მიმოხილვასა და ანალიზზე. ქრონომეტრაჟი შემცირდა 30 წუთამდე. ანალიტიკური მიმოხილვა გაგრძელდება თოქ-შოუების 26-წუთიან ბლოკში, რაც ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბლოკს ქმნის.

**პროგრამის „მთავარი"** პირველი გადაცემა გავიდა 9 ნოემბერს და მისი სტუმარი იყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. „მთავარი" მაყურებელს სთავაზობს კვალიფიციური ექსპერტებისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა სიღრმისეულ ანალიზს. როგორც წესი ის შედგება ორი 10-15 წთ-იანი ინტერვიუსაგან. გადაცემა გადის კვირაში სამჯერ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და რადიო თავისუფლების მეორე ერთობლივი პროექტი **ინტერ**VIEW დაიწყო საანგარიშო პერიოდში და პირველი გადაცემა გავიდა 10 დეკემბერს. მისი წამყვანია რადიო თავისუფლების ჟურნალისტი სალომე ასათიანი.

პროექტის **ცხოვრება ციფრებში** წინამოსამზადებელი სამუშაოების ძირითადი ნაწილი საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. პირველი გადაცემა ეთერში 2016 წლის თებერვალში გავიდა.

ასევე საანგარიშო პერიოდში მომზადდა და უკვე 2016 წლის 17 იანვრიდან ეთერში გავიდა საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა **მოამბე კვირას**

### 2.4.3 მე-2 არხის ახალი სტუდია და გადაცემები

საანგარიშო პერიოდში მწყობრში ჩადგა მე-2 არხის ახალი სტუდია. შესაბამისად გადაცემებისთვის დამზადდა ახალი დეკორაციები. ახალმა სტუდიამ, დიდმა სივრცემ, შესაძლებლობები გაზარდა, რაც გადაცემის ხარისხზე პირველივე გადაცემებიდან აისახა. ამავე დროს დასახვეწია დეტალები, რომლებიც დიზაინს და ტექნიკურ საკითხებს უკავშირდება. მათი გამოსწორება თოქ-შოუს უფრო ეფექტიანს და ხარისხიანს გახდის.

საანგარიშო პერიოდში მე-2 სატელევიზიო არხმა დაიწყო პროექტი „პოლიტალტერნატივა". „მეორე არხის" განახლებული სტუდიიდან პირველი გადაცემა ეთერში 2015 წლის 16 ნოემბერს გავიდა. „პოლიტალტერნატივა" ეთერშია ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს 17:00-დან 17:55 საათამდე.

ეს გადაცემა წარმოადგენს მე-2 არხის კიდევ ერთი პროექტის „თავისუფალი ტრიბუნის" ალტერნატივას იმ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის, ვინც 2014 წლის საკრებულოების არჩევნებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, თუნდაც ერთი მანდატი მოიპოვა, მაგრამ მათ არა აქვთ სახელმწიფო დაფინანსება. პროექტში მონაწილეობენ საპარლამენტო პარტიებიც და ის პოლიტიკური გაერთიანებებიც, რომლებიც ასევე ითვლებიან არაკვალიფიციურ სუბიექტებად, მაგრამ რეგიონებში მათ მაღალი შედეგი აჩვენეს.

## 2.5 საზოგადოებრივი მაუწყებლის აკადემია

მულტიმედიური მაუწყებლობა და სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმი გულისხმობს პერმანენტულ ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის, რაც თავის მხრივ იწვევს შიდა სასწავლო ცენტრის აუცილებლობას.

2015 წელს ევროპის მაუწყებელთა კავშირის აკადემიასთან (Eurovision Academy) თანამშრომლობით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აკადემია. ახალი რეალობის გათვალისწინებით პირველი სასწავლო კურსი მულტიმედიურ ჟურნალისტიკას მიეძღვნა. სასწავლო კურსი, რომელიც საანგარიშო პერიოდში დასრულდა, 1-ლი არხის, რადიო 1-ისა და ვებგვერდის საინფორმაციო სამსახურების ჟურნალისტებმა გაიარეს. ტრენერთა უმრავლესობაც ამჟამად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკში მუშაობს. ტრენერებს და კურსდამთავრებულებს გადაეცათ ევროპის მაუწყებელთა აკადემიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დიპლომები. ტრენინგის ეს კურსი მნიშვნელოვანი შენაძენია საინფორმაციო სამსახურისათვის.



*Eurovison Academy-სა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აკადემიის დიპლომების გადაცემის ცერემონია და სამახსოვრო ფოტო*

ჩატარებული კურსის გათვალისწინებით დაიგეგმა შემდეგი სასწავლო პროგრამა. გადაწყდა, რომ შემდეგი კურსიც კვლავ მულტიმედიურ ჟურნალისტიკას დაეთმობა. ამავე დროს, სასწავლო პროგრამაში შევიდა კორექტივები. საანგარიშო პერიოდში შეირჩა ჟურნალისტების ახალი ნაკადი, რომელიც სასწავლო პროგრამას 2016 წელს გაივლის.

### 2.6 ტექნიკური აღჭურვა

**რადიოს საეთერო სტუდიის კეთილმოწყობა** - საზოგადოებრივმა რადიომ, მაუწყებლის ტექნიკურ სამსახურთან ერთად დაასრულა პირდაპირი ეთერის სტუდიის და მისი მომსახურე ოთახების რემონტისა და აღჭურვის სამუშაოები. მე-4 კვარტლის პირველი ნახევრიდან ახალ ოთახში გადავიდა რადიოს ცენტერალური სააპარატო, ცალკე მოეწყო ონლაინ-მედია ჯგუფის და სერვერების ოთახები. გადაცემებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კეთილმოწყობილი სტუმრების მისაღები ოთახი და სტუდიაში შესასვლელი პანდუსები.

## 2. მიმდინარე მროცესები

### 3.1 საინფორმაციო სამსახური

#### 3.1.1 მოამბე

**„მოამბე“** ტელემაყურებელს აწვდის ამომწურავ, ობიექტურ ინფორმაციას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

დილიდან გვიან ღამემდე ეთერში ყოველდღიურად „მოამბის“ რამდენიმე გამოშვება გადის, მათ შორის პრაიმ-თაიმში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება, „მოამბე" 20:00 საათზე.

20:00 საათიანი გამოშვება აქცენტს აკეთებს მიმდინარე ამბების ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე, და მათ ანალიზზე. ანალიტიკური მიმოხილვა გრძელდება თოქ-შოუების ნახევრსაათიან ბლოკში, რაც ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკურ ბლოკს ქმნის.

„მოამბის“ გამოშვებების დრო და ქრონომეტრაჟი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 07:00 – 5 წთ | 08:30 – 1 წთ | 10:00 – 10 წთ | 20:30 – 30 წთ |
| 07:30 –15 წთ | 09:00 – 10 წთ | 12:00 – 30 წთ | 00:00 – 5 წთ |
| 08:00 – 5 წთ | 09:30 – 1 წთ | 16:00 – 45 წთ | |

„მოამბეში“ დასაქმებულია 62 თანამშრომელი. მათ შორის 6 წამყვანი, 9 პროდუსერი და 41 კორესპონდენტია. ამას ემატება ბრიუსელის ბიუროს 4 კაციანი შემადგენლობა.

საანგარიშო პერიოდში რეგიონებში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა „მოამბის“ 8 რეგიონული ჯგუფი: კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემოსვანეთის, ფოთისა და გურიის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის.

### 3.1.2 5-ენოვანი „მოამბე“




„მოამბე“ ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აფხაზური, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული) მე 2 არხის ეთერით გადის ყოველდღე (შაბათ -კვირის გარდა) 20.00 საათზე. სამწუხაროა რომ საპარლემენტო სესიების დროს გადაცემა ისევ იხსნება ეთერიდან. 5-ენოვანი გადაცემა როგორც წესი გადის პირდაპირი ეთერის რეჟიმში. უნდა აღინიშნოს რომ კვლავინდებურად გრძელდება თანამშრომლობა რეგიონალურ ტელეკომპანიებთან, რომლებიც ავრცელებენ „მოამბეს“ ნაციონალური უმცირესობების ენებზე:

- ბოლნისის ტელეკომპანია „ბოლნელი“ ავრცელებს „მოამბეს“ აზერბაიჯანულ ენაზე;
- ზუგდიდის „ოდიშ“-ი ავრცელებს ,,მოამბე“-ს აფხაზურ ენაზე;
- ნინოწმინდის „ფარვანა“ და ახალქალაქის „ატვ 12“ - მაყურებელს აწვდის „მოამბე“ -ს სომხურ ენაზე.

აგვისტოდან, არხზე რეორგანიზაციის გამო „ცოცხალი ეთერი“ იყო დროებით ჩანაცვლებული საინფორმაციო კოლაჟით, თუმცა მისი ქრონომეტრაჟი კვლავინდებურად შეადგენდა 55 წუთს.

ამ ეტაპზე მომდინარეობს მზადება ახალი სატელევიზიო სეზონისთვის. მოწესრიგდა ახალი სტუდია, იყო მომზადებული ახალი საიმიჯო კლიპი ჩვენი წამყვანების მონაწილეობით. ჩვენი რედაქცია მზად არის ახალი პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ შექმნას რამდენიმე სატელევიზიო პროდუქტი, რომელიც გაითვალისწინებს მაყურებლის სურვილებს და თხოვნებს. ასევე მზად ვართ ხელი შევუწყოთ რეგიონებში მომუშავე კოლეგებს პროფესიულ ზრდაში, ჩავატაროთ მათთვის ტრენინგები, დავეხმაროდ ახალი გადაცემების წარმოებაში.

ასევე გრძელდება „საზოგადოებრივი რადიო 1-ის“ ეთერით ნაციონალური უმცირესობების ენებზე რადიო მაუწყებლობაც. საზოგადოებრივი მაუწყებლის

რადიოეთერში გადის „ნაციონალური მოამბის“ ახალი ამბების სრულყოფილი აუდიოვერსია აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

საერთო ჯამში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის განყოფლებაში 21 ადამიანია დასაქმებული.

აღსანიშნავია კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ენაზე მაუწყებლობს - ქურთულ ენოვანი ყოველკვირეული რადიოპროგრამა „რონკაი“ (განთიადი) საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ჯერ კიდევ 1978 წლიდან გადის.

### 3.1.3 საზოგაოდებრივი რადიო 1-ის საინფორმაციო გამოშვება

„საზოგადოებრივი რადიო 1“-ის საინფორმაციო გამოშვებები პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5-წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია 15 წთ-იანი გამოშვება.

საინორმაციო სამსახურში დასაქმებულია 9 ჟურნალისტი: პროდუსერი, რედაქტორი, 3 წამყვანი და 4 კორესპონდენტი.

საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციით.

### 3.1.4 პირველი არხის ტელეგადაცემები



**მთავარი** - პროექტი საანგარიშო პერიოდში დაიწყო. „მთავარი“ კვირაში სამჯერ (ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი) 20-საათიანი მოამბის შემდეგ 20:30 სთ-ზე იწყება. მისი ქრონომეტრაჟია 26 წთ. გადაცემა როგორც წესი ორი 10-15-წუთიანი ინტერვიუსაგან შედგება. ერთი ერთზე ფორმატის ინტერვიუ მაუწყებლის სტუდიაში პირდაპირ ეთერში მიმდინარეობს.

გადაცემაზე მუშაობს სამკაციანი ჯგუფი: წამყვანი თამარ ჩიქოვანი, პროდუსერები ნინო თარგამაძე და მაირამ ტყებუჩავა.

გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი საინფორმაციო ნაკადიდან არჩევს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს თემებს; ხდება ამ თემების სიღრმისეულად განხილვა. საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია, არა მხოლოდ პრობლემების, არამედ მათი შესაძლო მოგვარების გზების შესახებაც.

გადაცემა უზრუნველყოფს მაყურებლისთვის სანდო, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციის და მრავალფეროვანი პოზიციების მიწოდებას, პროფესიული სტანდარტის დაცვით.

გადაცემის სამიზნე აუდიტორიას შეადგენენ ადამიანები, ვინც ყურადღებით ადევნებენ თვალს, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, მიმდინარე მოვლენებს. გაშუქდება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ასევე სხვადასხვა სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი თემები - ის, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების ყურადღების ცენტრში იქნება.

**ინტერ**VIEW - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და რადიო თავისუფლების მეორე ერთობლივი სატელევიზიო პროექტი დაიწყო საანგარიშო პერიოდში და პირველი გადაცემა გავიდა 10 დეკემბერს.

გადაცემაზე ორივე მაუწყებლის ერთობლივი ჯგუფი მუშაობს: წამყვანი - სალომე ასათიანი (რადიო თავისუფლება). პროდიუსერები - ლელა ბოჯგუა (საზოგადოებრივი მაუწყებელი) და ნანა პლიევა (რადიო თავისუფლება).

გადაცემის ჩაწერა „რადიო თავისუფლების" პრაღის სტუდიაში ხორციელდება. რესპოდენტები გადაცემაში ვიდეოკავშირით ერთვებიან.




გადაცემა ეთერში გადის ყოველ  ხუთშაბათს 20:00-სთ-იანი მოამბის დასრულების შემდეგ 20:30 სთ-ზე.

„ინტერview“ ჟანრული თვალსაზრისით წარმოადგენს სიღრმისეულ ინტერვიუს პირებთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საუბრის მსვლელობისას ჟღერდება მწვავე კითხვები და აუდიტორიას მიეწოდება საკითხების ის ფართო კონტექსტი, რომელიც მიმდინარე, ყოველდღიური ახალი ამბების გაშუქებისას, როგორც წესი ყურადღების მიღმა რჩება.

გადაცემის რესპონდენტები არიან ძირითადად ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები. სტუმრების ნაწილი ერთვება უცხოეთიდან (ბრიუსელი, ვაშინგტონი და სხვ). საუბარია იმ რესპოდენტებზე, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაზე. პოლიტიკური ფიგურების გარდა გადაცემას სტუმრობენ საზოგადოების აქტიური პირები, მკვლევრები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგებლები.

გადაცემის ფუნქციაა ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი და საზოგადოების მიუკერძოებელი ინფორმირება. ე.წ. "გადაწყვეტილებების მიმღებები პირებისთვის“ სერიოზული კითხვების დასმა და ამით მოქალაქეების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების წარმოჩენა.

გადაცემა ეხმაურება როგორც მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს, ისე სოციო-კულტურულ პრობლემატიკას. რელიგიის თემა, შემწყნარებლობის დეფიციტი,

ქალების და გოგონათა უფლებები, უმცირესობის მდგომარეობა - ეს საკითხებიც გადაცემის განსახილველი თემებია.




**„ეკონომეტრი“** - გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 16:00-საათიანი „მოამბის“ დასრულებისთანავე. გადაცემის ძირითადი ქრონომეტრაჟია 15 წუთი; გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს საინფორმაციო ბლოკს - ეკონომიკისა და ბიზნესის ამბები საქართველოდან და უცხოეთიდან; აქტუალურ თემის ბლოკს, რომელშიც თემა გაშლილია სტუმრისა და თემასთან დაკავშირებული სიუჟეტის დახმარებით. თემის შერჩევა ხდება აქტუალობიდან გამომდინარე. მაყურებლს მიეწოდება მრავალმხრივი ინფორმაცია და ანალიზი.

გადაცემის სტუმრები არიან მთავრობისა და სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელები, პარლამენტარები, ბიზნესმენები, ბიზნესასოციაციებისა და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები.

2015 წლის ოქტომბრიდან გადაცემას დაემატა ბლოკი - სავალუტო კურსი, რომელშიც ავსახავთ ზუსტად გადაცემის მსვლელობისას ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ახალ სავალუტო კურსს.

გადაცემაზე მუშაობს 5-კაციანი ჯგუფი: წამყვანი დავით ლაბაძე, პროდუსერები ლელა კურდღელაშვილი და გიორგი გიგანი, ჟურნალისტები ნინო ფაცურია და ანა მეზვრიშვილი

ზემოთ ჩამოთვლილია საანგარიშო პერიოდში გაშუქებული თემების მხოლოდ მცირე ნაწილი. ყველა გადაცემის მოკლე ანოტაცია და ვიდეო ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ პირველი არხის ვებ-გვერდზე - [http://1tv.ge/ge/videos/category/323/sort/100029.html](http://1tv.ge/ge/videos/category/323/sort/100029.html).

### 3.1.5 მე-2 არხის ტელეგადაცემები

მეორე არხის პოლიტიკურ თოქშოუებზე საერთო ჯამში 32 ადამიანი მუშაობს. ზოგიერთი მათგანი ასევე დასაქმებულია რადიო 1-ის პროგრამებზე.




**პოლიტალტერნატივა** - საანგარიშო პერიოდში მე-2 სატელევიზიო არხმა დაიწყო პროექტი „პოლიტალტერნატივა“. პირველი გადაცემა გავიდა ,,ეთერში“ 2015 წლის – 16 ნოემბერს, 17 საათზე. „მეორე არხის“ განახლებული სტუდიიდან. „პოლიტალტერნატივა“ ეთერშია ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს 17:00-დან 17:55 საათამდე.

გადაცემაზე მუშაობენ წამყვანი თამარ ფიროსმანიშილი, პროდუსერი ბაია შარაშიძე და რეჟისორი გიორგი ჭალელაშვილი.

„პოლიტალტერნატივა“ წარმოადგენს მე-2 არხის კიდევ ერთი პროექტის „თავისუფალი ტრიბუნის“ ალტერნატივას იმ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის, ვინც 2014 წლის საკრებულოების არჩევნებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, თუნდაც ერთი მანდატი მოიპოვა, მაგრამ მათ არა აქვთ სახელმწიფო დაფინანსება. პროექტში მონაწილეობენ საპარლამენტო პარტიებიც და ის პოლიტიკური გაერთიანებებიც, რომლებიც ასევე ითვლებიან არაკვალიფიციურ სუბიექტებად, მაგრამ რეგიონებში მათ მაღალი შედეგი აჩვენეს.

პროექტის მონაწილე სუბიექტების შერჩევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგებს ეყრდნობა. ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების ჩამონათვალი შეიცვლება არჩევნების შედეგების შესაბამისად.

პროექტის მიზანია რეგიონებში საზოგადოებრივ–პოლიტიკური მუშაობის წარმოჩენა, ახალგაზრდული და ქალთა მოძრაობების გააქტიურება და მაყურებლისთვის მათი მუშაობის გაცნობა.

პროექტის შემუშავებისას გათვალიწინებულია მოსახლეობის მზარდი ინტერესი საქართველოს სხვადასხვა მხარეში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მიმართ.

თითოეულ პოლიტიკურ სუბიექტს ეთმობა 25 წუთი. ერთ გადაცემაში მონაწილეობს 2 პოლიტიკური გაერთიანება. ამჟამად სულ ასეთი 12 სუბიექტია.

- პარტია ,,სოციალ–დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“;
- საქართველოს მწვანეთა პარტია;
- პოლიტიკური ბლოკი ,,არასაპარლამენტო ოპოზიცია“ -,,მემარჯვენეები“ +,,თავისუფალი საქართველო“;
- პოლიტიკური ბლოკი ,,თვითმმართველობა ხალხს“;
- საქართველოს ძალოვან ვეტერანთა პოლიტიკური მოძრაობა;
- პოლიტიკური ბლოკი ,,თავისუფლება“;
- პოლიტიკური ბლოკი ,,ჩვენი საქართველო“;
- პოლიტიკური ბლოკი ,,ერთიანობის დარბაზი“;
- ,,მერაბ კოსტავას საზოგადოება“;
- ,,ქართული პარტია“;
- პარტია ,,საქართველოს გზა“;
- ,,სახალხო პარტია“

სამომავლოდ გათვალისწინებულია, ,პირდაპირ ეთერში“ სატელეფონო ზარების შემოყვანა, რასაც ითხოვს მაყურებელიც და არაკვალიფიციური სუბიექტებიც




**თავისუფალი ტრიბუნა** - გადაცემა შეიქმნა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის 2010 წლის 22 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რომლის თანახ-მადაც, კვალიფიციურ პოლიტი-კურ პარტიებს, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 22-დან -

23 საათამდე „მეორე არხის“ პირდაპირ ეთერში დაეთმო ერთი საათი. მემორანდუმზე ხელი მოაწერა 21-მა პოლიტიკურმა პარტიამ და მოძრაობამ. 5 წლის განმავლობაში გადაცემამ განიცადა მცირედი ცვლილება და მონაწილე პარტიათა შემადგენლობაც იცვლებოდა არჩევნების შედეგების მიხედვით, იცვლებოდა „ღია ეთერში“ გასვლის დროც. მაგრამ დარჩა მთავარი – ამ ხნის განმავლობაში ინტერაქტიულმა გამოკითხვებმა და მოქალაქეების უშუალო ჩართულობამ გადაცემის მსვლელობისას აჩვენა, რომ მოსახლეობა სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს პოლიტიკური სუბიექტების მუშაობის, პარტიათა ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციების მოღვაწეობის, ასევე პოლიტიკური პროცესების მიმართ, აცნობიერებს და აფიქსირებს თავის მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე ყველა ძირითად პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, 2013 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა შეხვედრები კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას შორის მემორანდუმის ტექსტის გადასინჯვისა და ,,მეორე არხის“ პროგრამების განხილვის მიზნით. შეხვედრების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ ძირითად პრინციპებზე, სადაც აღნიშნულია, რომ საკუთარი მუშაობის უკეთ წარმოსაჩენად და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტისთვის ,,თავისუფალ ტრიბუნას“ გამოიყენებდნენ მხოლოდ კვალიფიციური პარტიები, რაც დადასტურდა მემორანდუმზე ხელმომწერი სუბიექტების მიერ: საქართველოს პარლამენტი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პოლიტიკური პარტიები.

გადაცემაზე მუშაობენ წამყვანი ელენა ტრეხლებოვა, პროდუსერი ბაია შარაშიძე და რეჟისორი გიორგი ჭალელაშვილი.

ამჟამად, „თავისუფალი ტრიბუნის“ „ღია ეთერში“ გასვლის დროა: ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) –19 სთ–19.50წთ. და მასში მონაწილეობს 11 კვალიფიციური სუბიექტი:

1.პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

2. „საქართველოს კონსერვატიული პარტია“

3. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

4. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“

5. პ/გ „თავისუფალი დემოკრატები“

6.პ/გ „ეროვნული ფორუმი“

7. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

8. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“

9. „დემოკრატიული მოძრაობა“

10. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

11. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“

პარტიები მუდმივად ცდილობენ გადაცემაში მოვიდნენ პარტიის თავმჯდომარეები, პარლამენტარები, საკრებულოს წარმომადგენლები ან ლიდერები და პარტიის გამორჩეული სახეები, მათ შორის ახალგაზრდა სახეები და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საკუთარი მუშაობის და პოზიციების უკეთ წარმოსაჩენად.

გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს დაგეგმილი ქონდა სკაიპის და ჩართვების გამოყენება, მაგრამ მწირი ადამიანური რესურსის და ტექნიკური პრობლემების გამო, მისი დანერგვა ვერ მოხერხდა. ასევე 3 კვირის განმავლობაში არ მუშაობდა ე.წ „კრანი“. სავალალო მდგომარეობაშია ყურსასმენები და საეთეროს შიდა მონიტორები, რომლის მიხედვითაც რეჟისორს უჭირს მუშაობა და კომუნიკაცია ოპერატორებთან.




**არგუმენტების დრო** - საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „არგუმენტების დრო“ კვირაში სამჯერ, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს პრაიმ-თაიმში (21:30 სთ), პირდაპირ ეთერში მაყურებელს აქტუალურ თემებს სთავაზობს. გადაცემის ქრონომეტრაჟია 90 წთ. წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს პოლიტიკური დებატების ფორმატის ჩამოყალიბებას. მისი მიზანია სამოქალაქო და პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში დაამკვიდროს თანამედროვე პოლიტიკური დებატების ფორმატი საზოგადოებისათვის პრობლემატურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ თემებთან დაკავშირებით.

გადაცემაში მოწვეული სტუმრები, შერჩეული თემის ფარგლებში საქართველოში მოქმედი სამოქალაქო სექტორის, აკადემიური წრეების, არასაპარლამენტო პოლიტიკური

პარტიების, საპარლამენტოუმცირესობისადაუმრავლესობის, პროფკავშირების, მინისტრთა კაბინეტის და სამთავრობო უწყებების, უმცირესობების, წარმომადგენლები არიან. თოქ-შოუში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავიათ ექსპერტებს, რომლებიც კვალიფიციურ ანალიზს უკეთებენ ჩვენში და უცხოეთში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს. „არგუმენტების დრო“ საზოგადოების ყველა ფენაზეა ორიენტირებული. ის ცდილობს პოლიტიკური კამათისა და დიალოგის კულტურის დამკვიდრებას.

თოქ-შოუში ხშირია პირდაპირი ჩართვები რეგიონებიდან და უცხოეთიდან.

გადაცემაზე მუშობენ წამყვანი ზვიად ავალიანი, პროდუსერი მაკა ასათიანი, რეჟისორი ხათუნა ვაშაძე, ადმინისტრატორი მიხეილ ჭაბუკაშვილი.

თოქ-შოუ „არგუმენტების დრომ“ ახალი სატელევიზიო სეზონი 21 ნოემბერს გახსნა. დაგვიანება ახალი სტუდიის მშენებლობის გვიან დასრულებამ გამოიწვია. ახალმა სტუდიამ, დიდმა სივრცემ, გარკვეული ცვლილებები შემოგვთავაზა, რაც გადაცემის ხარისხის გაუმჯობესებაზე პირველივე გადაცემიდან აისახა. მაგრამ დასახვეწია დეტალები, როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი. მათი გამოსწორება თოქ-შოუს უფრო ეფექტიანს და ხარისხიანს გახდის.

ახალი სტუდია ახალ წესრიგს გვთავაზობს, რაც კვირის განმავლობაში უცვლელია. მთელი კვირის მანძილზე მიმდინარეობს თემების შერჩევა - გადალაგება, ოპერატიული მასალების წამოწევა, 90-წთ-იანი გადაცემის რამდენიმე ბლოკად დაყოფა; ცხელი, ოპერატიული თემების გადაცემაში მოქცევის მიზნით. თემატიკის მიხედვით მიმდინარეობს სტუმრების შერჩევა და მოწვევა, ჩართვების დაგეგმვა. ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფთან უწყვეტი კავშირია. მათთან თანხმდება პირდაპირ ჩართვებთან და ნებისმიერ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. ფეისბუქის საშუალებით მაყურებელთან უწყვეტი კავშირია. გადაცემის შემდეგ ფეისბუქის საშუალებით ხდება მაყურებელთან გასაუბრება, მათ მიერ გადაცემის შეფასება და მათი სურვილების გაზიარება.

**ჩვენი პარლამენტი** - ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა ეთერში გადის შაბათს 20:00 საათზე და მისი ქრონომეტრაჟია 30 წუთი. პროექტი, ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ტექნიკური დახმარებით განხორციელდა. ყოველკვირეული პროგრამა, არა მხოლოდ საპარლამენტო ცხოვრების დაიჯესტია, არამედ მასში ასახულია, ყველა ის რეალური შედეგი, რაც საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს.



გადაცემაში წარმოდგენილია, კვირის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტში, კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხებისა და კანონპროექტების მიმოხილვა, განხილვა სტუმრებთან ერთად.

გადაცემა შედგება სამი ნაწილისგან:

- მაყურებლისათვის საქართველოს პარლამენტში განხილული კვირის მნიშვნელოვანი თემების ვიდეოკოლაჟი:
    - პარლამენტში ინიცირებული, ან განსახილველი კანონპროექტები;
    - ბოლო პერიოდში მიღებული კანონმდებლობა;
    - პარლამენტში მიმდინარე საქმიანობა (კაბინეტის დამტკიცება, სამთავრობო საათი, პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა პარლამენტში, პალამენტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები);
    - ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები (რეგიონალური ტელევიზიისთვის დამზადებული გადაცემების შემთხვევაში).
- სიუჟეტი კვირის მნიშვნელოვან თემაზე;
- გადაცემაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად, კვირის მნიშვნელოვანი თემების განხილვა და ანალიზი. გადაცემის სტუმრები იქნებიან საქართველოს პარლამენტის დეპუტატები.

გადაცემაზე მუშაობს 4 თანამშრომელი: წამყვანი - ნიკა კაცია, პროდიუსერი - მაია ბოკერია, ჟურნალისტი - მაია დემეტრაშვილი და ტექნიკური პროდიუსერი - ნათია შენგელია.




**ეპიცენტრი** - საზოგადოებრივი მაუწყებლის „მეორე არხის“ პირდაპირ ეთერშია ყოველ შაბათს 19:00 საათზე (ქრონომეტრაჟი 56 წთ) . გადაცემის სტუმრები არიან ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს პირველი პირები, რომლებიც მოსახლეობისთვის ყველა საინტერესო კითხვას პირდაპირ ეთერში პასუხობენ.

გადაცემის წამყვანია დოდო შონავა, თანაწამყვანი ნატალია ნანიტაშვილი, პროდუსერი ნინო ხიდაშელი.

**ბრიფინგის დრო** - გადაცემა ეთერშია ყოველდღე 15:00, 17:00, 21:00 და 23:00 საათზე. „მეორე არხის“ და ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის მემორანდუმზე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიების ბრიფინგები დაუმონტაჟებლად




თავსდება „მეორე არხის“ ეთერში. ბრიფინგის გარდა, პროგრამაში შუქდება ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

**ნამდვილი დრო** (Настоящее время) - რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა მე -2 არხის ეთერშია ყოველ დღე 23.00 საათზე. გადაცემა წარმოადგენს რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა და ამერიკის ხმის ერთობლივ პროექტს,




რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით. გადაცემა დაფუძნებულია მიუკერძოებელ ჟურნალისტიკაზე და აუდიტორიას სთავაზობს საინტერესო ანალიზს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

ამ პროექტის კურირება და ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობა დაევალა მე-2 არხის ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობას. მე 2 არხის გუნდი ამ გადაცემისთვის ასევე ამზადებს სიუჟეტებს.

**აფხაზეთი** - აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მიერ მომზადებული გადაცემა „აფხაზეთი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის „მეორე არხის“ ეთერშია ყოველ კვირას 17:00 საათზე. გადაცემა თემატურად მრავალფეროვანია: დისკუსია, პრობლემები, ტრადიციები, დიალოგი, რელიგია, კულტურა, სპორტი, ეკოლოგია. გადაცემა მოიცავს არა მხოლოდ აფხაზეთიდან, არამედ სამაჩაბლოდან დევნილთა პრობლემებს; წარმოაჩენს და გააანალიზებს ხელისუფლების ხედვას ამ პრობლემების მოსაგვარებლად. გადაცემა წარმოაჩენს ცნობილ, წარმატებულ ადამიანებს და ახალ სახეებს.



### 3.1.6 რადიო 1-ის გადაცემები

საზოგადოებრივი რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები დღის საეთერო ზოლშია განთავსებული. ყველა მათგანი ინტერაქტიულია და მსმენელები მასში აქტიურად მონაწილეობენ. „საღამოს პიკის საათი“ და „ღია სტუდია“ ყოველდღიური პროგრამებია, დანარჩენი კი ყოველკვირეული.




ყველა გადაცემის ტექსტური ანოტაცია, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები განთავსებულია „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის ვებ-გვერდზე http://radio1.ge. ამავე საიტზე შეგიძლიათ იხილოთ ეს გადაცემები რეალურ დროში ან გადახვევით.




გადაცემების ნახვა შესაძლებელია YouTube-ზეც (Georgian Public Radio), სადაც განთავსებულია საზოგადოებრივი რადიოს არხი. აქ თვალსაჩინოდაა დახარისხებული გადაცემები და ვიდეო მასალას ტექსტური ანოტაცია ახლავს.

გადაცემების ხილვა ასევე შესაძლებელია ფეისბუქის გვერდზე „**საზოგადოებრივი რადიო** 1“.

ყველა ჩამოთვლილ გვერდზე მნახველს გაზიარებისა და კომენტირების საშუალება გააჩნია.

საზოგადოებრივი რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებზე საერთო ჯამში 13 ადამიანი მუშაობს. ზოგიერთი მათგანი ასევე დასაქმებულია 1-ლი და მე-2 ტელეარხების პროგრამებზე. საზოგადოებრივი რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ასე გამოიყურება:




**საღამოს პიკის საათი** - გადაცემა არის რადიოს ცენტრალური პოლიტიკური თოქშოუ. ის ინტერაქტი-ულია და გადის ყოველ სამუშაო დღეს 17.10-იდან 17.50 სთ-მდე. შემაჯამებელ პოლიტიკურ თოქშოუში მოუსმენთ აქტუალური თემების დეტალურ ანალიზს, დღის მთავარი თემების განხილვას კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელებთან ერთად. გადაცემის მიზანია აუდიტორიისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ანალიზის მიწოდება. მიმდინარე მოვლენების განხილვაში საზოგადოების ჩართვა. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ახალი ამბებით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია 2 ჟურნალისტი - პროდუსერი ნინო რამიშვილი და წამყვანი დავით პაიჭაძე.




**ღია სტუდია** - ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ - ყოველ სამუშაო დღეს (14.10-14.50 სთ) გადის. გადაცემის მიზანია აუდიტორიისათვის აქტუალური მოვლენების შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდება. მიმდინარე

მოვლენების განხილვაში საზოგადოების ჩართვა. პროგრამის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ პოლიტიკურ, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით და მათი ანალიზით დაინტერესებული მოქალაქეები. პროგრამაზე დასაქმებულია 3 ჟურნალისტი: პროდუსერი ნათია არველაძე, რედაქტორი ლელა ვაშაკიძე და წამყვანი გოგი ჩოკოშვილი. პროდუსერი და რედაქტორი ასევე ჩართულნი არიან სხვა ტელე და რადიოპროექტებში.

„ღია სტუდია" რადიოს სხვა პროგრამებისაგან თემატიკის ფართო სპექტრით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, მისი ძირითადი მიმართულებებია პოლიტიკა(ორშაბათი), სოციალური თემატიკა, თვითმართველობები(პარასკევი), ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერება და განათლება.

საანგარიშო პერიოდში, მსმენელთა თხოვნით, აღდგა „ღია სტუდიის" პროექტი „რეგიონის დროით". პარასკევი ეთმობა თვითმართველობებს. პროექტი ჯერჯერობით შემოიფარგლება თბილისისა და კახეთის რაიონების გამგებლებით. პროექტის არეალის გაფართოება საჭიროებს დამატებით დაფინანსებას, რათა შემოქმედებითმა ჯგუფმა შეძლოს ადგილზე გასვლა და გადაცემაში ადგილობრივი საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართვა. ამ შემთხვევაში პირდაპირ ეთერში ჩართვა სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის მეშვეობით ხორციელდება.

ეს პროექტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს რეგიონული აუდიტორიის წინაშე, რადგან მსმენელს საშუალება აქვს უშუალოდ თვითმართველობის ხელმძღვანელობას დაუსვას კითხვები.

**უფლება და თავისუფლება** - ინტერაქტიული 45-50 წთ-იანი თოქ-შოუ გადის ყოველ ხუთშაბათს 16:10 სთ-ზე. გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებებს. გადაცემის მიზანია ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ადამიანის უფლებების სფეროში მიმდინარე მოვლენების საზოგადოებრივი მონიტორინგი. საკითხები მრავალფეროვანია სახელმწიფოს სტრატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემაზე დასაქმებულია ერთი წამყვანი.



*არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გადაცემის ხშირი სტუმრები არიან*

**ერთად ევროპისკენ** - ყოველკვირეული ინტერაქტიული პროგრამა „ერთად ევროპისაკენ“ უკვე რამდენიმე წელია გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, თუმცა აქამდე ეს პროექტი ენთუზიაზმის საფუძველზე ხორციელდებოდა და მისი ავტორები შესაბამის ანაზღაურებას არ იღებდნენ. გასულ კვარტალში პროექტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის კონკურსში გაიმარჯვა.



*გადაცემის სტუმარია პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხლაძე*

გადაცემა ეთერში ორშაბათობით, 16:10–ზე გადის და ის მიზნად ისახავს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერას და მონიტორინგს. მისი ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები ირაკლი ტაბლიაშვილი და გიორგი ცხვიტავა.

გადაცემა ძირითადად ეძღვნება ევროანტლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ძალისხმევას და მიმდინარე პროცესებს: უსაფრთხოებას, თავდაცვას, ევროკავშირსა და ნატოში მიმდინარე პროცესებს, საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, დემოკრატიულ რეფორმებს, ვალდებულებებს და სტანდარტებს, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს.

- ქართველი სამხედროების მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში;
- დემოკრატიული რეფორმები, ვალდებულებები და სტანდარტები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს;
- რუსული პროპაგანდა ქართულ მედიაში;
- რუსული პროპაგანდა და სირიაში განვითარებული მოვლენები

**ეკომეტრი** - ინტერაქტიული, გარემოსდაცვითი თოქ-შოუ გადის ყოველ ოთხშაბათს 16:10-დან 16:50-სთ-მდე. გადაცემის მიზანია ეკოპოლიტიკის გაშუქება და მისი მონიტორინგი, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. პირველ



რიგში სამიზნე აუდიტორიას წარმოადენენ გარემოსდაცვითი ინფორმაციით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია ერთი წამყვანი, რომელიც სხვა რადიო და ტელეპროექტებშიცაა ჩართული.




**ისევ განათლების საკითხებზე** - ინტერაქტიული გადაცემა, შაბათი, 15:10-15:50 სთ. გადაცემის მიზანია: საზოგადოების ინფორმირება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეების თაობაზე, აბიტურიენტთა და სტუდენტთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობა. თოქშოუ ეძღვნება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებს, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებს, სამეცნიერო გრანტებს, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო და სასერთიფიკაციო გამოცდებს, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სტიპენდიებს. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს. გადაცემის სამიზნე ჯგუფს პირველ რიგში წარმოადგენენ აბიტურიენტები, სტუდენტები, მოსწავლეები და მათი მშობლები, მეცნიერები და პედაგოგები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი, რომელიც სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**რონკაი** - აღსანიშნავია კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ენაზე მაუწყებლობს. საზოგადოებრივი „რადიო 2“ კვირაში ერთხელ გადასცემს ქურთულ ენაზე მოსაუბრე რადიოპროგრამას „რონკაი“ (განთიადი). გადაცემა ეთერში გადის კვირა დღეს 20:30 სთ-ზე. მისი ქრონომეტრაჟია 15 წუთი. პროგრამა იწერება და მონტაჟდება საზოგადოებრივი რადიოს სტუდიაში და ეთერში ჩანაწერის სახით გადის. გადაცემის წამყვანია ბელა კასოევა(სტურკი). პროგრამაზე ასევე მუშაობს ქურთი საზოგადო მოღვაწე ქერიმ ანყოსი.

გადაცემის მიზანია ქართული სათვისტომოში მიმდინარე პროცესების გაშუქება, მათი კულტურის ისტორიისა და ტრადიციების პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ ეს გადაცემა საზოგადოებრივი რადიოს ეთერში 1978 წლიდან გადის.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა

**გამომძიებელი რეპორტიორი** - ჟურნალისტური გამოძიების პროექტი, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. პროექტის ავტორები არიან ლია ტოკლიკიშვილი და მაია გოგოლაძე. პროექტის მიზანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დაფარული ფაქტებისა და მხარეების ძიება და გამოვლენა. გამოძიების თემები შეირჩევა საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელთა წერილების მიხედვით.




პროექტზე მუშაობდა ორი ავტორი, სამი ჟურნალისტი, ერთი მემონტაჟე, ერთი ტექნიკური პროდიუსერი. მომზადებულ ფილმებს მაღალი რეიტინგი ჰქონდა, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე Youtube-ის მომხმარებელთა შორის.

საანგარიშო პერიოდში „გამომძიებელმა რეპორტიორმა“ სამი საგამოძიებო ფილმი მოამზადა:

- „სახელმწიფოს უკანონო შვილები“ ;
- „უცნობი „რუსთავი 2";
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი - თვითლუსტრაცია უნდა დაიწყოს“

ფილმს „სახელმწიფოს უკანონო შვილები“ ფართო გამოხმაურება მოჰყვება როგორც მაყურებლის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. ფილმში ასახული პრობლემით - აჭარის ეკომიგრანტთა მდგომარეობით - დაინტერესდა ევროკავშირის მისია საქართველოში. მისიის წარმომადგენლები ეწვივნენ ეკომიგრანტთა დასახლებას

ხელვაჩაურში, შეისწავლეს მათი მდგომარეოდა. შედეგად რამდენიმე ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ბინით, ეკომიგრანტთა დასახლებაში გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები, გაჩნდა პრობლემის უფრო სწრაფი მოგვარების პერსპექტივა.

ფილმმა „უცნობი „რუსთავი 2" ასევე გამოიწვია მაყურებლის დიდი ინტერესი, რაც აისახა საგრძნობლად მაღალ რეიტინგში როგორც საეთერო ჩვენებისას, ასევე ელექტრონული ფორმატით გავრცელებისას.

2015 წლის 20 იანვარს „გამომძიებელი რეპორტიორი" დაჯილდოვდა ევროკავშირის პრიზით ფილმისთვის „ოქროსთვის შეწირულთა ქალაქი".

პროექტი „გამომძიებელი რეპორტიორი" ხორციელდება ძალზე მწირი ადამიანური და ტექნიკური რესურსით. ჯგუფს არ ჰყავს რეჟისორი, ტექნიკური პერსონალი, არ აქვს ტექნიკა და მოკლებულიაა ასეთი რთული და შრომატევადი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა სხვა რესურსს. სამი ჟურნალისტი, რომელიც ამ ჯგუფში მუშაობს, არ არის საკმარისი თვეში ორი საგამოძიებო ფილმის მოსამზადებლად. პროექტის ავტორებმა არართხელ მიმართეს სახოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას პროექტზე მომუშავე ჯგუფისა და პროექტის ტექნიკური ბაზის გაძლიერების თხოვნით.

2015 წლის დეკემბრის დასაწყისში პროექტი შეჩერდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის ზეპირი მითითების საფუძველზე. პროექტის შეჩერების მიზეზად დასახელდა საგამოძიებო მიმართულების გაძლიერების აუცილებლობა, ჯგუფის ტექნიკური აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსით გაძლიერების საჭიროება, თუმცა ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორატის მიერ დღემდე არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი.

3. პრობლემები

## 4.1 საინფორმაციო სამსახური

„მოამბის“ სტუდია ვერ უზრუნველყოფს HD ხარისხს და საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას. მსგავსი ცვლილება უკვე განხორციელდა 1-ელ და „კომუნიკატორის“ სტუდიებში.

სერიოზულ პრობლებას წარმოადგენს კამერების ტექნიკური მდგომარეობა. კამერების პარკი მნიშვნელოვან გადახალისებას საჭიროებს.

## 4.2 მე-2 არხის გადაცემები

მე-2 არხის მაყურებელთა გამოხმაურების მიხედვით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ მაუწყებლობის ხარისხი და ზონა მნიშვნელოვნად შემცირდა. მე-2 არხის რედაქციის ინფორმაციით მეორე არხს რეგიონებში და თბილისის სხვა და სხვა რაიონებში პრობლემები ექმნება. ზოგან ხმა არ ისმის, ზოგან გამოსახულება არ ვარგა, უმრავლეს ადგილებში კი საერთოდ არ არის ჩვენება.

მე-2 არხის სტუდიაში დღემდე არ არის სკაიპით ჩართვის საშუალება, რაც საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთინ რესპოდენტების ჩართვის დროს პრობლემებს ქმნის.

2015 წლის დეკემბრის დასაწყისში პროექტი „გამომძიებელი რეპორტიორი“ შეჩერდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის ზეპირი მითითების საფუძველზე. პროექტის შეჩერების მიზეზად დასახელდა საგამოძიებო მიმართულების გაძლიერების აუცილებლობა, ჯგუფის ტექნიკური აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსით გაძლიერების საჭიროება, თუმცა ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორატის მიერ დღემდე არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი.

პრობლემებია გადაცემის „არგუმენტების დრო“ დეკორაციასთან დაკავშირებით მაგიდა, სადაც წესით წამყვანთან ერთად ოთხი ადამიანი უნდა დატეულიყო ორი რესპოდენტის მეტს ვერ იტევს, რაც ხშირად პრობლემატურია. მაგიდისგან მოშორებით მდგარი სავარძლები, რომლებიც სტუმრებისთვის არის გათვალისწინებული, მოწყვეტილია წამყვანის მაგიდას იმდენად, რომ საუბრის დროს ბევრ გაუგებრობას ქმნის, რის გამოც რედაქცია სავარძლებს აღარ იყენებს.

მე-2 არხის გადაცემების რედაქციებს ესაჭიროება პრინტერი და საოფისე კომპიუტერები.

როგორც მე-2 არხის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, თითქმის ყველა პროექტი ხორციელდება წარმოუდგენლად მწირი ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. არხის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა თხოვნით, მენეჯმენტს, განეხილა და გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის, სასურველი ხარისხის მედიაპროდუქტის წარმოებას.

### 4.3 რადიოს საინფორმაციო სამსახური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები

ორივე სტრუქტურული ერთეულის მთავარი პრობლემა უკავშირდება რადიო სიგნალის გავრცელებას. მარეგულირებლის მიერ „საზოგადოებრივი რადიო 1“-ისათვის გამოყოფილი 21 სამაუწყებლო ზონიდან მაუწყებლობა ხორციელდება მხოლოდ 11-ში. არსებული გადამცემებიც არ შეესაბამება დამტკიცებულ სიმძლავრეებს და ხშირად გამოდის მწყობრიდან.

შედეგად, რადიოპროგრამების აუდიტორია მნიშვნელოვნად მცირდება, რაც საერთო ჯამში რადიოპროგრამების ეფექტურობას მნიშვნელოვნად აქვეითებს. ხშირად გადაცემა ეძლვნება რეგიონს ან რაიონს და მიზნობრივი აუდიტორია ამ გადაცემას ვერ ისმენს.

გადასახალისებელია პირდაპირი ეთერის სტუდიის აღჭურვა, პირველ რიგში, განათება და მიკროფონები.

მაუწყებლის მიერ არჩეული მულტიმედიური მაუწყებლობის სტრატეგიის ფონზე აუცილებელია, რომ რადიოს ვიდეოტექნიკა თავსებადი იყოს ყველა პლატფორმასთან. ამისათვის საჭიროა ახალი კამერების, მართვის პულტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რედაქციები განიცდიან კომპიუტერული ტექნიკის მწვავე დეფიციტს. არსებული ტექნიკის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

რადიოს თანამშრომლები მუშაობენ არადამაკმაყოფილებელ პირობებში. რადიოს რედაქციების ოთახები გასარემონტებელია და სათანადოდ არ თბება. სავალალო მდგომარეობაშია საოფისე ავეჯი.

რადიო კორესპონდენტები სარგებლობენ პრესისათვის განკუთვნილი დიქტოფონებით და აუდიო ჩანაწერის ხარისხი რადიოეთერისათვის უხარისხოა. მულტიმედიური

მაუწყებლობის სტრატეგიიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მათი სმარტფონებით ჩანაცვლება ჟურნალისტებს მულტიმედიური პროდუქტის საშუალებას მისცემს:

- ხმის ჩაწერა;
- ვებ-გვერდისთვის ფოტო მასალის გადაღება;
- ვებ-გვერდისთვის ვიდეო მასალის გადაღება;
- ჩაწერილი და გადაღებული მასალის მარტივი და სწრაფი მონტაჟი ადგილზე;
- დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე ჩაწერილი და გადაღებული მასალის რედაქციაში ოპერატიულად გადაგზავნა ან ინტერნეტში ატვირთვა;

„მოამბის“ ჟურნალისტები რეგიონებსა და უცხოეთში მივლინებების დროს აქტიურად თანამშრომლობენ რადიოსთან. ამავე დროს, თბილისში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, ტელეკორესპონდენტთა მუშაობის მაღალი ტემპის გათვალისწინებით, ისინი რადიოეთერში ჩართვას, როგორც წესი, ვერ ახერხებენ. მას შემდეგ რაც „მოამბე“ ეთერში 2-საათიანი ინტერვალით გადის, ტელეჟურნალისტთა რადიოეთერში ჩართვა კიდევ უფრო გართულდა. ამ ფორნზე რადიოს საინფორმაციო სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. დღეისათვის რადიოს ნიუსრუმში მხოლოდ 3 კორესპონდენტი მუშაობს.

4. **სამომავლო გეგმები**

**5.1 საინფორმაციო სამსახური**

მნიშვნელოვნად გაიზრდება **საინფორმაციო სამსახურების ინტეგრაციის** ხარისხი. 2016 წელს საკონსულტაციო კომპანია შეიმუშავებს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობას, რაც ახალი გზამკვლევი გახდება ერთიანი ნიუსრუმის მშენებლობის გზაზე.

პარალელურად დაიწყება ახალი ნიუსრუმის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

მომავალ საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდება **წინასაარჩევნო მოვლენები**. საინფორმაციო სამსახური მეტი მოცულობით გააშუქებს წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შედეგებს, პარტიების საარჩევნო კამპანიებს და მათ პროგრამებს.

20:00 საათიანი „მოამბის" ახალი ფორმატის ჩამოყალიბება დასრულდება. ამავე დროს 2016 წლის პირველი კვარტლიდან პროგრამაში ჯდება **18:00 საათიანი „მოამბის"** გამოშვება, რომლის ხანგრძლივობაც 1 საათით განისაზღვრა, ეს გამოშვება „ყველა ახალი ამბავის" გაშუქების პრინციპით მუშობს და რესპოდენტების პირდაპირ ეთერში ჩართვას ითვალისწინებს. 18:00 საათიანის ფორმატი განსაკუთრებით აქტუალური გახდება საარჩევნო პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტების აქტივობის მაქსიმალურად გაშუქება.

**5.2 გადაცემები**

2016 წელი მნიშვნელოვანია ახალი სტრუქტურისა და ინტეგრირებული რედაქციების იმპლემენტაციის თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად გაიზრდება საინფორმაციო სამსახურსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს შორის კოორდინაცია.

2016 წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები იმართება. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი მიზანია არჩევნების ეფექტურად, დაბალანსებულად და ობიექტურად გაშუქება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საარჩევნო გარემოსა და პროცესების მონიტორინგს, საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებასა და ანალიზს. გაიმართება წინასაარჩევნო დებატები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს აუდიტორიის კვლევის ჩატარებას, რაც მნიშვნელოვანი გზამკვლევი გახდება საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდება ცვლილებების პაკეტი. შესაძლოა კორექტივები

განიცადოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების თემატიკამ, მიწოდების ფორმებმა და სამაუწყებლო ბადემ.

საანგარიშო პერიოდში მეორე არხის შემოქმედებითი გუნდის მიერ შემუშავდა და მენეჯმენტს წარედგინა, დილის საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამის პროექტი - „პოლიტიკური დილა“. მეორე არხის შემოქმედებითი გუნდის ღრმა რწმენით, ასეთი პროექტი სჭირდება პოლიტიკით დაინტერესებულ მაყურებელს, მით უფრო, რომ ასეთი ნიშა, ქართულ ტელე ბაზარზე ჯერ დაუკავებელია.

მეორე არხის შემოქმედებითი გუნდის მიერ ასევე შემუშავებულია საღამოს თოქ-შოუს ფორმატი, რომელიც ასევე წარდგენილია მენჯმენტისთვის.

2016 წლის პირველ კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ჩაეშვება შემდეგი გადაცემები:

**მოამბე კვირას** - ახალი პროგრამა საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და ეთერში 2016 წლის 17 იანვარს გავიდა. გადაცემაზე „მოამბის“ შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო-ანალიტიკური ფორმატი პროგრამა გადის 20:00 საათზე და მისი ქრონომეტრაჟია 1 საათი;

გადაცემის მიზანია მაყურებელს შესთავაზოს ანალიტიკური და დაბალანსებული რეპორტაჟები კვირის განმავლობაში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ თემებზე. გადაცემა დაყოფილია ბლოკებად, თითოეულ სეგმენტში გაშლილია კვირის ერთი მთავარი თემა (პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური), სტუდიაში თემაზე სასაუბროდ ვიწვევთ სტუმარს, ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს და მასთან ინტერვიუს მიზანია მაყურებელმა შეიტყოს რა შედეგს იქონიებს მოცემული საკითხი საზოგადოებაზე ან სად არის პრობლემის გადაჭრის გზები.

მეორე ბლოკი ძირითადად საერთაშორისო პოლიტიკას და მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების მიმოხილვას და ანალიზს ეთმობა.

კვირის მოამბის მაყურებელს შეუძლია გადაცემაში ინტეგრირებული კოლაჟების საშუალებით გაიგოს გასული კვირის ძირითადი შიდა და საგარეო პოლიტიკური მოვლენები.

**ცხოვრები ციფრებში** - პრეოქტის პირველი გადაცემა ეთერში 2016 წლის 9 თებერვალში გავიდა. მისი ავტორი და წამყვანია შოთა დიღმელაშვილი. გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამშბათს მოამბის შემდეგ;

**ვექტორი** - ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი და ანალიტიკური გადაცემა მიმოიხილავს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. გადაცემის ქრონომეტრაჟია 26 წუთი. პროგრამა ორიენტირებულია 18-45 წლის აუდიტორიაზე, რეგიონების მოსახლეობასა და ეთნიკური უმცირესობებზე. პროექტზე დასაქმებულია 2 წამყვანი, პროდუსერი და კორესპონდენტი. პროექტი 2016 წლის იანვრიდან იწყება;

**ჩვენი საქართველო** - ყოველკვირეული ინტერაქტიული თოქ-შოუს მიმართულებაა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი გიორგი გუგუშვილი და საზოგადოებრივი რადიოს ყოფილი თანამშრომელი კობა ჩოფლიანი. პროგრამა იქნება ყოველკვირეული და ის გავა დღის საეთერო ზოლში (16:10-16:50 სთ).

### 5.3 ტექნიკური აღჭურვა

2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ტექნიკური გადაიარაღების ხარჯები. რადიოსთვის პრიორიტეტულია გადამცემების შეძენა, სტუდიური განათების და მიკროფონებისა შეცვლა.

## კრეატიული ბლოკი

კრეატიულ ბლოკში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- o საბავშვო და ახალგაზრდული მიმართულება
- o კულტურისა და ხელოვნების მიმართულება;
- o საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულება;
- o გასართობი მიმართულება;
- o სპორტული მიმართულება;
- o Cross –Genre მიმართულება;
- o ტელეფილმების სტუდია;
- o ინოვაციური ლაბორატორია.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავდა ოქტომბერი, ნოემბერი დეკემბრის თვეებს კრეატიულ ბლოკში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები:

2015 -2016 წლის ახალი სატელევიზიო სეზონის ცლილებების შედგად, დაიხურა „დღის გადაცემათა რედაქცია“, გადაცემა „ყოჩაღების ქუჩაზე“ და გადაცემა „პროფესია ჯარისკაცი“.

საგანმანათლებლო შემეცნებით მიმართულებაში გადაცემა „შეხვედრები მწერალთა სახლში“-ს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა მას გადაცემა „კალენდარი“. სპორტულ მიმართულებაში გადაცემა „არენა“-ს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა მას „სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად“.

საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულებას - 2 ნოემბრიდან დაემატა გადაცემა

„პირადი ექიმი მარი მალაზონია“, 1 დეკემბრიდან რადიო გადაცემა „სოფლის დილა“ კულტურისა და ხელოვნების მიმართულებას - 2 ნოემრბიდან დაემატა გადაცემა

„ტრანსმისია“ , 9 ნოემბრიდან გადაცემა „მუსიკოლოგოსი და გადაცემა „დღე მუზეუმში“.

საბავშვო და ახალგაზრდულ მიმართულებას - 2 ნოემბრიდან დაემატა გადაცემა „წიგნების თარო“, ხოლო 9 ნომებრიდან დაემატა გადაცემა „ადამიანი კამერით“,

გასართობ მიმართულებას - 1 დეკემბრიდან დაემატა დაჯილდოების ცერემონიალი „წლის საუკეთესო“ და რადიო გადაცემა „რა სურთ ქალებს“.

Cross –Genre მიმართულებას - 2 ნოემბრიდან დაემატა გადაცემა „ბრაუზერი“;

ტელეფილმების სტუდიას - 9 ნოემბრიდან დაემატა გადაცემა „ეკიპაჟი“ და გადაცემა „ზღვარზე“.

2015 წლის ოქტომბერი ,ნოემბერი, დეკემბრის თვეში პირველი არხის ეთერში გაშვებული გადაცემები:

**საბავშვო და ახალგაზრდული მიმართულება**

ამ ჟანრის განვითარებას საზოგადოებრივი მაუწყებელი სტრატეგიულ პრიორიტეტად განიხილავს. საზოგადობრივმა მაუწყებელმა უნდა შეავსოს ის ნიშა, რომელიც საქართველოს მედია ბაზარზე დღეს თავისუფალია. ეს არის ბავშვებისა და ახლაგაზრდებისთვის ხარისხიანი შემეცნებითი და კულტურული გადაცემების შეთავაზება. საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს სპეციალურად ბავშვებისათვის დამზადებული და კომპეტენტურ პედაგოგიკაზე დაყრდნობილი პროქტების განხორციელებას. პროდუქციის წარმოებაში ახალგაზრდების ჩართვა კიდევ უფრო გაზრდის როგორც ახალგაზრდა აუდიტორიის ინტერესს, ასევე აამაღლებს გადაცემების ხარისხსა და აქტუალურობას.

მნიშვნელოვანია, ახალი თაობის მოზიდვა,რადგან ამ სამიზნე აუდიტორიას ის საკუთარი საერთო პროდუქტის პოტენციურ მომხმარებლად ხედავს.

ამჟამად ეს მიმართულება მოიცავს ორ გადაცემას: გადაცემა „წიგნების თარო“ და გადაცემა „ადამიანი კამერით“.

**1. გადაცემა „წიგნების თარო“**

ეთერში გასვლის დრო - შაბათი და კვირა, 19:30. IV კვარტალის პერიოდში გადაცემა ძირითადად იმყოფებოდა მოსამზადებელ რეჟიმში, მთელი საქართველოს მასშტაბით სკოლებში ატარებდა სკაიპ ინტერვიუებს და გასაუბრების შედეგად არჩევდნენ მონაწილეებს. აქედან გამომდინარე მისი ეთერში გაშვება მოხდა 16 იანვარს.

ანოტაცია -გადაცემა “წიგნების თარო” ახალგაზრდული შემეცნებითი ტელეთამაშია, რომლის თემატიკას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს. თამაშის მონაწილეები 15-

16 წლის მოზარდები არიან. თამაში შვიდი რაუნდისა და ბლიც-ტურისგან შედგება. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ წიგნს გამოიცნობს. თამაშში ასევე მონაწილეობს მოწვეული სტუმარი, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც რიგ შემთხვევებში ბავშვების დახმარებას ცდილობს.გამარჯვებული სკოლის გუნდს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2 კვირით დიდი ბრიტანეთის საზაფხულო სკოლაში გაგზავნის.

სამიზნე აუდიტორია -გადაცემის მთავარ სამიზნე ჯგუფს ახალგაზრდები წარმოადგენენ (13-24), თუმცა პროექტი დიდ სამიზნე აუდიტორიაზეა გათვლილი. მისი კონტენტი და ფორმა ერთნაირად საინტერესოა სხვადასხვა ასაკის, სქესისა და გემოვნების მქონე ადამიანებისთვის.

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა -პროექტი სრულ შესაბამისობაშია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან. ის არხის მისიისა და მოქმედების პრინციპის სამივე მიმართულებას შეიცავს - "ინფორმირება, განათლება, გართობა." ამასთანავე საბავშვო/ახალგაზრდული მიმართულების განვითარება არხის სტრატეგიული პრიორიტეტია.

საზოგადოებრივი ღირებულებები - პროექტის მიზანია საქართველოს მცირეწლოვან მოქალაქეებში კითხვის ინტერესის გაჩენა, მათი მკითხველებად ჩამოყალიბება, წიგნისა და განათლების პოპულარიზაცია.

შერჩევა და საეთერო ბადეში ჩაშვება -"წიგნები სთარო" საზოგადოებრივი მაუწყებლის კონკურსში საბავშვო მიმართულების პროექტებს შორის საუკეთესოდ დასახელდა და შედეგად ჩაეშვა საეთერო ბადეში.

რა არის სიახლე- ეს არის ორიგინალური ქართული ტელეპროექტი, რომელიც მთლიანად მხატვრულ ლიტერატურაზეა მორგებული და ყველამხრივ მოზარდებზეა გათვლილი. „წიგნების თაროში" წიგნის სიყვარული გართობითა და კონკურენციის სურვილით მიიღწევა.

სამუშაო საღწერა - გამომდინარე იქიდან რომ მონაწილეები სკოლის მოსწავლეები არიან, გადაცემების ჩაწერა შაბათობით ხდება, შემდეგ კი მონტაჟდება მომდევნო შაბათ-კვირისთვის. აღსანიშნავია, რომ „წიგნების თაროს" ძალიან აქტიური ფეისბუქის გვერდი აქვს, რომელზეც სხვადასხვა გათამაშებები და აქტივობებია, პირველი არხის ვებზე ბლოგების კონკურსი იმართება, უახლოეს მომავალში კი რადიოგადაცემაც გაკეთდება.

- გადაცემის ეთერში ჩაშვებამდე იყო ვერსიები, „წიგნების თაროში“ ყოფილიყო ფოტო და ვიდეო შეკითხვებიც, რაც ამ ეტაპისთვის ვერ მოხერხდა, თუმცა მეორე სეზონის შემთხვევაში აუცილებლად გავაკეთებთ. გარდა ამისა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა შემოქმედებითი ჯგუფის სკოლებში სტუმრობაც. ასევე გვაქვს სურვილი გადაცემას ჰქონდეს ბილბორდები და პრომო გავიდეს კინოთეატრებში. იქიდან გამომდინარე კი, რომ გადაცემა საბავშვოა, „წიგნების თაროში“ ვერ ხერხდება რეკლამისა და ე.წ. პროდაქტ პლეისმენტის ჩასმაც, რის გამოც ბევრ პრიზზე მოგვიწია უარის თქმა.

სამომავლო ხედვები - რაც უფრო მივუახლოვდებით ფინალებს, ვგეგმავთ გადაცემის გამრავალფეროვნებას. იქიდან გამომდინარე კი, რომ ფეისბუქის გვერდზე სტუდენტები აქტიურად გამოთქვამენ მონაწილეობის მიღების სურვილს, ვგეგმავთ პირველ და მეორე სეზონს შორის შუალედური (მოკლე) სეზონის გაკეთებას, ამჯერად სტუდენტებისთვის.

## 2. გადაცემა „ადამიანი კამერით“

IV კვარტალის პერიოდში გადაცემა იმყოფებოდა მოსამზადებელ რეჟიმში, სამუშაო ჯგუფი

არჩევდა გადაცემაში მონაწილე კანდიდატებს.

„ადამიანი კამერით“ 16 იანვარს გავიდა ეთერში. გადაცემა არის ფოტოგრაფებზე და ფოტოგრაფიაზე - წინასწარ შერჩეული 12 მონაწილე ფოტოგრაფი ეჯიბრება ერთმანეთს მენტორების მიერ დასახელებული თემების შესრულებაში. პირველი ეტაპიდან 6 ფოტოგრაფი გადადის მეორე ეტაპზე, მეორედან მესამეზე - სამი, ხოლო გამარჯვებული ერთი ფოტოგრაფი ხდება. გადაცემა საეთერო ბადეში კონკურსის გავლის შემდეგ მოხვდა.

სამიზნე აუდიტორია: ნებისმიერი ადამიანი ვინც ფოტოგრაფიითა და ხელოვნებითაა დაინტერესებული. ასაკის შეუზღუდავად. გადაცემის მსვლელობისას ჟღერდება ინფორმაცია ფოტოგრაფებზე, ფილმებზე, მხატვრებსა და არტისტებზე, რომლებმაც გარკვეული როლი შეიტანეს ხელოვნების განვითარებაში, ამიტომ, გადაცემას შემეცნებითი დანიშნულებაც აქვს.

„ადამიანი კამერით“ არის ერთადერთი შემეცნებით-გასართობი გადაცემა ფოტოგრაფიაზე ქართულ ტელესივრცეში. მის პოპულარობას ხაზს უსვამს განსაკუთრებული აქტიურობა გადაცემის ფეისბუქ გვერდზე.

გადაცემაზე რამდენიმე ადამიანი მუშაობს - რეჟისორი, მემონტაჟე, ოპერატორები, წამყვანი, მენტორები, პროდიუსერი და კოორდინატორი. გადაღებებზე გასვლისას უმეტეს შემთხვევაში საჭიროა წინა მოსამზადებელი სამუშაოები. მაგალითად, რადგანაც გადაღებები მხოლოდ თბილისში არ გვაქვს და ვიღებთ საქართველოს რეგიონებშიც, წინასწარ ვერ ვახერხებთ ლოკაციების მონახულებას, რაც გადაცემის დაგეგმვაში გვიშლის ხელს. შესაძლოა, რომ მონაწილის მიერ არჩეული ლოკაცია საერთოდ გამოუსადეგრი აღმოჩნდეს გადაღებისთვის და ახალი ადგილის მოძებნა მოგვიწიოს, ან დიდი დრო მოვანდომოთ იმ კონკრეტული ლოკაციის ჩვენთვის მისაღებ მდგომარეობაში მოყვანას.

იგეგმება ფეისბუქ გვერდის კიდევ უფრო გააქტიურება სადაც, გარდა კონკურსებისა და გადაცემის მასალებისა, აქტიურად აიტვირთება საინფორმაციო სახის მასალა.

## კულტურისა და ხელოვნების მიმართულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის კულტურულისა და ხელოვნების მიმართულება ემსახურება ზოგადად კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, კულტურული ფასეულობების მიწოდებას ეს იქნება ფოლკლორის, ისტორიულ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, მეცნიერულ, თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა წარმოჩენას და პოპულარიზაციას საზოგადოებაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფა ტალანტების გამოსავლენად;

ამჟამად ეს მიმართულება მოიცავს შემდეგ გადაცემებს: „უცნობი მუსიკა“, „კალენდარი“, „ტრანსმისია“, „მუსიკოლოგოსი“, „დღე მუზეუმში“.

## 3. გადაცემა „უცნობი მუსიკა“

გადაცემის წამყვანები: კახა თოლორდავა და გიორგი ხადური

გადაცემის პროდიუსერი და რეჟისორი: თამარ ციციშვილი

გადაცემის ქრონომეტრაჟი: 1:30 სთ

გასული გადაცემების რაოდენობა: 8 გადაცემა

სამიზნე აუდიტორია - განსაზღვრულია ძირითადად მუსიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის განუსაზღვრელად ასაკობრივი ზღვარისა.

„უცნობი მუსიკა“ შემეცნებით-გასართობი პროექტია, რომლის ყურადღების ცენტრში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ისეთი მუსიკალური მოვლენებია, რომლებიც განსაზღვრავენ მუსიკალური კულტურის დღევანდელ სახეს. ვინაიდან ასეთი მუსიკა ხშირად მსმენელისაგან განსაკუთრებულ უნარებსა და ყურადღებას მოითხოვს, ის იშვიათად ხვდება ადგილობრივ ტელე თუ რადიო გადაცემებში და ის სწორედ "უცნობი" მუსიკის კატეგორიად აღიქმება.

მუსიკა უბრალოდ აკუსტიკური მოვლენა კი არა, არამედ სამყაროს აღქმისა და გაგებისათვის ერთ-ერთი აუცილილებელი იარაღია. მუსიკა საზოგადოებებში მიმდინარე ცვლილებების ამსახველი მოვლენაა და ამის გამო ბევრი მნიშვნელოვანი კულტუროლოგი მიიჩნევს, რომ საზოგადოებების შესწავლა ბევრად უფრო პროდუქტიულია ამ საზოგადობებში გაჩენილი აკუსტიკური კულტურების მეშვეობით, ვიდრე მათი ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. „უცნობი მუსიკა“ სწორედ მსგავს პოსტულატებზე დაყრდნობით ვითარდება და ცდილობს გარკვევით დაანახოს თავის მაყურებელსა და მსმენელს, თუ როგორ როლს თამაშობდა და თამაშობს სხვადსხვა საზოგადოებებში გაჩენილი აკუსტიკური ფენომენები ამა თუ იმ საზოგადოების ჩამოყალიბებაში და როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა ტრეიტორიებზე გაჩენილი მუსიკალური კულტურები სხვა დანარჩენი საზოგადოებების მუსიკალურ და არა მხოლოდ მუსიკალურ მდგომაროებაზე.

2015 წლის მეოთხე კვარტალში „უცნობი მუსიკის “ ახალი სეზონი ჯაზის ბიგ-ბენდების ისტორიით გაიხსნა. გადაცემაში წამყვანებმა სტუმრთან - მწერალ ზურაბ ქარუმიძესთან ერთად, ისაუბრეს ჯაზის ბიგ-ბენდის წარმოშობა-განვითარებაზე და მის შემდგომ მეტამორფოზებზე.

ჯაზის ისტორიის შემდეგ „უცნობ მუსიკის“ მსმენელმა კლასიკური მუსიკის სამყაროში გადაინაცვლა. გადაცემის ავტორებმა მათ ლეგენდარულ ქართველ კომპოზიტორთან - გია ყანჩელთან ერთად, მსმენელს არვო პიარტის შემოქმედება გააცნეს. გადაცემის მეორე ნაწილში კი, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა და მოესმინა არვო პიარტის „ტაბულა რასა“ ლვოვის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით.

კლასიკური მუსიკის მოყვარულებს მომდევნო გადაცემაში ავტორებმა არფის ისტორია შესთავაზეს და გადაცემაც არფის თვალსაჩინო შემსრულებლის ედმარ კასტანედას პერფორმანსით დაასრულეს.

მეოთხე კვარტალში გადაცემაში „უცნობი მუსიკა“ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა ნორვეგიულ ჯგუფს „Jaga Jazzist” -ს; ამერიკულ როკ ბენდს „Greatfull dead”-ს; მოესმინათ ამერიკული პოპულარული მუსიკის ისტორია და გასცნობოდნენ, ამ ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს - „Tin Pan Alley” -ს და „Brill Building”-ს; მიეღოთ ინფორმაცია გასული საუკუნის 60-იანი წლების ფსიქოდელიური კონტრკულტურის შესახებ და მოესმინათ ფინური ფსიქოდელიური ფოლკის გამორჩეული მუსისკოსისათვის - „ Lau Nau”;

გადაცემის „კალენდარი“ პროექტი დამტკიცდა 2015 წლის ნოემბერში და ამჟამდ იგი მომზადების სტადიაშია. გადაცემის მიზანია წარმოაჩინოს ჩვენ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნება ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებზე. გადაცემის ავტორი და წამყვანი სტუმართან, ან რამდენიმე სტუმართან ერთად საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, საინტერესო და აქტუალურ თემებზე საუბრობს. ასევე, გადაცემის თემაზე მზადდება სიუჟეტი და საიმფორმაციო კოლაჟი. გადაცემას არ ჰყავს გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფი. გადაცემის მაყურებელია ყველა, ვისაც აინტერესებს საქართველოს საზოგადოებრივი მოღვაწეების აზრი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

შინაარსობრივად, გადაცემა „კალენდარი“ არის 2014 – 2015 წწ პროექტის „საუბრები მწერალთა სახლში“ გაგრძელება. შეიცვალა მხოლოდ ფორმატის რამდენიმე დეტალი, მაგალითად, ამჟამად მზადდება ახალი დეკორაცია, გრაფიკული შეფუთვა, აგრეთვე გადაცემის ფორმატს დაემატა სიუჟეტი, რომელიც იქნება სტუმართან საუბრის განმარტებითი და დამხნარე ელემენტი. ასევე, ვიზუალურ მახრეს შეემატა ვიდეო-კალენდარი, რომელში მოთხრობილი იქნება საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებს შესახებ.

სავარაუდოდ, გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში გავა 2016 წ. გაზაფხულზე. მომზადების სტადიაშია გადაცემის პრომო და ანოსი.

**5. გადაცემა „ტრანსმისია“**

ყოველ შაბათს, 21:00 საათზე.

გადაცემის მიმართულება და საზოგადოებრივი ღირებულებები: ტრანსმისია 30 წუთიანი ექსპერიმენტია, რომლის მთავარი ამოცანაა კულტურულად აუთვისებელ სივრცეებში

კრეატიული პროცესების ინიცირებით წაახალისოს მასების შემოქმედებითობა და გააფართოვოს მათი წვდომა თანამედროვე ხელოვნების აქტიურ პროცესებზე. სხვადასხვა სოციო-კულტურული ჯგუფებისა და არტისტების აქტიური კომუნიკაციის შედეგად კი გაზარდოს ხელოვნების სამომხმარებლო სივრცე და შექმნას შემოქმედებით-გასართობი პლატფორმა თავისუფალი იმპროვიზაციებისათვის. გადაცემას საგანმანათლებლო და საინფორმაციო დატვირთვაც აქვს - სადაც მაყურებელი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების შესახებ ძალიან მარტივი, ადაპტირებული ენით იგებს.

სტრუქტურა: გადაცემა შედგება სამი ბლოკისაგან, თითოეულში მოწვეული არტისტი ცდილობს სპონტანური შემოქმედების აქტით მისთვის უცნობ სივრცესა და ხალხს დაუკავშირდეს და მოცემულ დროში სახელოვნებო პროდუქტი შექმნას.

სამიზნე აუდიტორია: საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები 15-იდან 30 წლამდე, ხელოვნებით დაინტერესებული პირები, სახელოვნებო დისციპლინებში მომუშავე მოსახლეობის ნაწილი.

მომავალში გადაცემა ეცდება მეტი წვდომა იქონიოს თბილისს-გარე რეგიონებზე. გადაცემა საეთერო მასალის მომზადების გარდა გეგმავს ცალკეულ ინტერნეტ აქციებსა და პროექტებს რომლებიც თემატურად გადაცემაზე იქნება მიბმული, ეს პროექტები მარტივი შემეცნებით-გასართობი ხასიათის ფორმას შეიძენს.

**6. გადაცემა „მუსიკოლოგოსი“**

გადაცემის ანოტაცია: XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ხელოვნება გამოხატვის განსაკუთრებით რადიკალურ ფორმებს მიმართავს, ეს შეეხო მუსიკასაც. ამ დროს, ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა რეჟიმი კრძალავდა, ან ებრძოდა ყველაფერს პროგრესულს, რაც ასოცირდებოდა დასავლურ თანამედროვე კულტურასთან. ამ გადაცემით ვეცდებით, მაყურებელს გავაცნოთ "გამოტოვებული" პერიოდი, ვაზიაროთ თანამედროვე მუსიკაში მიმდინარე პროცესებს (თუ რა იქმნება დღეს, რა ხაზით ვითარდება კლასიკური მუსიკა). მიზეზთა გამო, ასევე, "გამოტოვებული" იქნა შუა საუკუნეების სასულიერო, საერო მუსიკა, რენესანსი, ხოლო ბაროკო დამახინჯებული სახით დამკვიდრდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყველა ეს ზემოაღნიშნული ეპოქა და მიმდინარეობა ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცევა, შეფასდება დღევანდელი გადმოსახედიდან: რა ზეგავლენას ახდენს ყოველივე ეს მეინსტრიმზე, პოპკულტურაზე, ხელოვნების სხვადასხვა დარგზე და არსებულ სოციუმზე.

გადაცემაში იქნება საინტერესო შერწყმა პროფესიონალი კომპოზიტორისა და შემსრულებლის შეხედულებებისა, რომლებიც ხანდახან არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც გამოიწვევს საინტერესო დისკუსიას.

სამიზნე აუდიტორია: სრული სპექტრი

პრობლემები: იყო ტექნიკასთან, კერძოდ, ხმასთან დაკავშირებული პრობლემები, ტექნიკის გაუმართაობის გამო, რომელიც უკვე აღმოფხვრილია.

სამომავლო ხედვები: პირველი გადაცემა გავიდა 09.01.2016 წელს, ჯერ მხოლოდ 4 გადაცემა ნახა მაყურებელმა, გადაცემების გასვლის შემდეგ ხშირი კონსულტაციების, მაყურებლსა და რეიტინგზე დაკვირვების შედეგად ვაპირებთ შევცვალოთ გადაცემის ფორმატი, დავტვირთოთ მეტი მიკრობლოკებით, წამყვანებს ქონდეთ თავისი ბლოკები და შევცვალოთ არსებული ფორმატის სტანდარტი, რომ ორივე წამყვანი ერთად უნდა იყვნენ მთელი გადაცემის მსვლელობისას. გადაცემა დავტვირთოთ სხვადასხვა ლოკაციებით და ვიზუალით.

ასევე ვაპირებთ აუდიტორიის დამატებას ერთ ბლოკში.

დღევანდელი ფორმატი - ინტრო, სიუჟეტი, დიალოგი კაფეში, სტუმრის ბლოკი.

ფორმატი რომელიც გვინდა - ინტრო, სიუჟეტი, აჩიკოს ბლოკი, ნინოს ბლოკი, სტუმრის ბლოკი, აუდიტორიის ბლოკი,News ბლოკი (მსოფლიოში მიმდინარე მუსიკალური პროცესების გაშუქება) გადაცემის ბოლოს აჩიკო და ნინო ერთად თემის შეჯამება.

ამ ფორმატის შეცვლის შედეგად, გადაცემას დასჭირდება კოორდინატორ/ასისტენტი რომელიც მოაგვარეებს ლოკაციებთან და აუდიტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასევე საჭირო იქნება ჟურნალისტი, რომელიც Newsბლოკს გააკეთებს.

**7. გადაცემა „დღე მუზეუმში“**

ანოტაცია: გადაცემაში საუბარია საქართველოს მუზეუმებში დაცულ განძსა და კოლექციებზე, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც საქართველოს ისტორასა და კულტუაში, ისე მსოფლიო კლტურულ მემკვიდრეობაში.

სამიზნე ადიტორია: გადაცემა განკუთვნილია ყველა თობის მაყურებლისთვის, ვისაც აინტერესებს კულტურა, ისტორია, ქართული და უცხოური განძი, რომელსაც ქართული მუზეუმები ინახავენ.

პროგრამლ პრიორიტეტებთან შესაბამისობა: გადაცემამ გაიმარჯვა 2015 წლის ტენდერში სხვა 7 გადაცემას შორის. მისი შინაარსი და პრორიტეტები განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

გადაცემაში საუბარია საქართველოს მუზეუმებში დაცულ უნიკალურ კოლექციებსა და ექსპონატებზე. მსგავსი ფორმატის გადაცემა (თუ არ ჩავთვლით საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოში მომზადებულ გადაცემას: ,,ისტორია ექსპონატებში“.) საზოგადოებრივ მაუწყებელში პირველად მზადდება 25 წლის შემდეგ.

გადაცემის დამზადების პროცესში არის ტექნიკური ხარვეზები სამონტაჟო აპარატურასთან და მიკროფონებთან დაკავშირებით.

**საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულება**

საზოგადოებრივი მაუწყებლის საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულების მთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტი საგანმანათლებლო გადაცემები, შოუები და სხვა ტიპის პროდუქტი შესთავაზოს აუდიტორიას, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე იქნება გათვლილი. ამ მიმართულებაშია გადაცემები: „ფერმა“, „პირადი ექიმი მარი მალაზონია“, „კარავი“, „ეთნოლოგია“, რადიოს კულტურულ შემეცნებითი პროექტი, რადიო გადაცემა „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები“, „რადიო გადაცემა უფლება და თავისუფლება“, რადიო გადაცემა „სოფლის დილა“, „რადიობლოგერი“.

**8. გადაცემა „ფერმა“**

მოკლე ანოტაცია: სასოფლო-სამეურნეო თემატიკის გადაცემა, რომელშიც ხდება მოქმედი თუ პოტენციური ფერმერებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება - რა, სად, როგორ აწარმოონ და როგორ მიიღონ სასურველი შედეგი, გლეხობის აგრობიზნესში და თანამედროვე ტექნოლოგიებში განათლება, აგრო სექტორში მომუშავე ადამიანებისთვის ადგილობრივი თუ ევროპული ინოვაციების გაცნობა, თანამედროვე მენეჯმენტის პოპულარიზაცია, სამიზნე ჯგუფებისთვის პრაქტიკული რჩევების და რეკომენდაციების მიწოდება დარგის ექსპერტების და წარმატებულ ფერმერთა გამოცდილების გაზიარებით.

სტაფი: წამყვანი, პროდიუსერი, ჟურნალისტი, კოორდინატორი, კონსულტანტი.

სამიზნე აუდიტორია: ფერმერები, გლეხები, აგროსექტორში დასაქმებულები, მეწარმეები, აგრობიზნესში ჩართული ადამიანები, პოტენციური ფერმერები, აგროსექტორში დასაქმების მსურველები, შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასაწავლებლების და კოლეჯების სტუდენტები, საბაღე ნაკვეთების მფლობელები, სურსათის მომხმარებლები.

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა: გადაცემა „ფერმა" სრულად შეესაბამება მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, კერძოდ, ეკონომიკა, ბიზნესი და სოფლის მეურნეობის განვითარება.

საზოგადოებრივი ღირებულებები: ახალი ფერმერული მეურნეობების შექმნის სტიმულირება წარმატებული მეურნეობების მაგალითზე, აგრობიზნესის განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ახალი საწარმოები და ფერმები, ახალგაზრდების დაინტერესება სოფლის მეურნეობით, უბრალო მშრომელი ადამიანების წარმოჩენა, ევროპული გამოცდილების გაზიარება, ფერმერთა განათლება.

გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში განთავსება

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში საზმაუს მიერ გამოცხადებულ შიდა კონკურსში გაიმარჯვა მულტიმედიურმა პროექტმა „ფერმამ", მოვამზადეთ რადიო გადაცემა „სოფლის დილა" (გადის შაბათ-კვირას ლაივში) და საგრძნობლად გავაქტიურეთ ვებ და ფეისბუქ გვერდები. კონკურსის წესით შევარჩიეთ ახალი წამყვანი, მოვიწვიეთ ახალი რეჟისორი და გადაცემა „ფერმა" უფრო დახვეწილი და სრულყოფილი ფორმატით გავიდა ეთერში.

პრობლემა

გადაცემა განახლებული ფორმატით ეთერში გავიდა 2015 წლის დეკემბერში. ეს პერიოდი კი აგროაქტივობის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდული იყო, რამაც ხელი შეუშალა თემატურ მრავალფეროვნებას. გადაცემის მომზადების დროს ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა აუდიო აპარატურის ხარვეზები. ერთ-ერთი ხელშემშლელი იყო სამივლინებო დღეების შეზღუდული რაოდენობა, რაც არ იძლეოდა ობიექტის და ლოკაციების სრულად ათვისების საშუალებას.

სამომავლო ხედვები და რა ვერ შესრულდა: გაჩნდა იდეა გადაცემაში რეგიონალური ჟურნალისტების ჩართვის, მაგრამ ვერ განხორციელდა, რადგან მათ მიერ საპილოტედ

მომზადებულმა სიუჟეტმა შინაარსობლივად და ვიზუალის ხარისხით ვერ დააკმაყოფილა არსებული მოთხოვნები.

სამომავლოდ, შესაბამისი დაფინანსების წყაროს მოძიების შემთხვევაში, ვაპირებთ ევროპული მეურნეობების, თანამედროვე ტექნოლოგიების და აგრო ინოვაციების წარმოჩენას ჩვენს პროექტში, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების განათლებას და უკეთ ინფორმირებას. ვაპირებთ გამოვკვეთოთ აგროჟურნალისტის ფუნქცია და ის ვაქციოთ აგრორეპორტიორად.

**9. გადაცემა „პირადი ექიმი - მარი ლამაზონია“**

ყოველდღიური სამედიცინო თოქ–შოუ „პირადი ექიმი – მარი მალაზონია“ ყოველ სამუშაო დღეს, 10:10–დან 11:00–მდე . გადის პირდაპირ ეთერში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება. გადაცემის წამყვანია ექიმი–ნუტრიციოლოგი მარი მალაზონია, თანაწამყვანები ექიმი–რეაბილიტოლოგი თეა ადამია, ფსიქოლოგი ზურაბ მხეიძე. კვირის დღეების შესაბამისად, გადაცემაში საუბარია ჯანსაღი ცხოვრების წესის სხვადასხვა ფაქტორზე.

სამიზნე აუდიტორია - გადაცემა გათვალისწინებულია ფართო საზოგადოებისთვის, ოჯახისთვის, ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ცდილობს თავიდან აიცილოს სამედიცინო პრობლემები (ახალგაზრდები), ზრუნავს საკუთარ თუ ახლობელ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ცხოვრების ხარისხზე (დედები, დიასახლისები, მამები) ან სწავლობს დაავადებებთან თანაცხოვრებას (საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები).

მულტიმედიალობა - მაყურებელთან ინტერაქცია ხორციელდება პირდაპირ ეთერში და სოციალურ ქსელში. კერძოდ, წამყვანი პასუხობს მაყურებლის კითხვებს გადაცემის მსვლელობისას, პროექტის ფარგლებში აქტიურდება ვებ-გვერდი და Facebook -ი ამ გვერდებს ინტერნეტ-მომხმარებელი ნებისმიერი კითხვით არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გვერდის ინტერაქციაში დღეში საშუალოდ 200-300 მომხამრებელი მონაწილეობს.

სიახლეა გადაცემის საავტორო და არხის ვებ ჯგუფის მიერ შექმნილი პირველი ქართული სამედიცინო აპლიკაცია „თვითშეფასების კითხვარი“, რომელიც აერთიანებს ცხოვრების წესის ანუ ზოგად, ფიზიკური აქტივობის და კვების ნაწილებს. მონაცემების დინამიკური გრაფიკები აპლიკაციის მომხმარებელს თვალსაჩინო წარმოდგენას უქმნის საკუთარი

ცხოვრების წესის ხარვეზებზე. „კონტრაქტი საკუთარ თავთან" კი პირველი ნაბიჯია ცხოვრების წესის შესაცვლელად.

მომავლისთვის იგეგმება: საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე მედიკოსების სკაიპით ერთდროულად ჩართვა და რეგიონული თუ რესპუბლიკური მასშტაბის კონსილიუმები. კონკრეტული ქეისის განსახილველად ტელემედიცინის გამოყენებით. საქველმოქმედო სამედიცინო კონსულტაციების გაგრძელება და ასევე საგანმანათლებლო შეხვედრების გაგრძელება.

**10. რადიოს კულტურულ შემეცნებითი მიმართულება**

მიმართულებაში მომზადებულ გადაცემებში პრიორიტეტი ენიჭება თანამედროვე ცოდნას, ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებას, გლობალური განვითარებისა და მრავალფეროვნების ასახვას. პროდუქცია ემსახურება ადამიანების შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილებას, მათი თვალსაწიერის გაფართოებას, განათლებისა და ცოდნის პოპულარიზებას. აღნიშნული გადაცემები პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება", რაც გულისხმობს გადაცემები კულტურის შესახებ: ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს - კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, წარსულის და თანამედროვე ტენდენციების ასახვა, ასევე საბავშვო გადაცემები. საზოგადოებრივ რადიოს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს", რაც ჩვენ პროდუქციას გამოარჩევს მედიაბაზარზე.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს რაც მნიშვნელოვანია ქართულიკულტურისათვის.

გადაცემების სამიზნე აუდიტორია განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა თემას შეეხება.

ჩვენ ვამზადებთ სხვადასხვა თემატიკის გადაცემებს:

თეატრალური - (**„თეატრალური შეხვედრები", „თეატრალური ნოსტალგია", „თეატრალური ანტრაქტი"** - გადაცემების ავტორი და წამყვანი გულსუნდა კაკაბაძე)

თეატრალური შეხვედრები – ორშაბათი 18.10 -19.00,

ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან. პროექტის მიზანია ქართული თეატრის პოპულარიზაცია.

**„თეატრალური ნოსტალგია“**

სამშაბათი 07:13 - 07:30; 22:26-22-40

სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს

ოქროს ფონდიდან). გადაცემაზე მუშაობს ავტორი და ჩამწერი ხმის რეჟისორი.

**„თეატრალური ანტრაქტი“** –შაბათი 08:05-08:25; 23:10-23:30.

სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით. პროექტის მიზანია ქართული თეატრის პოპულარიზაცია, თეატრალური კრიტიკის ხელშეწყობა, თეატრის მოყვარულთა ინფორმირება თეატრალური პრემიერებისა და წარმოდგენების თაობაზე. პროექტი დაკავშირებულია სპექტაკლების გარე ჩაწერასთან. გადაცემაზე მუშაობენ ავტორი, ხმის რეჟისრორი და გარე ჩაწერების ტექნიკოსი/მძღოლი.

**ლიტერატურულ - პუბლიცისტური გადაცემები:**

**„თავისუფალი ლიტერატურა“** (პროდიუსერი ქეთი ჯოჯიშვილი) – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიოო ლიტერატურის ყველა სიახლე -პარასკევს 18.10-19.00. პროექტის მიზანია ქართული და მსოფლიოო ლიტერატურის, ასევე ქართველი მწერლების პოპულარიზაცია, აუდიტორიისათვის ქართული და მსოფლიოო ლიტერატურის სიახლეების გაცნობა. სამიზნე აუდიტორიას პირველ რიგში ლიტერატურის მოყვარულები წარმოადგენენ. გადაცემას უძღვებიან მოწვეული მწერლები და კრიტიკოსები. გადაცემას ამზადებს პროდუსერი;

(„ვეფხისტყაოსნის ეპოქა“, „სიტყვა ქართული“ , „ პუბლიცისტური მემკვიდრეობა“ - რედაქტორი მზია შომახია)

„ვეფხისტყაოსნის ეპოქა“ – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ეთერშია ორშაბათს. ოთხშაბათსა კვირას

დილის, შუადღისა და საღამოს ეთერში. მისი ქრონომეტრაჟია 7 წთ. პროგრამის მიზანია საქართველოს კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობის, პირველ რიგში ვეფხისტყაოსნის, პოპულარიზაცია. პროგრამაზე დაკავებული რედაქტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი.

**„სიტყვა ქართული“** – მცირე ფორმატიანი პოგრამის მიზანია ქართული ენის ნორმების დამკვიდრება. პროგრამა ეთერშია ყოველდღე (07:10

-07:25; 17:53-18:08; 21:27-21:42).

პროგრამაში შეგილიათ მოისმინოთ ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა. პროგრამაზე

დაკავებული რედაქტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი.

**პუბლიცისტური მემკვიდრეობა** - ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტური წერილები, მემუარები, შტრიხები ბიოგრაფიიდან. პროექტი დაიწყო ციკლით “ქვეყნის მოყვარე – დიმიტრი ყიფიანი”. 2014 წელს ამ დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 200 წელი აღინიშნება. რადიომსმენელს საშუალება აქვს გაეცნოს დიმიტრი ყიფიანის ზოგიერთ დღემდე უცნობ წერილს, მემუარებს, ეპიზოდებს ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან.

დიმიტრი ყიფიანის შემდეგ პროგრამა დაეთმო აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკას, რომელიც მიეძღვება მისი დაბადებიდან 175 წლისთავს.

შემდგომ პერიოდში პროექტი დაეთმობა სხვა დიდ ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ნააზრევს, რომელიც დღევანდელი საქართველოსთვის, ქვეყნის მომავლის განსაზღვრისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

**ისტორიული**

**(„აქცენტები ისტორიაში“, „ისტორია ექსპონატებში“ , „ ხელნაწერი“, „ფერთამეტყველება“ - ავტორი ლილი ჭანიშვილი)**

მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. გადაცემების მიზანია საქართველოს ისტორიისა და

კულტურის, ასევე მუზეუმების პოპულარიზაცია.

**„აქცენტები ისტორიაში" –** უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები

საქართველოს ისტორიიდან.

**„ისტორია ექსპონატებში"** – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია.

ხელნაწერი –საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და

დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ - მხატვრული

**„ფერთამეტყველება"** – ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სიწმინდეების ისტორია.

**„გალერეა"** - (ავტორი და წამყვანი ლია ძიძიგური)-კვირა 10:00-10:50. კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა -შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები.გადაცემის მიზანია ქართველი ხელოვანებისა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია. აუდიტორია -ფართო სპექტრი. გადაცემაზე დაკავებულნი არიან ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი.

**„კინოფილმი უეკრანოდ**" - (ავტორი და რედაქტორი ლია ძიძიგური) – შაბათი 22:20-23:00. კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა -გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერებისთანხლებით. გადაცემის მიზანიაქართული ფილმის პოპულარიზაცია. ადამიანური რესურსი: გადაცემის ავტორი და ჩამწერი ხმის რეჟისორი.

**„საუკუნის ხმები"** - (რედაქტორი ქეთი ჯოჯიშვილი)– უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად. მისი მიზანია საზოგადოებრივი რადიოს „ოქროს ფონდის" პოპულარიზაცია, უნიკალური ჩანაწერების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, საქართველოს კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. სამიზნე ჯგუფს აუდიტორიის ფართო სპექტრი

წარმოადგენს. გადაცემის ავტორი ასევე მუშაობს სხვა რადიოპროექტებზე;

**„შაბათ -კვირა 102.4 -ზე"** - (ავტორი და წამყვანი შავლეგ გეგეჭკორი) – შემეცნებითი - გასართობი პროგრამა შაბათ - კვირას 11.10 დან 13.00 მდე. ის განკუთვნილია აუდიტორიის ფართო სპექტრისათვის. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა. გადაცემას ამზადებს და უძღვება ერთი ადამიანი.

ასევე ჩვენ მიმართულებაში შემოდის საბავავშვო ბლოკი, რომელიც პასუხობს პროგრამულ პრიორიტეტს „სერიალები და საბავშვო გადაცემები“.

**„დო-რე-მი“** - (რედაქტორი თამარ გამრეკელი) მუსიკალურ- შემეცნებით გადაცემა. სამიზნე აუდიტორია მოზარდები,რომლებიც დაინტერესებული არიან მუსიკით. პროგრამაში მოგასმენინებთ სხვადასხვა სტილის და ჟანრის მუსიკას, გაგაცნობთ გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლების ხელოვნებას, ვისაუბრებთ საბავშვო მუსიკის სიახლეებზე, შეგახვედრებთ თქვენს თანატოლებს – დამწყებ მუსიკოსებს, შეიტყობთ ხელოვნების უახლეს ამბებს.

რუბრიკაში "თქვენი თხოვნით" თქვენს საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებებს მოგასმენინებთ. ვისაც მუსიკალური ცოდნის შემოწმება სურს - ვიქტორინას ვთავაზობთ.

**„იყო და არა იყო რა“** - (რედაქტორი თამარ გამრეკელი) სამიზნე აუდიტორია - სკოლანდელი ასაკის ბავშვები, გადაცემა გადის ყოველ საღამოს.

რადიოზღაპარი პატარებისთვის მშვიდ და სასიამოვნო გარემოს ქმნის. ზღაპრულ პერსონაჟებთან ერთად ისინი სხვადასხვა თავგადასავლების მონაწილენი ხდებიან.

მუსიკალური დიზაინი, მრავალფეროვანი ხმოვანი ეფექტები მაქსიმალურად გამომსახველს ხდის ზღაპრის ტექსტს, ბავშვებს უვითარებს წარმოსახვას, ესთეტიურ გემოვნებას, რაც აღმზრდელობითი პროცესის აუცილებელი კომპონენტია.

პროგრამა მოიცავს როგორც ქართულ ხალხურ, ასევე მსოფლიოს ხალხთა, კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ზღაპრებს.

სამომავლოდ ვგეგმავთ მეტი ყურადღება დავუთმოთ საბავშვო ბლოკს, დავამატოთ საბავშვო საყმაწვილო შემეცნებითი გადაცემა. ასევე გვინდა ყოველკვირეული გადაცემის მომზადება „კულტურული მიმოხილვა“. როგორც ვიცით, 2016 წელი გამოცხადებულია ვეფხისტყაოსნის წლად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რამდენიმე წელია ვამზადებთ გადაცემას „ვეფხისტყაოსნის ეპოქა“, წელს ვგეგმავთ სხვა ფორმატის გადაცემის დამატებას, რომელ მიეძღვნება ამ საიუბილეო თარიღს.

## 11. რადიო გადაცემა „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები“

2015 წლის 4 აგვისტოს ახალი სატელევიზიო სეზონისთვის პროექტების შერჩევის მიზნით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა რადიო-პროექტმა „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები“, რომლის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები მანანა მახარაძე და ფატი თევდორაშვილი

აღნიშნული გადაცემა პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება“, რაც გულისხმობს გადაცემებს მოქალაქეების შესახებ: მაუწყებელმა განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოიჩინოს და აჩვენოს რიგითი მოქალაქის ბედი და ისტორია, რომელიც ყველაზე ცხადად და ლაკონურად ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში დაიწყო გადაცემისთვის მზადება, ჩაიწერა რამდენიმე რესპოდენტი, დამონტაჟდა და მუსიკალურად გაფორმდა.

მაუწყებლობის ფაზაში გადაცემა შევიდა 2016 წლის იანვრიდან. მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით, გადაცემა გადის ყოველ კვირას 20:30. გადაცემის ქრონომეტრაჟია 15-18 წუთი.

**12. რადიოგადაცემა „სოფლის დილა“**

ქრონომეტრაჟი - 55:00

ეთერში განთავსება - შაბათ-კვირა

ფორმატი - პირდაპირი ეთერი

მოკლე ანოტაცია

შემეცნებით-გასართობი ჟანრის რადიოგადაცემაში „სოფლის დილა“ მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე აგროღონისძიებების შესახებ, თოქ-შოუს სეგმენტში სტუდიაში მოწვეული ექსპერტი საუბრობს ამა თუ იმ დარგის განვითარების ან რომელიმე აგრო კულტურის მოვლა-მოყვანის შესახებ, ასევე პასუხობს პირდაპირ ეთერში მსმენელების თემატურ კითხვებს. გადაცემას აქვს მაღალი ინტერაქცია. რუბრიკაში „აგროინფო“ მსმენელი იღებს ინფორმაციას სოფლის მეურნეობაში მიმდინარე მოვლენების, აგრო სიახლეების, ევროპული სოფლის ყოფის და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ეროვნული ბიბლიოთეკის ეთნოლოგი სატელეფონო ჩართვით საუბრობს ამა თუ იმ დარგის შესახებ ეთნოლოგიურ ჭრილში, სასარგებლო რჩევებში მსმენელი იღებს საჭირო ინფორმაციას რა, სად, როდის და როგორ აწარმოოს. გადაცემის ბოლოს, „ბუხრისპირა ამბებში“ მოვუთხრობთ სოფლის ცხოვრებიდან საინტერესო და გასართობ ისტორიებს.

სამიზნე აუდიტორია: სოფლის მაცხოვრებლები, ქალაქელები, ვისაც აქვთ ან უყვართ სოფელი, სოფლად დასაქმებული ადამიანები, ფერმერები, გლეხები, მცირე მეურნეები,

რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რიგითი რადიომსმენელები, დიასახლისები და სხვა...

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა

გადაცემა „სოფლის დილა“ სრულად შეესაბამება მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და რიგითი ადამიანების ყოფა რეგიონებში.

გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში განთავსება

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში საზმაუს მიერ გამოცხადებულ შიდა კონკურსში გაიმარჯვა მულტიმედიურმა პროექტმა „ფერმა“ და რადიო გადაცემამ „სოფლის დილა“. გადაცემა საზოგადოებრივი რადიო, რადიო 1-ის ეთერში განთავსდა შაბათ-კვირას, დილის 9-დან 10-მდე. გადაცემა ეთერშია 2015 წლის დეკემბრიდან.

ამ ორი თვის მანძილზე, რაც გადაცემა გადის რადიოეთერში, ჯერ პრობლემა არ შეგვქმნია, შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს სრული დატვირთვით და ცდილობს ყოველი გადაცემა უფრო სრულყოფილი და საინტერესო გახადოს.

სამომავლო ხედვები

სამომავლო ხედვა ჩვენ უკვე ამ სეზონზე განვახორციელეთ და გადაცემას შევმატეთ ახალი სეგმენტი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ეთნოლოგის საუბრები, სადაც მსმენელი იგებს, თუ როგორი იყო ქართული სოფლის ყოფა, ვინ შემოიტანა პირველი სამეურნეო ტექნიკა საქართველოში, როგორი იყო შრომის განაწილება სოფლად და ა.შ...

2015 წლის 4-ე კვარტალში რადიოეთერში გასულინ გადაცემები:

გადაცემა „სოფლის დილა“ ეთერში პირველად გავიდა 5 დეკემბერს.

სულ დეკემბრის თვეში ეთერში გავიდა 8 გადაცემა.

**13. რადიო გადაცემა „რადიობლოგერი“**

ზოგადი ინფორმაცია: საავტორო პროექტი „რადიობლოგერი“ საზოგადოებრივი რადიო 1-ის ეთერში გადის 2016 წლის იანვრიდან, ყოველ პარასკევს, 20 საათსა და 30 წუთზე, და გამეორებით ყოველ კვირას, 14 საათსა და 50 წუთზე.

გადაცემის მოკლე ანოტაცია: რუბრიკა „რადიობლოგერი“ ერთგვარი საავტორო მონოლოგია რადიოს ეთერში, რომელიც კვირაში ერთხელ, ერთ კონკრეტულ თემას, იდეას, პრობლემას, მოვლენას ეთმობა – წინასწარ დაწერილი ბლოგის სახით, რომელსაც ავტორი თავად კითხულობს. „რადიობლოგერი“,პირდაპირთუ ირიბად, ქვეყანაში, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ანარეკლია ბლოგებად, რომელიც ცხელ კვალზე ეხმიანება ყველა სიახლეს – დადებითსაც და უარყოფითსაც, და მსმენელს საკუთარ მოსაზრებას, პოზიციას აცნობს.

სამიზნე აუდიტორია: საშუალო და საშუალოზე მაღალი ფენის საზოგადოების წარმომადგენლები 16 წლიდან ზემოთ

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა: პროექტი შეესაბამება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, ვინაიდან ატარებს საზოგადოებრივ-კულტურული ხასიათის ფორმატს და მისი შინაარსი ქვეყანაში, საზოგადოებაში მომხდარი ან მიმდინარე პროცესების პირდაპირ ან ირიბად, კრიტიკული ან გაშაჟებული სახით ასახვაა.

გადაცემის საზოგადოებრივი ღირებულებები: „რადიობლოგერი“ გახლავთ რუბრიკა, საავტორო მონოლოგი, რომელიც საკუთარი იდეიდან და კონცეფციიდან გამომდინარე, აერთიანებს განსხვავებული აზრის მქონე, შესაძლოა პროტესტანტ, მაგრამ პრინციპულ, თანამედროვე და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს – მოქალაქეებს, რომლებმაც იციან, რომ აქვთ უფლება, ჰქონდეთ საკუთარი, მტკიცე და მკაფიო მოსაზრება ყველაფერზე.

რის მიხედვით მოხდა გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში ჩაშვება: გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში ჩაშვება მოხდა პროექტის შინაარსისა და აქტუალურობის გამო. ასევე მისი განსხვავებული ინტონაციის, დინამიკისა და მრავალფეროვნების მიხედვით, რომელიც თემატურ და სტილისტურ მრავალგვარობაში გამოიხატება.

პროექტში სიახლეა „რადიობლოგერის“ თითოეული ახალი გამოშვება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე საგნებსა და მოვლენებს სხვადასხვა ინტონაციითა და ხასიათით წარმოგვიდგენს.

სამომავლო ხედვები ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. რაც შეეხება სამომავლო ხედვებს, პროექტი „რადიობლოგერი“ მომავალშიც აქტიურად გამოეხმაურება ყველა საინტერესო მოვლენას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

## 14. გადაცემა „წითელი ზონა“

ყოველ შაბათს 22:15 -ზე. გიორგი გვახარიას საავტორო გადაცემა „წითელი ზონა” რადიო თავისუფლების და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უახლესი წარსულის ანალიზს, მის კულტურულ ჭრილში გააზრებას და შეისწავლის ტოტალიტარული სისტემების გავლენას ჩვენს თანამედროვეობასა და კულტურაზე.

გადაცემის ქრონომეტრაჟია 52 წთ. კვარტლური ანგარიშის პერიოდში გადაცემა სულ 16

ჯერ გავიდა ეთერში.

სამიზნე აუდიტორია: „წითელი ზონა” მზადდება ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს უახლესი წარსულით, მათ შორის საბჭოთა პერიოდის ისტორიით. პოლიტიკურად დასოციალურად აქტიური ადამიანებისთვის, რომლებიცჩართულები არიან მიმდინარე საკითხების განხილვაში, მათ შორის სოციალურ ქსელებში; ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაინტერესებულები არიან კულტურისა და ხელოვნების შესწავლით და კულტურის სოციალური ანალიზით.

გადაცემაში სიახლედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ წითელი ზონა ერთ კონკრეტულ სტუდიაში აღარ იწერება, გადაცემის ჩაწერა ხდება ისეთ ლოკაციებზე, რომელსაც პირდაპირი თუ ირიბი კავშირი აქვს გადაცემის თემასთან. აგრეთვე, სამწუხარო სიახლედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ გადაცემის შემდეგ აღარ გადის თემატურად შერჩეული ფილმები, რაც ტექნიკური პრობლემებით იხსნება, შესაბამისად გადაცემის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ ეს საკითხი მოგვარებული იქნება სამომავლოდ.

**გასართობი მიმართულება**

ბუნებრივია, სამაუწყებლო დროის საკმაოდ დიდი ნაწილი გასართობი, მათ შორის იუმორისტულ პროდუქციის მიწოდებას დაეთმობა. თუმცა, ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში თითქმის არ არის იუმორისტული პროექტები. საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს არსებული დანაკლისის გამოსწორებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას მიაქცევს სატირული ჟანრის პროექტების წარმოებას და საკუთარ სამაუწყებლო ერთეულებზე განთავსებას, როგორც ტელევიზიით, ისე რადიო და ინტერნეტპლატფორმებით. ამავე დროს, საზოგადოებრივი მაუწყებელი უარს ამბობს ვულგარულ, მდარე ხარისხის იუმორზე. იუმორი უნდა იყოს აქტუალური და მიმდინარე

მოვლენებთან დაკავშირებული. ამისათვის, თავის მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიმუშავებს მიწოდების ორიგინალურ, არასტანდარტულ ფორმატს.

ამჟამად ამ მიმართულებაშია შემდეგი გადაცემები: **„გურმანია“, სიტყვების თამაში', „დილა პირველზე“, ევროვიზიის ჯგუფი“,**

## 15. გურმანია

გადაცემის ანოტაცია: გურმანია გასართობ-შემეცნებითი გადაცემაა კულინარიაზე. რომელიც კვირაში ორჯერ , სტუდიიდან სთავაზობს კულინარიულ სიახლეებს, რეცეპტებს. ორ წამყვანზე გადანაწილებულია სხვადასხვა თემატიკის მქონე ეპიზოდები ( დესერტები, სოუსები, ხორცი და ა.შ) გადაცემაში მომზადებული კერძების რეცეპტურა მორგებულია თემებს, სადაც წამყვანები, როგორც პროფესიონალი მზარეულები აძლევენ რჩევებს, ატარებენ მასტერკლასებს, ექსპერიმენტებს, მაყურებელს აცნობენ ტრადიციულ, ძველ და უახლესს ქართულ და მსოფლიო კულინარიას.

გადაცემა გადის შაბათ-კვირას 17:00 საათზე.

გურმანიამ მე-4 სეზონი საქართველოს გარშემო მოგზაურობას დაუთმო, გადაცემის ერთ-ერთ წამყვანთან ვახოსთან ერთად, ტრადიციული ქართული სამზარეულოს და კერძების გაცნობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულოს კვლევას და თავიდან აღმოჩენას. პარალელურად, გადაცემის მეორე წამყვანმა თამთამ, ახალი სტუდია აქცია რეალურ სამზარეულოდ, საინტერესო კულინარიული ექსპერიმენებისთვის. ტრადიციული, ძველი ქართული კერძების ახლებური, თანამედროვე ვარიაციების შექმნით და მსოფლიოს სამზარეულოს კერძებთან პარალელის გავლებით. წლევანდელ სეზონზე, წამყვანები სტუდიიდან მოგზაურობენ მსოფლიოს გარშემო, ატარებენ ექსპერიმენტებს, მასტერკლასებს. გადაცემას აქვს გასვლითი სახეც, სეზონური მოვლენის კულინარიასთან კავშირში ( მაგ : რთველი და კულინარია, ტურისტული მენიუ და ა.შ ) იქნება ჩართულობაც ფესტივალებში და სხვადასხვა კულინარიულ აქტივობებში. ჩაატარებენ მასტერკლასებს საქართველოში მოწვეულ მსოფლიოში ცნობილ პროფესიონალ მზარეულებთან ერთად.

სამიზნე აუდიტორია : ამ გადაცემის პოტენციური მაყურებელია, ის ვისაც უყვარს გემრიელად ჭამა, და ამ გემოს თვითონვე შექმნა. იმ უნიკალური ვიზიტორებით, რომელიც გადაცემის ფეისბუქ გვერდს და იუთუბ არხს ჰყავს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ონლაინ გამოხმაურების მიხედვით, ყველაზე აქტიური მაყურებელი ქალები არიან, მაგრამ გადაცემას სიამოვნებით უყურებენ მამაკაცებიც, ბავშვებიც და მოხუცებიც. ვფიქრობთ, ეს

არის წამყვანების პროფესიონალიზმის, სილაღის და სამზარეულოში ქალისა და მამაკაცის დუეტის ჰარმონიულობის დამსახურება.ასევე გადაცემის მაყურებლად შეიძლება მოვიაზროთ ის ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებიც კულინარიას, როგორც პროფესიას ისე აღიქვამენ. მზარეულის პროფესია პოპულარული სპეციალობა ხდება მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, რაც უფრო და უფრო მეტი ადამიანის დაინტერესებას იწვევს ამ სფეროთი.

სამომავლო გეგმები: პროფესიონალი კულინარების გარდა, გადაცემაში გავაკეთებთ აღმოჩენებს ნაკლებად ცნობილი და არაპროფესიონალი მზარეულების რაკურსით. ჩავრთავთ ბავშვებს, ახალგაზრდებს და გამოცდილ კულინარებს. სიამოვნებით გავცდებოდით საქართველოს ფარგლებს გარეთ და რეალურად ვიმოგზაურებდით და გავაკეთებდით კულინარიულ აღმოჩენებს მეზობელ ქვეყნებში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამზარეულოსთან პარალელის გავლებით. ვისწავლიდით მათ ტრადიციულ სამზარეულოს, ადგილზე შევისწავლიდით ადგილობრივ კერძებს და შევასწავლიდით და პოპულარიზაციას გავუწევდით ქართულ ტრადიციულ კერძებს.

**16. გადაცემა „სიტყვების თამაში“**

გადაცემის ეთერში გასვლის დრო: ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 17:30 საათზე

მოკლე ანოტაცია: „სიტყვების თამაში “ ეს არის გასართობ-ინტელექტუალური შოუ, რომელშიც მონაწილეები ერთმანეთს სიტყვების შედგენაში ეჯიბრებიან. ყოველივე ეს კი, ქართული ენის პოპულარიზაციას უწყობს ხელს: აცოცხლებს მივიწყებულ ქართულ სიტყვებს, განმარტავს ხშირად ჩვენთვის უცნობ სიტყვებს; ავლენს სალაპარაკო ენაში დამკვიდრებულ არასწორ ფორმებს და მაყურებელს მათ სწორ გამოყენებას ასწავლის. ასევე თამაშ-თამაშით მაყურებელი იმახსოვრებს თუ რომელი სიტყვები ითვლება ბარბარიზმებად და რომელი უცხო სიტყვებია უკვე ადაპტირებული ქართულ ენაში.

თუმცა, ეს არ არის თამაში, რომლის მოგებაც მხოლოდ მონაწილეების ინტელექტზეა დამოკიდებული. ეს არის შოუ, სადაც თითითოეული სიტყვა ფულით ფასდება. ეს მოთამაშეებისგან დამატებით უნარებს მოითხოვს, თამაშს კი, კიდევ უფრო დაძაბულს, აზარტულსა და საინტერესოს ხდის. მოთამაშები მოგება საშუალოდ 250 ლარს, მაქსიმუმ კი -1000 ლარს, სეზონში ერთხელ კი 5000 ლარასაც კი აღწევს.

პროექტის კონსულტანტია ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და თამაშის პროცესში აქტიურად არის ჩართული მათი წარმომადგენელი - ენათმეცნიერი, პროფესორი - ნინო ჯორბენაძე.

მეოთხე კვარტალის დასასრულს გაიამრთა შემაჯამებელი - სუპერფინალური შეჯიბრი, სადაც შერჩეული 27 საუკეთესო მოთამაშე (მოთამაშეები გამოვლინდნენ მოგებული თანხების მიხედვით შედგენილი რეიტინგებით) ერთმანეთს 5000 ლარის მოსაგებად შეერკინა. პირველ ეტაპზე ჩაიწერა მეოთხედფინალური ტურის 9 გადაცემა, რომლის 9 გამარჯვებული ერთმანეთს ნახევარფინალურ ეტაპზე შეხვდა, ფინალში კი, მხოლოდ დარჩენილ 3 საუკუეთესო მონაწილე დარჩა. სეზონის გამარჯვებული 31 დეკემბერს გამოვლინდა და მან პრიზი - 5000 ლარი მოიგო.

2 თვის განმავლობაში თანხა მოიგო 26-მა მოთამაშემ და სულ გათამაშებულმა თანხამ 13 ათას ლარი შეადგინა . აქედან სამმა მონაწილემ მოიგო სუპერ პრიზი - 1000 ლარი, ხოლო ერთმა კი, მთავარი პრიზი - 5000 ლარი.

**17. გადაცემა „დილა პირველზე“**

„დილა პირველზე" (ყოველ სამუშაო დღეს 7:30-ზე) წარმოადგენს იმ სასარგებლო მედიასივრცეს, რომელშიც მაყურებელს, მუდმივი ინტერაქციის რეჟიმში, შეუძლია დასვას მისთვის საჭირო და აქტუალური შეკითხვა, ყველა ყოფითი მიმართულებით, მიიღოს კომპეტენტური პასუხი, სასარგებლო რჩევა, განეწყოს პოზიტიურად და იმედიანად დაიწყოს ახალი დღე.

- ხანგრძლივობა: 2 სთ.25 წთ
- სამაუწყებლო პლატფორმა:1 არხი
- სიხშირე: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა
- ეთერში გასვლის დრო: 07:00 – 10:00

სამიზნე აუდიტორია: მისი აუდიტორია სეგმენტური და დროის ინტერვალებში ცვალებადია, ამიტომ გადაცემული ინფორმაცია ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი.

IV კვარტლის განმავლობაში ეთერში გაშუქებული პრიორიტეტული მიმართულებები:

- სოციალური პრობლემები - 60- მდე აქტივობა
- კულტურულოგიური თემები - 60-მდე აქტივობა

- ადამიანს უფლებები - 60 ზე მეტი აქტივობა
- საგანმანათლებლო საკითხები - 60-ზე მეტი აქტივობა
- ფსიქოლოგიური თემები (სხვადასხვა საზოგადოებისთვის აქტუალური ცხოვრებისეული სიტუაციების გათვალისწინებით) 60-მდე აქტივობა
- ოჯახური ძალადობის პრობლემები - 20-მდე აქტივობა
- გენდერული საკითხები - 10-მდე აქტივობა
- რეგიონში არსებული პრობლემები/საკითხები
- სკოლამდელი ბავშვების პრობლემები/საკითხები
- საქველმოქმედო ღონისძიებები
- ეროვნული უმცირესობები
- და სხვა მნიშვნელოვანი და საზოგადოებისთვის საინტერესო მიმდინარე თემები

პროგრამა 8:00-ის ნაცვლად ეთერში გადის ყოველდღიურად 7:30 -ზე; ახალგაზრდულ გუნდს ჩაენაცვლნენ სოლიდური წამყვანები; ძირითადი მიმართულება არის ე.წ. სამომხმარებლო - რაც აუთვისებელი ნიშაა ქართულ ტელე სივრცეში.

პროექტისთვის გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური დეკორაცია, რაც დილის განწყობის შესაქმნელად აუცილებელია, თუმცა მიმდინარე სეზონისთვის ეს ვერ მოხერხდა, ამიტომ ერთ სტუდიას იყოფს 3 პროექტი, შესაბამისად სამომავლოდ აუცილებელია 3 საათიანი პროგრამისათვის დამზადდეს ინდივიდუალური და რაც მთავარია სპეციფიკური სტუდია.

პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრა: აღნიშნული გადაცემა პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება„. რაც გულისხმობს: „მოცემული სეგმენტის გადაცემებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს თანამედროვე ცოდნას, ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებას, გლობალური განვითარებისა და მრავალფეროვნების ასახვას. პროდუქცია უნდა ემსახურებოდეს ადამიანების შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილებას, მათი თვალსაწიერის გაფართოებას, განათლებისა და ცოდნის პოპულარიზებას."

## 18. ევროვიზია

**„საბავშვო ევროვიზია“**

2015 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველომ კვარტეტი სახელწოდებით „The Virus“ სიმღერით "გაბედე": წარადგინა. კვარტეტის შემადგენლობაში ელენე კეჟერიშვილი, ლიზი თავბერიძე, თაკო გაგნიძე და დათა პავლიაშვილი იყვნენ.

ბავშვები დახურული კასტინგით შეირჩნენ და კონკურსისთვის მზადება სექტემბერში დაიწყეს.ბავშვებთან ერთად, კომპოზიციაზე გიგა კუხიანიძემ იმუშავა, ტექსტი პოეტ ერეკლე დეისაძეს ეკუთვნის, სიმღერის არანჟირება კი ბორიკო შხიანმა გააკეთა.

ვიდეორგოლის პრემიერა, ოქტომბერში პირველი არხის ეთერში შედგა. კლიპის რეჟისორი გიგა კუხიანიძე და რამაზ გუნავა იყვნენ. ბავშვების იმიჯზე კი დიზაინერმა მარიკა ქურდუბაძემ იზრუნა.ვიდეო რგოლი საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა კიდევ იმ 15 ქვეყანაში ტრიალებდა, რომელთა წარმომადგენლებიც 2015 წლის საბავშვო ევროვიზიაზე იღებდნენ მონაწილეობას.

ქართველი კონკურსანტების სასცენო წარმოდგენაზეც გიგა კუხიანიძემ და მარიკა ქურდუბაძემ იზრუნა. წელს საბავშვო ევროვიზიას ბულგარეთის დედაქალაქი სოფია მასპინძლობდა, ფინალური კონცერტი 21 ნოემბერს გაიმართა, პირდაპირ ტრანსლიაციას პირველ არხი აწარმოებდა, ეთერის კომენტატორი დილის გადაცემის წამყვანი თუთა ჩხეიძე იყო. ქვეყნის სახელით კონკურსზე თუ რა პრინციპით გადანაწილდა საქრთველოდან ხმები 2015 წლის საბავშვო ევროვიზიის მონაწილემ ლიზი პოპმა გამოაცხადა. საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენლებმა ჯგუფმა „ The Virus „-მა მეათე ადგილი მოიპოვეს, ხოლო გამარჯვება მალტის წარმომადგენელს ერგო.

## 19. რადიოს მუსიკალურ გასართობი მიმართულება

რადიოს მუსიკალური მიმართულება მრავალფეროვან კულტურულ-საგანმანათლებლო, შემეცნებით და გასართობ სფეროებს მოიცავს. ზოგადად მუსიკალურ მიმართულებას ტემპი, რიტმი, დინამიკა შეაქვს საზოგადოებრივი რადიოს ეთერში. ეს მიიღწევა არამარტო გადაცემებით, არამედ მთელ ბადეში გაბნეული სხვადასხვა ჟანრის კონცერტებითაც.

მხოლოდ კონცერტების ქრონომეტრაჟი 24 საათიან მაუწყებლობაში შეადგენს 5 – 6 საათს.რაც შეეხება გადაცემებს, ისინი მოიცავს ყველა მუსიკალურ ჟანრს და შესაბამისად აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და გემოვნების მსმენელს.

რადიოს ბადე პროგრამის მიხედვით.

**დილის გადაცემები:**

საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა **"ინტერმედია".** წამყვანი მარიკა ჩიჯავაძე. პროგრამა იწერება ვიდეო ფორმატით. ხმის რეჟისორი მაია წიწილაშვილი.

გადაცემა განკუთვნილია მსმენელთა ფართო ფენისთვის. მისი მიზანია, მსოფლიოში მიმდინარე კლასიკური მუსიკალური მოვლენების საქმის კურსში ამყოფოს ჩვენი საზოგადოება. გადაცემა კვირაში სამჯერ გადის ეთერში – ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. კონკრეტული თემების ჩამოთვლა შეუძლებელი, რადგან თითო გადაცემაში 4 და მეტი ინფორმაციაა. ისინი მოიცავს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მიმდინარე ამბებს.

პროგრამა **"ბახიდან ოფენბახამდე, ანუ ერთი სამუსიკო შედევრი"** – ავტორი ლალი გაბუნია. პროგრამა იწერება. ხმის რეჟისორი მაია წიწილაშვილი.

ესაა ჩანახატი კომპოზიტორზე, ნაწარმოებზე, შემსრულებელზე... მსმენელს აცნობს მსოფლიო სამუსიკო საგანძურს. პროგრამა კვირაში სამჯერ გადის ეთერში ქრონომეტრაჟი 15 წუთი.

**"ქართული მუსიკის 100 წელი"** – ავტორი და წამყვანი ლალი გაბუნია. ქრონომეტრაჟი 15 წუთი, კვირაში ერთხელ. პროგრამა იწერება. ხმის რეჟისორი მაია წიწილაშვილი.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი გადაცემა მსმენელს აცნობს ქართული პროფესიული მუსიკის მიღწევებს, იმ თხზულებებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საკომპოზიტორო სკოლას და მის განვითარებას, იმ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს, რომლებიც დღემდე შეიქმნა, თვალსაჩინო ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს.

**"რაც მეხსიერებას შემორჩა"** - ავტორი და წამყვანი ლალი გაბუნია. ქრონომეტრაჟი 15 წუთი, კვირაში ერთხელ. პროგრამა იწერება. ხმის რეჟისორი მაია წიწილაშვილი.

ათეული წლების მანძილზე რადიო ფირზე აფიქსირებდა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ეს გადაცემები იყო თავისებური ცდა შეექმნა სამუსიკო მატეანე, რადიომსმენელი კი შეძლებისდაგვარად საქმის კურსში იყო, რა ხდებოდა ქართულ მუსიკაში. დღეს ეს გადაცემები აუდიოარქივშია შენახული. გავიდა წლები და გაგვიჩნდა სურვილი ახალი თაობისთვის მოგვეთხრო, უფროსებისთვის კი შეგვეხსენებინა ქართული სამუსიკო ცხოვრების ღირსსახსოვარი ფაქტები და მოვლენები. ბევრი ქართველი მოღვაწის ხმა ხომ მხოლოდ საზოგადოებრივი რადიოს ფონდშია დაცული.

**შუადღის ეთერი:**

თოქ-შოუ **“მუსიკალური შეხვედრები”** – პირდაპირი ეთერი, კვირაში ერთხელ 50 წუთი. ავტორი და წამყვანი ნია ბახტაძე. გადაცემის მიზანია ქართული ესტრადის საუკეთესო ტრადიციების და სიახლეების წარმოჩენა, მუსიკალური ოჯახების მსმენელისთვის გაცნობა და მათი პოპულარიზაცია. სტუდიაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად გადაცემაში ერთვება მსმენელიც. ახალი ალბომების პრეზენტაცია, ახალი სახელები, პირდაპირ ეთერში ცოცხალი შესრულება ახალისებს გადაცემას.

პროექტი **“კლასიკის საათი”-** ავტორი ნესტან მესხი. კვირაში ერთხელ 50 წუთი. პროგრამა იწერება. ხმის რეჟისორი მიხეილ კოჩაძე. გადაცემაში საუბარია კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ინტერპრეტაციაზე, საარქივო ჩანაწერებზე, ქართულ მუსიკასა და ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებზე, უცხოელ მუსიკოსებზე, საუბარია მათი ბიოგრაფიის უცნობ დეტალებზე. ავტორი, თავად მუსიკოსი, საუბრობს საკუთარ შთაბეჭდილებებზე, ურთიერთობებზე.

პროექტი **“ჩაკრულო”** პირდაპირი ეთერი - ავტორები და წამყვანები: ლალი სეთურიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დავით ცინცაძე. კვირაში ერთხელ, ქრონომეტრაჟი 50 წუთი. მასში ფართოდაა გაშუქებული ფოლკლორული თემები. თითოეულ გადაცემაში რამდენიმე სიუჟეტია. არ შემოიფარგლება ერთი ჟანრით. შეძლებისდაგვარად წარმოვაჩენთ როგორც სასიმღერი ფოლკლორს, ასევე ქორეოგრაფიას, ზეპირსიტყვირებას, რეწვას და სხვა. ფართოდ ვაშუქებთ იმ მოძრაობას, რომელიც დაიწყო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, რომ დაუბრუნდეს სიმღერა სოფელს. ეს თემა შუქდება რუბრიკაში ,,ხმა სოფლიდან”. გადაცემაში ვიწვევთ როგორც აღიარებულ სახელმწიფო ანსამბლებს, ასევე ახალბედა და დამწყებ ასამბლებს, ვიწვევთ გამოჩენილ თუ ახალგაზრდა ლოტბარებს. ჟღერს როგორც ჩანაწერები, ასევე ცოცხალი შესრულება პირდაპირ ეთერში.

პროგრამა **“ვარიაციები მუსიკალურ თემაზე”** - პირდაპირი ეთერი, ქრ. 50 წუთი, კვირაში ერთხელ, აცტორი მარიკა ჩიჯავაძე. თემატიკა: საუბრები, დისკუსიები საკომპოზიტორი, საშემსრულებლო ხელოვნების საკითხებზე, თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პრობლემატიკა, ინოვაციური საკითხები “კლასიკურ” მუსიკალურ ხელოვნებაში, მუსიკალური პორტრეტები, მუსიკალური განათლების პრობლემატიკა და ა.შ.

პროგრამა **“რეტრო”** – პირდაპირი ეთერი, ქრ. 50 წუთი, კვირაში ერთხელ, ავტორი ნია ბახტაძე. გადაცემა ეძღვნება 50 -70-იანი წლების ქართულ ესტრადას. სტუმრები საუბრობენ ქართული ესტრადის მნიშვნელოვან ეტაპებზე. სტუმრები არიან სახელოვანი კომპოზიტორები და შემსრულებლები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული

ესტრადის განვითარებაში. ისინი მსმენელს მოთხრობენ საინტერესო ფაქტებზე. მნიშვნელოვან პიროვნებებზე მზადდება გადაცემათა ციკლები. ჟღერს 50 -70-იანი წლების ქართულ ესტრადა.

პროგრამა **"მუსიკალური რადიოანშლაგი"** – ჩანაწერი, ქრ. 50 წუთი. ავტორი, პროდიუსერი მარიკა ჩიჯავაძე. ხმის რეჟისორი მაია წიწილაშვილი. გადაცემა ეძღვნება მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების სიახლეებს. აქაა ინტერვიუ, რეპორტაჟი, ჩანახატი და ა.შ. გადაცემის მომზადებაში პერიოდულად, სამწუხაროდ იშვიათად მონაწილეობენ კონსერვატორიის სტუდენტები.

პროგრამა **"მხოლოდ ოპერა"** – პირდაპირი ეთერი, ქრ. 50 წუთი, ავტორი მარიკა ჩიჯავაძე. გადაცემის მიზანია: ახალგაზრდა მომღერლების წარმოჩენა. ამისთვის საოპერო სტუდიის სპექტაკლების, კონსერვატორიის კლასის კონცერტების მოსმენა და სელექციითს გზით საუკეთესოების შერჩევა; ოპერის ცნობილი მომღერლების მოწვევა, მათთან საუბარი, მათი მოგონებების ჩაწერა, მსმენელის პირდაპირი ჩართვა; იმ მომღერლების გახსენება, ვინც შექმნა ქართული საოპერო სკოლა. აქ გასაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიოს ფონდის გამოყენება; მსოფლიოში აღიარებული მომღერლების პირდაპირი ეთერის სტუდიაში მოწვევა, ან სატელეფონო, ან სკაიპით ჩართვა; ვოკალური ხელოვნების, საოპერო თეატრის, საოპერო რეჟისურის და სხვა პრობლემებთან მიმართებით დისკუსიები.

შემეცნებით-გასართობი მუსიკალური თოქ-შოუ **"კოლექცია".** პირდაპირი ეთერი, ქრ. 50 წუთი, ავტორი და წამყვანი ლალი იმნაიშვილი. გადაცემა გათვლილი ნებისმიერი ასკის მსმენელზე. აცნობს საინტერესო ადამიანებს, მათ უჩვეულო გატაცებებს: მუსიკალურ, სხვადასხვა ნივთების, ჭრელ-ჭრელი ამბების თუ უნიკალური წიგნების ორიგინალურ კოლექციებს. ტოველი გადაცემის თემა სხვადასხვაა, გამომდინარე იქიდან, რა კოლექციას წარადგენს სტუმარი.

**ღამის ეთერი:**

**"ერთი ხალხური ხიმღერა"** – ჩანაწერი, ქრ. 5 -15 წუთი. ავტორი და წამყვანი ლალი სეთურიძე. გადაცემის მიზანი მდგომარეობს შემდეგში, მსმენელს გავაცნოთ ამა თუ იმ სიმღერის წარმოშობის საფუძველი, გარემო და შემსრულებლის ვინაობა , ვინაიდან თითოეული სიმღერა  ეს არის ხმოვანი ქრონიკა ,რომელიც აქტიურადაა ჩართული ისტორიულ პროცესში. ამ სიმღერების ტექსტები ხშირ შემთხვევაში შთაგონებულია ხალხურ თქმულებებით და ზეპირსიტყვიერებით და გარდა ამისა საინტერესო კვლევები აქვს მთელ რიგ ავტორებს. ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით გ. სვანიძის მოკვლეულ მასალას. ამის გარდა ყურადღებას ვამახვილებთ ასევე სიმღერის უნიკალურობაზე,

სიძველეზე თუ გამორჩეულ საშემსრულებლო მანერაზე. ეს პროექტი მოიცავს ყველა კუთხის სასიმღერო თუ საცეკვაო ფოლკლორს.

პროგრამა **"ცხოვრება ხელოვნებაში"** – ჩანაწერი, კვირაში ერთხელ, ქრ. 50 წუთი, ავტროი და წამყვანი ნია ბახტაძე. ცნობილია ჩვენი საზოგადოების ინტერესი ხელოვანთა ცხოვრების და შემოქმედების მიმართ. საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები - პროფესიონალები, მელომანები, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას ფლობენ ამა თუ იმ გამოჩენილ ხელოვანზე და იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებიც ქართულ და არა მარტო ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული.

გადაცემაში მოწვეული სტუმრები არიან მუსიკოსები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მელომანები.

პროგრამა **„უცნობი მუსიკა“** - პირდაპირი ეთერი, ქრ. საათი და 30 წუთი, ავტორი კახა თოლორდავა. გადაცემა მათთვის, ვისთვისაც მუსიკა უბრალოდ გართობა არასოდეს ყოფილა. ავტორი წარმოგიდგენთ სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილ თავგადასავლებით სავსე მუსიკას. მუსიკას, რომელიც იქმნებოდა ყურით, გრძნობით და ინსტინქტით, და არა ერთხელ დადგენილი წესებით. ეს არის მუსიკა, რომელიც უარს ამბობს ჟანრულ ბარიერებსა და ამოჩემებულ შემსრულებლებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიოს მუსიკალური მიმართულება მუდმივად იწერს საქართველოში გამართულ კონცერტებს, სპექტაკლებს, ფესტივალებს. მათ დიდ უმრავლესობას უწევს საინფორმაციო მხარდამჭერას და შესაბამისად ჩვენი ლოგო ხშირადაა განთავსებული მათ აფიშებზე, ბანერებზე, ბუკლეტებში. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ რადიოსთან მუშაობენ პროფესიონალი, მცოდნე ადამიანები, რომლებიც ხშირად ენთუზიაზმით აკეთებენ საქმეს. მათ მუსიკალურ წრეებში ანგარიშს უწევენ.

რადიოს მუსიკალური მიმართულება ინტენსიურად თანამშრომლობს EEBU-სთან. ასეულობით საათის მუსიკა არის მათგან გადმოწერილი და დაფორმატებული. სამწუხაროდ, რადიო იშვიათად ახერხებს მათთვის მასალის გაგზავნას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი ბევრია, იგი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

სურვილები და პრობლემები: გარე ჩაწერების ტექნიკური აღჭურვილობა არაა სათანდაო. არის მხოლოდ ოთხი კარგი მიკროფონი, ნოუთბუქი არ შეესაბამება სტანდარტებს, ასევე პულტი, არის შტატივების ნაკლებობაც.

არც სტუდიებსა და სამუშაო ოთახებშია სანიმუშო პირობები. სასურველია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის ქონა, რომელიც გაუდავილებს თანამშრომლებს და ხელს შეუწყობს სათანადო მუშაობაში. საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელია კვების წყაროს ე.წ. (იუპიესების) შეძენა, ასევე ოპერატიული მეხსიერების სიმცირის გამო ვერ ხდება სრულყოფილი მასალის დაარქივება ვინაიდან რადიო მუდმივად იწერს და აფორმატებს ეთერისთვის მასალას. ასევე საჭიროა დიქტოფონები -რეპორტიორებისთვის.

რაც შეეხება გადაცემებს, მართალია მიმართულების დასახელებაში ფიგურირებს სიტყვა **"გასართობი",** მაგრამ რეალურად ამ ტიპის ახალგაზრდული პროგრამები ამ მიმართულებაში არ არსებობს.  განსახილველად წარდგენილია ღამის პროექტი და იმედია ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

თავად მიმდინარე გადაცემებისთვის საჭიროა კორესპოდენტები. განსაკუთრებით **"მუსიკალური  რადიო ანშლაგისთვის".**

სურვილებს შორის ერთერთი და  მთავარია ფონდის გადარჩენა, მოვლა. რადიოს მუსიკალურ გასართობ მიმართულებას გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა რემასტერინგის შემდეგ დისკებად, სასაჩუქრედ გამოიცეს  "ოქროს ფონდის" ჩანაწერები. საჭიროა  რადიოს საკუთრების ნუსხის შედგენა და იმ შემთხვევაში  თუ ვინმე, ან რომელიმე მაუწყებელი, მოისურვებს გადაცემას გაშვებას ან მის ჩანაწერს რადიოს რედაქციიდან იქნება სავალდებულო  ნებართვის აღება. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელის ტელევიზიას აქვს ლოგო თავის საარქივო მასალაზე, ასევე განთავსდება რადიოს მასალაზეც ლოგო.

**20.  რადიო გადაცემა „რა სურთ ქალებს"**

გადაცემა „რა სურთ ქალებს" საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო ერთის ეთერში 2015 წლის 30 ნოემბრიდან გადის.

ფორმატი: სტუდიური, პირდაპირი ეთერი

ქრონომეტრაჟი:47-50 წუთი

პოზიცია: შუადღე (11:00 – 12:00 დროის მონაკვეთში)

სიხშირე: ყოველდღიური (უქმეების გარდა)

გადაცემის მოკლე ანოტაცია: მოწვეული სტუმრების დახმარებით, წამყვანები  მსმენელს ესაუბრებიან საზოგადოებისთვის საკამათო და საინტერესო თემაზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია  ქალებთან.  თუმცა ვიწრო სპეციფიკა გადაცემის მიზნობრივი

აუდიტორიის ვიწრო წრეს  არ გულისხმობს - მარტივი მიზეზით, თემა რომელიც უკავშირდება ერთ სქესს, აპრიორში საინტერესოა საწინააღმდეგო სქესისთვის. მაგალითისთვის, განაცხადი „მხოლოდ ქალებისთვის" მამაკაცს ცალსახად აინტერესებს.

გადაცემის მამაკაცი წამყვანი (მსმენელთან ერთად),  ქალი წამყვანის (და მსმენელი ქალების)  სავარაუდო ოპონინენტია. გადაცემის ინტერაქტიული მხარე მსმენელს პირდაპირ ეთერში აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევს და მათთვის საინტერესო სტუმრებთან დიალოგს სთავაზობს.

გადაცემისთვის შერჩეული თემა არ განისაზღვრება ვიწრო სპეციფიკით. მსმენელის სურვილის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს: „ქალი საჭესთან", „ქალი თანამდებობაზე", ქალი - დედამთილი, სიდედრი", „ქალი და სპორტი", „დიეტა", „ოჯახის დაგეგმვა" „ნაადრევი ქორწინება", „ე.წ. უკანონო შვილი" და სხვა.

სამუშაოს აღწერა: ყოველი კვირის ბოლოს (შაბათ-კვირის განმავლობაში) განისაზღვრება მომავალი კვირის თემები და სტუმრები. ხშირ შემთხვევაში ამ დროს გათვალისწინებულია მიზნობრივი აუდიტორიის სურვილი (სოციალური ქსელის და პირდაპირი ეთერის საშუალებით). შესაბამისად, ამ დროს ხდება მომავალი სტუმრების შეთანხმება და მოწვევა პირდაპირ ეთერში.

სიახლე გადაცემის ორთვიანი ისტორიის მანძილზე, გატესტილი იქნა ორი ახალი რუბრიკა:

ორშაბათობით:" ქალები, რომლებმაც შექმნეს ეპოქა" , სადაც წამყვანები სტუმართან ერთად საუბრობენ მსოფლიოში ცნობილ ქალებზე, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით თუ ბიოგრაფიით გაითქვეს სახელი (მაგ: ჟორჟ სანდი, მარო მაყაშვილი, ელეონორააკვიტანელი, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვა) და პარასკევობით " თავისუფალი თემა" ანუ სტუმრად მსმენელი, ამ დღეს ეთერი არის მთლიანად ინტერაქტიული და წამყვანები მსმენელთან ერთად საუბრობენ ძალიან პირობით და საკამათო თემებზე. (მაგ: გამოთქმა ქალური ბედნიერბა, შური, კაცური სიტყვა და. აშ)

მიმდინარე პროცესები: მსმენელთა ზარების და  ასევე სოციალურ ქსელში ჩვენ მიერ წინასწარ დაანონსებული თემების განხილვაში მონაწილე ადამიანთა რაოდენობის მიხედვით, შესაძლებელია, გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გადაცემა საკმაოდ სმენად-ყურებადია.

პრობლემები: იმის გათვალისწინებით, რომ გადაცემის მსვლელობაში აქტიურად ერთვება სოციალური ქსელის მომხმარებელი, გაჩნდა მეორე წამყვანისთვის კომპიუტერის საჭიროება;

სამომავლო ხედვა:  სამომავლოდ გვეგმავთ, რომ კვირის ყოველი დღე, სავარაუდოდ, დავუთმოთ რაღაც კონკრეტულ რუბრიკას (ისევე, როგორც ეს გაკეთდა ორშაბათის და პარასკევის შემთხვევაში).

**სპორტული მიმართულება**

საზოგადოებრივი მაუწყებელისთვის სპორტი რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად და ხელს უწყობს ჯანმრთელი ცხოვრების პოპულარიზაციას. მაუწყბელი  აქტიურად აშუქებს ამ მიმართულებით საინტერესო მოვლენებს, სპორტულ ტრანსლაციებს, რეპორტაჟებს, ცდილობს სპორტული გადაცემების მოყვარულთ შესთავაზოს  მრავალფეროვანი პროგრამები,  ეთერი დაუთმოს სპორტის იმ სახეობებსაც რომელიც ნაკლებად აქტუალურია.

სპორტულ ღონისძიებათა ტრანსლირებისას პრიორიტეტია სხვადასხვა საერთაშორისო, განსაკუთრებით პოპულარულ სპორტულ ასპარეზობაზე საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მაუწყებლის ეთერში სპორტულ თემატიკაზე გადაცემების არსებობა.

21. გადაცემა **„სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად“** და სპორტული რეპორტაჟები

ყოველ ორშაბათს, 22:00 საათზე

ეს არის სპორტული კვირის შეჯამება, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ქართულ და მსოფლიოო სპორტში. მოვლენების სიღრმისეული ანალიზი საინტერესო  სტუმრებთან ერთად.

სპორტული მიმართულება IV კვარტალში  რეპორტაჟებით და გადაცემებით 108-ჯერ გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 და 2 არხების პირდაპირ ეთერში.

გადაცემა „სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად“ სტაბილურად გადაიცემოდა 1 არხის საღამოს ეთერით ყოველ ორშაბათს და ბოლო კვარტალში არაერთ საინტერესო თემას შეეხო, მიმოიხილა ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება, გაანალიზაქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. გადაცემას არაერთი საინტერესო სტუმარი ეწვია.

**Cross –Genre მიმართულება**

საზოგადოებრივ მაუწყებელში  Cross –Genre მიმართულება  მოიცავს მრავალფეროვან სპექტრს თემებისა, რომელიც აქტუალურია საზოგადოებაში,  გადაცემაში

გაერთიანებულია როგორც სოცალურ- პოლიტიკური ასევე  კულტურულ - შემეცნებითი საკითხები.

ამ მიმართულებას ძირითადად წარმოადგენს სხვადასხვა ჟანრთა ჰიბრიდული თანწყობა, რომელიც მოიაზრებს თოქ -შოუს, ინტერაქტიულ გადაცემებს, სხვადასხვა მედიაპლატფომის ჩართულობას,  უქმნის მაყურებელს კომფორტულ გარემოს და აძლევს მას საშუალებას უშუალო მონაწილეობა მიიღოს გადაცემების შექმნაში, როგორიცაა მაგალითად გადაცემა „კომუნიკატორი“, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ მიმართულებაშია გაერთიანებული გადაცემა“რეალური სივრცე“, გადაცემა „ბრაუზერი“ და რადიო გადაცემა „პიკის საათი“.

## 22. გადაცემა “რეალური სივრცე”

ყოველდღიური რეალური სივრცე ეთერში 5 ოქტომბრიდან ჩაეშვა.  31 დეკემბრამდე ეთერში გადიოდა ყოველდღე, შაბათ კვირის გარდა. 18:30 – 19:30. (31 დეკემბრამდე ეთერში გავიდა 64 გადაცემა).

18 იანვრიდან ყოველდღიური რეალური სივრცე ეთერშია : ორშაბათი,სამშაბათი,ოთხშაბათი ხუთშაბათი. 21:00 საათზე.

თოქ-შოუ რეალური სივრცე ეთერში ჩაეშვა 6 ნოემბერს. გადაცემა ეთერშია ყოველ პარასკევს. ამჟამად გასულია 11 გადაცემა.

ანოტაცია :   “რეალური სივრცე” საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ თემებზე მუშაობს, მოქალაქეები რეაგირებენ და ინტერესს იჩინენ ყველა იმ თემის მიმართ რაც უშუალოდ ეხება მათ  პირად სოციალურ ცხოვრებას და იმის მიმართაც რაც შესაძლოა პირადად არ არღვევს მათი ცხოვრების კომფორტის ზონას მაგრამ მნიშვნელოვანია იმ სოციალური გარემოსთვის რომელშიც ცხოვრობენ. შესაბამისად გადაცემის თემატური სპექტრი მოიცავს საზოგადოებისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეს შეიძლება იყოს დიდი ჰესების მშენებლობა ადამიანების ნების საწინააღმდეგოდ, ძალადობა გენდერული ნიშნით, უმცირესობების ცხოვრება და მათი პრობლემები ჩვენს სოციალურ სივრცეში და ა.შ.

სიახლე გადაცემაში: „რეალური სივრცე“  მთლიანად ინტერაქტიული პროექტია,  მისი თემატური პრიორიტეტები,  უშუალოდ მაყურებლის ინტერსებიდან გამომდინარეობს. სატელეფონო ზარების ან სოციალური ქსელების საშუალებით ჩვენ ვისმენთ ამბებს მაყურებლისგან და ვირჩევთ ინტერაქციის ფორმას. ამ გადაცემის საშუალებით

მაყურებელი ინფორმაციის პასიური მომხმარებლიდან იქცევა ინფორმაციის მომწოდებლად.

ეს არის სტუდიური გადაცემა, რომელიც შედგება რამდენიმე კომპონენტისგან :

სამიზნე აუდიტორია : გადაცემის მთავარ სამიზნე ჯგუფს 25 წელს ზემოთ, სოციალურად და საზოგადოებრივად აქტიური ადამიანები წარმოადგენენ.

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა:

პროექტი სრულ შესაბამისობაშია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან.

ადამიანთა ჩართულობა

მრავალფეროვნება და საყოველთაობა

ხარისხი და სანდოობა

კრეატიულობა და ინოვაციურობა

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

ანგარიშვალდებულება

საზოგადოებრივი ღირებულებები: გადაცემა ემსახურება სოციალური და სამოქალაქო ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას. კონკრეტული პრობლემის მქონე ადამიანისთვის ან ჯგუფისთვის იმ უწყებასთან დაკავშირება, რომელსაც შეუძლია ან ევალება მათი პრობლემის მოგვარება. კონკრეტულ საკითხებზე საზოგადოებაში არსებული რადიკალური მოსაზრებების დაახლოება.

სამომავლო ხედვები: გვინდა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით გადაცემას ჰყავდეს კონტრიბუტორები, ადამიანები, რომლებიც გამოაგზავნიან მასალებს ყველა რეგიონიდან, ყველა სოფლიდან და თითოეული ადამიანის პრობლემას მოიტანენ ჩვენამდე. გვინდა რომ არცერთი რეგიონი არ გვქონდეს აუთვისებელი.

**23. გადაცემა „კომუნიკატორი“**

გადაცემის მოკლე ანოტაცია:“კომუნიკატორი” ინტერნეტში ინტეგრირებული ყოველდღიური სატელევიზიო ინტერაქტიული თოქ-შოუა, რომელიც ეთერშია ყოველ

სამუშაო დღეს, ერთი საათის მანძილზე. “კომუნიკატორი” განიხილება არა როგორც სატელევიზიო გადაცემა კლასიკური გაგებით, არამედ როგორც მოქნილი მედია-მოდული, რომელიც იძლევა როგორც მარტივი მოდიფიკაციის, ასევე ექსპერიმენტირების საშუალებას, მაყურებლის მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის სექტემბრიდან, არხის განახლებულ ბადესთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებიდან გამომდინარე, “კომუნიკატორი” მოდიფიცირდა სოციალურიდან შემეცნებით-გასართობი პროფილით.

სამიზნე აუდიტორია: 2015 წლის სექტემბრიდან: “კომუნიკატორი” ყოველდღიურად აშუქებს, როგორც მიმდინარე მოვლენებს, ასევე სპეციალურად დამუშავებულ აქტუალურ კულტურულ, შემეცნებით თუ ტექნოლოგიურ თემებს. ის ორიენტირებულია მაყურებლის 15-45 ასაკის, ინტერნეტსა და მობილურ ტექნოლოგიების მომხმარებელ სეგმენტზე.

გადაცემის საზოგადოებრივი ღირებულებები: საჯარო ჩართულობის პლატფორმის შექმნა: “კომუნიკატორი” დემოკრატიული მედიუმია, რომელიც საზოგადოებასა და მაყურებელს აძლევს ამა თუ იმ აქტუალურ პრობლემაზე თავისი აზრის გამოხატვის საშუალებას. ასევე, ერთმანეთთან აკავშირებს იგივე ან მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეების ჯგუფებს და ემსახურება გამოცდილების გაზიარებას.

ამ სახით, საერთო საზოგადოებრივი ჩართულობა არის “კომუნიკატორის” როგორც ტექნიკური საშუალება, ასევე დანიშნულებაც. შესაბამისად, გადაცემა წარმოადგენს ინტერაქტივი ტელევიზიის არსებული მოდელების უფრო დახვეწილ, თანამედროვე ვერსიას.

რა არის გადაცემაში სიახლე: “კომუნიკატორი” ეწყობა სოციალური ტელევიზიის მედია-მოდელის მიხედვით, რომელიც ტელევიზიისა და სოციალური მედიის თანამედროვე ჰიბრიდს წარმოადგენს და მაყურებელს, შესაბამისად, ამ მოდელიდან გამომდინარე გამოცდილებას სთავაზობს.

რა პრობლემები ექმნებათ გადაცემის დამზადების პროცესში: გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემისთვის ყოველდღიურად მზადდება ორ-ორი თემა თავისი სიუჟეტით, პრობლემას გვიქმნის კამერების ნაკლებობა, ასევე, სამონტაჟო კომპიუტერების ტექნიკური მდგომარეობა. აუცილებელ განახლებას საჭიროებს “კომუნიკატორის” სტუდია განათებისა და კამერის მოძრავი დანადგარების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან, თანამედროვე სატელევიზიო გამოსახულებას.

სამომავლო ხედვები: გამომდინარე იქიდან, რომ “კომუნიკატორის” ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო  საზოგადოებრივი ჩართულობისთვის ახალი ტიპის ქმედითი მედია-პლატფორმის შემუშავება, მიზანშეწონილი იქნება ამ მიმართულებით აქტიობის გაძლიერება როგორც გადაცემის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ძალისხმევით.

ამ კრიტერიუმების (დისკუსია, ჩართულობა, ქსელურობა) გასაუმჯობესებლად, აუცილებელია რომ მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობის ვებ-პორტალის, ან ცალკე აღებული “კომუნიკატორის” ვებ-მაუწყებლობის ახალი პრინციპების შემუშავება, რომელიც შექმნიდა თანამედროვე პრეცედენტს სატელევიზიო მედიის ტრადიციულიდან თანამედროვე კომუნიკაციების სივრცეში ტრანსფორმირებისთვის.

**24. რადიო გადაცემა „პიკის საათი“**

გადაცემის მოკლე ანოტაცია: ,,პიკის საათი“ პირდაპირ ეთერშია ყოველ სამუშაო დილას 07:30-10:00.

მაუწყებლობის ფორმა - პიდაპირი ეთერი.

მაუწყებლობის საშუალებები - სტუმრები პირდაპირ ეთერში, სიუჟეტები, რეპორტაჟები, სატელეფონო, თუ სკაიპით ჩართვები, აუდიო და ტელე ხიდები.

რადგან გადაცემის ფორმატი /შემეცნებით-გასართობი/  თემატურ და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას მოითხოვს,  ,,პიკის საათის“ მიერ მომზადებული მასალა გადაიცემა მრავალფეროვანი სარედაქტორო, თუ საავტორო რუბრიკების ფორმით.  გრძელვადიან პერსპექტივაში გადაცემის მხოლოდ ძირითადი მიმართულებებისა და პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება.  სხვა შემთხვევაში, რედაქცია ოპერატიულად მოიპოვებს და გადასაცემს მასალას. გადაცემა აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიმედიურ პლატფორმაზე გადასვლის პროცესში, რაც, ამ ეტაპზე, პირდაპირი ეთერის რეჟიმში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დილის პროგრამასთან ინტეგრირებული ჩართვებითა და გადაცემების ვებ და სოციალურ გვერდებზე თანამშრომლობით გამოიხატება.

სამიზნე აუდიტორია: ,,პიკის საათი“ მსმენელად ახალგაზრდა აუდიტორიის მოზიდვას ისახავს მიზნად. შესაბამისად, გადაცემის ფორმაცა და შინაარსიც ამ შედეგზეა ორიენტირებული. მიუხედავად იმისა, , რომ დილის ეთერი ამ თვალსაზრისით პრობლემური სამაუწყებლო ველია, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა გადაცემის შინაარსს ინტერნეტში განთავსებული მასალის საფუძველზე, დღის მანძილზე ეცნობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თითოეული მათგანი პოტენციური

მსმენელია პირდაპირ ეთერში. არსებული რეალობით გადაცემას აქტიურად უსმენს /სამწუხაროდ, კვლევები არ არსებობს და სტატისტიკის მოყვანა არ შემიძლია/ საშუალო და ზედა ასაკის მსმენელი, რომელიც გადაცემის მსვლელობისას აქტიურადაა ჩართული ინტერაქტიურ მონაკვეთებში.

ყოველდღიურად შუქდება მიმდინარე და აქტუალური საკითხები

გადაცემის საზოგადოებრივი ღირებულებები: ,,პიკის საათის" მთავარი ღირებულება ისაა, რომ სრული ქრონომეტრაჟის პირობებში გადაცემა ინტერაქტიურია. მსმენელთან უშუალო კონტაქტი თანაავტორობისა და თანაარსებობის განცდას ბადებს, რაც გადაცემის სანდოობის ხარისხსაც ზრდის და რედაქციასაც მეტი აქტიურობისაკენ უბიძგებს. გადაცემის მსვლელობისას არაერთი საზოგადოებრივი ინიციატივა დაბადებულა, რაც ნაწილობრივ განვვიხორციელებია, ნაწილს კი მეტი ყურდაღება და საშუალებები ჭირდება სისრულეში მოსაყვანად.

რისი მიხედვით მოხდა გადაცემის შერჩევა: 1979 წლის აგვისტოდან /37 წელია/ ,,პიკის საათი" უწყვეტ რეჟიმში მაუწყებლობს და დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა, მსმენელის ყურადღება და სიყვარული.

სიახლე: 2016 წლის იანვრამდე გადაცემას მხოლოდ ერთი წყვილი უძღვებოდა, რაც თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნების პრობლემას ქმნიდა. პრაქტიკულად, მასალის უმრავლესობა პირდაპირი ეთერის რეჟიმში გადაიცემოდა. რედაქციის დღევანდელი შემადგენლობა ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად ხსნის, რაც გადაცემის ხარისხზეც აისახება.

პრობლემები გადაცემის დამზადებისას: გადაცემას უნდა ჰყავდეს მუსიკალური რედაქტორი, რომელიც დილის ფორმატის შესაბამისად შეძლებს გამოშვების მომზადებას.

პროდიუსერის შემოქმედებითი შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მიზნით, სასურველია ერთი საშტატო ერთეულის, პირობითად, კოორდინატორის დამატება, რომელიც რედაქციაში ტექნიკური ხასიათის პრობლემების მოგვარებას შეძლებდა. მათ შორის, მასალის განთავსება ვებ და სოციალურ გვერდებზე, დილით სტუმრების ორგანიზებას და ა.შ.

სასურველია, ეთერში კინოთეატრების, თეატრებისა, თუ სხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, ვიქტორინის სახით, ეთერში მათი ბილეთების გათამაშების საშუალება მოგვეცეს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მსმენელის ინტერესს გადაცემისადმი.

სასურველია გასვლითი გადაცემების ორგანიზების საშუალება მოგვეცეს. ეს შეიძლება იყოს ქალაქის რომელიმე უბნიდან, ან სულაც ქვეყნის რომელიმე რეგიონიდან. სურვილისა და დაინტერესების შემთხვევაში შემიძლია მეტი კონკრეტიკით მოგმართოთ.

სასურველია შემუშავდეს პრინციპი, რომელიც რედაქციაში ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს სტაჟირების საშუალებას მისცემს, რაც ერთგვარად მოხსნის კიდეც პრობლემას - ,,კადრების შიმშილი“

**25. გადაცემა „ბრაუზერი“**

"ბრაუზერი" ეს არის შემეცნებით-გასართობი გადაცემა, რომელიც ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ახალ, აქტუალურ, უჩვეულო და საინტერესო ამბებს აცნობს მაყურებელს.

გადაცემის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ის ადამიანები რომლებიც არ არიან სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელნი ( ან უბრალოდ არ აქვთ სოციალური ქსელი) , ვებგვერდებს ბევრ დროს არ, ან ვერ უთმობენ. სწორედ ამ სეგმენტისთვის "ბრაუზერი" კვირის განმავლობაში მომხდარ ყველაზე საინტერესო ამბების ( ტექნოლოგია, მეცნიერება, მუსიკა, კინო lifestyle) კოლაჟს ამზადებს.

სამომავლოდ ვგეგმავთ გადაცემაში არსებულ სეგმენტებს ( ტექნოლოგია, მეცნიერება, კომპიუტერული თამაშები, მუსიკა, კინო, lifestyle) შევმატოთ კიდევ 2 სეგმენტი. სავარაუდოდ ესენი იქნება მოგზაურობა და ვირუსული ვიდეოები, ჯერჯერობით ეს სეგმენტები დამუშავების პროცესშია.

Web ის მუშაობით კმაყოფილები ვართ . ვფიქრობთ თუ იქნება საშუალება კონკრეტული მონაკვეთის გაზიარება (ანუ ამონარიდი გადაცემიდა) მომხმარებლისთვის ძალიან კომფორტული შეიძლება აღმოჩნდეს.

**დოკუმენტური ფილმების სტუდია**

საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ მოწოდებად აღიქვამს საქართველოში დოკუმენტალისტიკის, როგორც დარგის განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, გეგმავს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებას. თავის მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, თავისი მისწრაფებიდან და მიზნიდან გამომდინარე, პრიორიტეტად განიხილავს შემეცნებითი კომპონენტის მქონე დოკუმენტურ ფილმებს. ამ ჟანრის განვითარებისათვის საზოგადოებრივი მაუწყებელი: - ქმნის მაღალმხატვრული

ღირებულების, თანამედროვე ტექნიკური სტანდარტების შესაბამის, თემატურად მდიდარ, მრავალფეროვან პროდუქციას; - ავითარებს თანამედროვე დოკუმენტალისტიკის ახალ მიმართულებებს - დოკუდრამა; რეკონსტრუქცია; ვებდოკუმენტალისტიკა (ე.წ. ვებიუმენტარი) ხელს უწყობს დამოუკიდებელ სტუდიებსა და შემოქმედებით ჯგუფებს; ქმნის ერთობლივ პროდუქციას ქართულ და უცხოურ სტუდიებსა და ტელევიზიებთან; - თანამშრომლობს სპეციალიზირებულ ინსტიტუციებთან შინაარსობრივი ხარისხისა და თემატიკის სიღრმის გასაუმჯობესებლად;

**26. ქართული დოკუმენტალისტიკა**

დოკუმენტური ფილმების საეთერო ბადეში ფილმების განთავსება ხდება წინასწარ განსაზღვრული განრიგით, ყოველ კვირას, საღამოს 21:00 საათზე.

დოკუმენტური ფილმების თემატური მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ჩვენს სამიზნე აუდიტორიად მოიაზრებოდეს ნებისმიერი ასაკის მაყურებელი. ჩვენი აზრით, სტუდიაში ნაწარმოები ფილმები სრულ შესაბამისობაშია პროგრამულ პრიორიტეტებთან. ფილმების თემების შერჩევა ხდება სტუდიის სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფები მზადების ყველა ეტაპზე მოქმედებენ საბჭოსთან შეთანხმებით.

რაც შეეხება ფილმების საზოგადოებრივ ღირებულებებს, დოკუმენტალისტიკის თემატური ველი მოიცავს საჯარო ფასეულობების ფართო სპექტრს: ეროვნულ იდენტობასა და კულტურულ სუვერენიტეტს, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციური პროცესების ხედვას, სამოქალაქო პასუხისმგებლობას და ადამიანის უფლებებს, თავისუფალ აზროვნებას, რეალობის კრიტიკული ხედვას.

**27. გადაცემა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“**

მიმართულება – მხატვრულ–დოკუმენტური ფილმების ციკლი

სერიების რაოდენობა – 13 სერია

სერიის ხანგრძლივობა – 26 წთ.

ჟანრი – ისტორიული

ეპოქა – მე 16 საუკუნე ( 1501–1555 წ.)

ეთერში გასვლის ვადები – 2016 წლის სექტემბერი

კონცეფცია: ეპოქა, რომელიც 16 სერიაში იქნება გაცოცხლებული,მოიცავს პერიოდს 1501წლიდან 1556 წლამდე. მასში წარმოდგენილი იქნება სამეფო–სამთავროებად დაშლილი საქართველო. ფილმის პერსონაჟები იქნებიან ისტორიული პირები–მეფემთავრები და სახელმწიფო მოღვაწეები. მხატვრულ–დოკუმენტური ხერხით გაცოცხლდება ორი იმპერიის, ოსმალეთისა და ირანის ორმოცწლიანი დაპირისპირება, რომელთა მთავარი მიზანი იყო ამიერკავკასიის დაპყრობა.

სტრუქტურა: ინტერიერში და ექსტერიერში გადაღებული მხატვრული სცენები (საუკუნის შესაბამისი დეკორაციითა და კოსტიუმებით, პროფესიონალი მსახიობების შესრულებით).

გადაცემის წამყვანის თხრობა (სტუდიური გადაღება).

კომპიუტერული გრაფიკა chroma key (მწვანე ეკრანი), რეალისტური ბეგრაუნდი და ფორეგრაუნდი, ისტორიული და საბრძოლო სცენების რეკონსტრუქცია– მოდელირება.

არქიტექტურული ვიზუალიზაცია– რეკონსტრუქცია( სრული ავთენტურობით).

სადადგმო სპეც–ეფექტები, ვირტუალური და იმიტირებული პლასტიური გრიმისა და სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით.

ორიგინალური მუსიკა და საუნდ–დიზაინი.

ისტორიული ძეგლების ვიზუალიზაცია, არქიტექტურული ნაგებობების პირვანდელი სახის ჩვენება მაყურებლისათვის, მასალაში ასახული საუკუნის იდენტურობის დაცვით.

ქართული საბრძოლო ხელოვნების (ტაქტიკური წყობისა თუ ხელჩართული ბრძოლის) წრთვნის მეთოდიკის და პრაქტიკული შესაძლებლობების წარმოჩენა.

სამიზნე ჯგუფი: პროექტის საგანმანათლებლო დატვირთვიდან გამიმდინარე, მიგვაჩნია რომ მხატვრულ–დოკუმენტური ფილმების ციკლი "გააგრძელე საქართველოს ისტორია" გახლავთ საზოგადოების ნებისმიერი ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის საინტერესო და აქტუალური. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მოზარდი თაობის საგანმანათლებლო მისიის კუთხით.

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი მისია სწორედ საზოგადოების გემოვნებისა და განათლების განვითარებაა, ვფიქრობთ, რომ პროექტი სწორედ რომ პრიორიტეტულია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტს ახლავს მაღალ

მხატვრულ დონეზე შესრულებული სანახაობითი ნაწილი, რაც კიდევ უფრო ზრდის მისდამი ინტერეს.

რა არის გადაცემაში სიახლე

პროექტის წინა სეზონისაგან განსხვავებით, ფილმის სერიები მეტწილად დატვირთულია მხატვრული სცენებით და ბევრად მაღალ დონეზეა შესრულების ხარისხი.

პროექტის მაღალ დონეზე განხორციელების ძირითადი ხელისშემშლელი გარემოება გახლავთ გადასაღები ტექნიკის სიმცირე და ხშირ შემთხვევაში, არქონა.

რის გაკეთებას აპირებდით და რა ვერ/ არ შესრულდა: თითქმის ყველა, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გარკვეულ წილად მოგვარებულია და წარმოების პროცესი მიმდინარეობ შეუფერხებლად.

სამომავლო ხედვები: გვაქვს დიდი სურვილი გავაგრძელოთ საქართველოს ისტორია და 2016 წლის ბოლომდე გადავიღოთ კიდევ 13 სერია.

**28. გადაცემა ხანმოკლეXX საუკუნე**

ყოველ შაბათს 20:30-ზე

მოკლე ანოტაცია: „ხანმოკლე XX საუკუნე" - არის გადაცემა მეოცე საუკუნის შესახებ. ხანმოკლე იმდენად, რამდენადაც ის, ფაქტობრივად, 1914 წლიდან 1991 წლამდე გრძელდებოდა. მას წინ უძღოდა ხანგრძლივი მეცხრამეტე საუკუნე, რომელიც 1789 წელს ფრანგული რევოლუციით დაიწყო და 1914 წლამდე გაგრძელდა. სწორედ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებითა და შემდგომ უკვე საბჭოთა კავშირის შექმნით იწყება ახალი ერა - XX საუკუნე, რომელიც აღბეჭდილია რევოლუციებით, ომებით, მასშტაბური მოვლენებით კულტურისა და მეცნიერების სფეროში. მთელი ეს პერიოდი განისაზღვრა დაპირისპირებით დასავლეთსა და ტოტალიტარიზმს შორის. მისი დასასრული კი საბჭოთა კავშირის ნგრევით, 1991 წელს დადგა.

სამიზნე აუდიტორია:

( 14-15 წლიდან)

პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-16 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტშია მითითებული: „კვლევამ აჩვენა, რომ მაყურებელთა ყველაზე დიდი სეგმენტი 33% შემეცნებით, საგანმანათლებლო, კულტურასა და წარსულთან დაკავშირებულ გადაცემებს მოისაკლისებს." გადაცემაში „ხანმოკლე მეოცე საუკუნე" საუბარია რევოლუციებზე, ომებზე, აღმოჩენებზე, ადამიანებსა და კულტურაზე, ყველაფერ იმაზე, რამაც საბოლოოდ ერთი მთლიანობა - XX საუკუნე შექმნა. შესაბამისად, თავისი არსით გადაცემა სრულ თანხვედრაშია საზოგადებრივი მაუწყებლის მიმდინარე სტრატეგიასა და პრიორიტეტებთან.

გადაცემის საზოგადოებრივი ღირებულებები: თითოეული გადაცემა მოიცავს ერთ წელს, თანმიმდევრულად 1914-დან 1991 წლამდე. მრავალფეროვანი ამბები, საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარი მნიშვნლოვანი მოვლენების ანალიზი და პარალელები. დიდი ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკოსების, მოგზაურებისა და ა.შ პორტრეტები. აგრეთვე, ლიტერატურული, მუსიკალური, მხატვრული თუ არქიტექტურული შედევრების შექმნის ისტორია. უდიდესი ბრძოლები, გამოგონებები და აღმოჩენები.წამყვანის (ზაზა შათირიშვილი) დინამიური თხრობა, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის შთამაგონებელ გარემო, გაფორმებულია იშვიათი კადრებით არქივიდან, რაც გადაცემას დასამახსოვრებელსა და ერთი ამოსუნთქვით საყურებელს ხდის. გადაცემა საკუთარ წვლილს შეიტანს მაყურებლის ზოგადი განათლების დონის ამაღლებაში.

რისი მიხედვით მოხდა გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში ჩაშვება: გადაცემა მისი შინაარსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით დაამტკიცა სამხატვრო საბჭომ.

სამუშაოს აღწერა: მრავალფეროვანი მასალის მოძიება, შესწავლა, გადარჩევა, სცენარის დაწერა, გადასაღები სივრცის შესაბამისი რეკვიზიტებითა და დეკორაციით გაფორმება. გადაღებისას გამოიყენება ორი კამერა და განათებისთვის საჭირო ტექნიკა.

სამომავლო ხედვები: ახალი სეზონიდან იწყება მეოცე საუკუნის შუა პერიოდი და მეორე ნახევარი. შესაბამისად, ეპოქის გათვალისწინებით მოხდება გადასაღები მოედნის განახლება, დეკორაციისა და რეკვიზეტების შეცვლა. 50-70 - იანი წლების მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს, რომ გავიდეთ გადასაღები მოედნის „კამერული სივრციდან", მეტი ვიზუალური ეფექტისა და მრავალფეროვნებისთვის დაინიშნოს გარე გადაღებები.

**29. შემოქმედებითი ჯგუფი „ეპოქა"**

ეპოქა-ფილმები - ადამიანების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ეპოქაში და თავად ქმნიან ეპოქას კულტურასა და ხელოვნებაში.

სამუშაოს აღწერა:

1.შემოქმედებითი ჯგუფი „ეპოქა“ ამზადებს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს და მიკროფილმებს. გასული წლის მანძილზე საეთეროდ მომზადდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (ჯიბსონ ხუნდაძე) და 24 ერთეული მიკროფილმი (3–დან 15 წუთამდე) საინტერესო ადამიანების, პროფესიების, არქიტექტურულად ღირებული შენობების შესახებ – ეთერში გადის ყოველ სამშაბათს და ოთხშაბათს, 2016 წლის 7 იანვრიდან.

გადაღებულია და მონტაჟდება სრულმეტრაჟიანი ფილმები: ჟანრი ლოლაშვილის, ელისო ვირსალაძის და ანზორ ერქომაიშვილის შესახებ.

დამონტაჟებული და საეთეროდ გამზადებულია ელისო ვირსალაძის 7 მასტერკლასი, რომლის ადგილი ეთერში არ აღმოჩნდა.

2. ჯგუფი „ეპოქა“ მუშაობს აგრეთვე სატელევიზიო თეატრის პროექტზე, რომელიც რეჟისორ თემურ ჩხეიძისა და მწერალ აკა მორჩილაძის თანამშრომლობით, 10 ორიგინალური ტელესპექტაკლის შექმნას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დრამატურგისა და რეჟისორის ერთობლივი მუშაობა პიესებზე.

მთავარი პრობლემა ეს არის – კომუნიკაცია და გაურკვევლობა. თვეობით ველოდით იმის გარკვევას, თუ რა პროდუქტი, როგორი ინტენსივობით და ფორმით სჭირდებოდათ ჩვენი ჯგუფისგან. აქედან გამომდინარეა ბიუჯეტის, ტექნიკური რესურსის და შესაბამისად, ბადეში პროდუქტის განთავსების პრობლემაც. ქვეპუნქტის: რის გაკეთებას ვაპირებდით, რა გვინდოდა და რატომ ვერ გავაკეთეთ – ასასხსნელად, იხილეთ მთავარი პრობლემის განმარტება.

**30. გადაცემა „ტელებლოგი„**

ანოტაცია: საზოგადებრივი მაუწყებლის პირველი არხის პროექტი „ტელებლოგი“ 2015 წლის იანვრიდან – სექტემბრამდე ყოველ კვირა დღეს, 20 საათსა და 30 წუთზე, გადიოდა ეთერში. ახალი სატელევიზიო სეზონიდან (2015 წლის ოქტომბრიდან) „ტელებლოგი“ პირველი არხის სამაუწყებლო ბადეში ყოველდღეა წარმოდგენილი. გადაცემა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 19 საათზე გადის ეთერში. „ტელებლოგის“ ავტორები - ჟურნალისტები და რეჟისორები აქტუალურ თემებზე ამზადებენ სატელევიზიო ფილმებს. ყოველდღიურად ერთი ავტორის მიერ მომზადებული ფილმი გადის ეთერში. „ტელებლოგის“ ფილმებში ავტორები სვამენ პრობლემებს, რომელიც საზოგადოებას აწუხებს და ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრის გზები აჩვენონ.

თემატიკა: „ტელებლოგის“ ფილმების თემატიკა მრავალფეროვანია. გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის პრიორიტეტები საზოგადოების მნიშვნელოვანი მოვლენები და პრობლემებია. „ტელებლოგის“ სამუშაო პროცესი ფილმების თემატიკის დამუშავებით იწყება. თითოეული ფილმის სინოფსისის განხილვა ხდება მიმართულების პროდიუსერის და არხის კრეატიული დირექტორის მონაწილეობით, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება ფილმის წარმოების დაწყებაზე.

ერთი ფილმის გადაღებისთვის ავტორს ეძლევა 5 სამუშაო დღე გადაღებისთვის და 5 სამუშაო დღე მონტაჟისთვის. ფილმის ეთერში გასვლის წინ ანონსების განთავსება ხდება როგორც ეთერში, ასევე მაუწყებლის ვებ-გვერდზე. გასულ ფილმების ნახვის შესაძლებელობა ამაყურებელს ასევე აქვს როგორც საზმაუს ვებ-გვერდზე, ასევე მაუწყებლის Youtub-ის გვერდზე.

2015 წლის მეოთხე კვარტალში გადაღებული და ეთერში გადაცემული იქნა 33 ფილმი (კვირაში ორი ახალი ფილმი).

**31. გადაცემა „ეკიპაჟი“**

2015 წლის დეკემბრის თვიდან გადაცემა იმყოფება მოსამზადებელ რეჟიმში. პირველ ეტაპზე მომზადდა 2 საპილოტე ვარიანტი. ჩატარდა შსს-ს საპატრულო სამსახურის წარმომადგენელთა ქასთინგი, სადაც შეირჩა გადაცემის მონაწილე 6 გმირი. ჩატარდა და კვლავ მიმდინარეობს ოპერატორების ქასთინგი. ჯერჯერობით შერჩეულია მხოლოდ 2. განხორციელდა საცდელი გადაღებების რამოდენიმე ეტაპი. გამოიცადა ჟურნალისტების და ოპერატორების კომპეტენტურობა , ჩამოყალიბდა გადაცემის სახე . ამჟამად მიმდინარეობს გადაღებული მასალის მინტაჟი, სადაც გამოჩნდება მემონტაჟეთა კვალიფიციურობა. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს 112 -ის სამსახურის ხელმძღვანელობასთან.

**32. გადაცემა „ზღვარზე“**

გადაცემის მოკლე ანოტაცია: ტრანსმედია პროექტი “ზღვარზე” აღწერს საქართველოს საზღვრისპირა და საოკუპაციო ხაზის პირას მდებარე ადგილების ცხოვრებას, ატმოსფეროს, ადამიანებს, მათ პრობლემებსა და შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე კალეიდოსკოპური ვიდეოების, ფოტო-ამბების, ტექსტისა და ხმების საშუალებით. ყველა ეს მასალა თავსდება პროექტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში, ხოლო პროექტის სატელევიზიო ვერსია - 26 წუთიანი მასალა კვირაში ერთხელ გადის ტელეეთერში.

სამიზნე აუდიტორია მოიცავს:

ა) ყველა იმ ადამიანს, ვისაც აქვს სურვილი იცოდეს მეტი საქართველოს საზღვრისპირა ადგილების დღვანდელი ცხოვრების შესახებ. ვისაც სურს დაინახოს და შეიგრძნოს სივრცე, სადაც იწყება და მთავრდება ეს ქვეყანა.

ბ) კულტურათა და რელიგიათა შეხვედრის თემებით დაინტერესებულ ადამიანებს, რამდენადაც საქართველოს საზღვრიპირა რეგიონი ხშირად იძლევა საამისო საილუსტრაციო მაგალითებს.

გ) ახალი, ინოვაციური თხრობის ფორმებით დაინტერესებულ ადამიანებს.

პროექტმა გაიმარჯვა საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა კონკურსში.

2.რა პრობლემები ექმნებათ გადაცემის დამზადების პროცესში: პრობლემები, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა: მასალების გადაღების, დამუშავების, მონტაჟისა და დაარქივების პროცესი აუცილებლად მოითხოვს გარე მეხსიერების დისკების ქონას. ამჟამად ჩვენს გვაქვს მხოლოდ 2 ტერაბაიტი მოცულობის შიდა მეხსიერების დისკი, რომელიც სამონტაჟო პროცესში ნელია და მხოლოდ მასალების დასაარქივებლად გამოდგება.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მუშაობა გვიწევს ლაივ დოკუმენტალისტიკის რეჟიმში (სამუშაო ციკლი კვირაში ერთი 26 წუთიანი ფილმის მომზადებას გულისხმობს), აუცილებელია ტელევიზიას ჰქონდეს ხარისხიანი პორტატული ხმის ჩამწერი ან ჩამწერები, რათა გადამღები სტაფის სიმცირის, მასალის სწრაფად მოპოვებისა და დამუშავების სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდეს ხმის რაც შეიძლება სწრაფად და გამართულად ჩაწერა. ასევე აუცილებელია ე.წ "პეტლიჩკებს" ჰქონდეთ ქარისგან დამცავები.

- რა არის სიახლე

ეს არის ახალი გადაცემა და პირველი ტრანსმედია პროექტი ქართულ ტელევიზიაში.

- მიმდინარე პროცესები

მიმდინარეობს პროექტის საწარმოო ციკლი.

- რა პრობლემებია

პრობლემები, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა: გარე მეხსიერების დისკების არარსებობა, პორტატული ხმის ხარისხიანად ჩამწერის არარსებობა.

ასე თუ ისე, ხერხდება არსებული რესურსებით ჩანაფიქრის განხორციელება. თუმცა, უახლოეს მომავალში გარე მეხსიერების დისკებით მოუმარაგებლობის შემთხვევაში გადაცემის საწარმოო ციკლი აუცილებლად შეფერხდება.

სამომავლო ხედვები: სამომავლოდ ვფიქრობთ, ჩვენი პროექტის განვითარებას, მათ შორის: საიტზე ლაივ რეჟიმში ჩართვას გადაღების ამა თუ იმ ლოკაციიდან, გამოფენის (ფოტოები, ვიდეო-ინსტალაციები) ორგანიზებას ჩვენ მიერ გადაღებებისას დაგროვილი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მასალით და ჩვენ მიერ მოვლილი სოფლების მაცხოვრებლებისაგან აქტიური ე.წ. ქომუნითის შექმნას.

## 33. რადიო დრამატული პროექტები

### რადიოთეატრი

მოკლე ანოტაცია: რადიოთეატრი ხელოვნების დამოუკიდებელ ჟანრია, რომელსაც გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებები: სიტყვა, მუსიკა და სხვადასხვა სახის (მოქმედების ადგილის განმსაზღვრელი ან აბსტრაქტული – ემოციური ფონის შესაქმნელი) აკუსტიკური ხმები. ამ კომპონენტების კომბინირებით, სადაც უცილობელი პირველობა ეკუთვნის სიტყვას, ხდება პიესაში ან პროზაულ ნაწარმოებში ასახული მოქმედების სმენითი აღქმა.

ძირითადი ამოცანაა ორიგინალური რადიოპიესების და ცნობილი მხატვრული ნაწარმოებების ინსცენირება და დადგმა.

პარალელურად მიმდინარეობს ძველი რადიოსპექტაკლების განახლება (მუსიკის, ხმაურების დამატება, ტექსტის მონტაჟი, ჩანაწერის ფირიდან ციფრულ ფორმატში გადატანა.) და რადიოსერიალების განხორციელება, რაც მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს.

დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რადიოფესტივალებში მონაწილეობას. ამისთვის სპეციალურად ვდგამთ ახალ რადიოპიესას, რომელიც შეესაბამება ფესტივალის მოთხოვნებს.

შემოქმედებითი ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფი: მთავარი რეჟისორი ზურაბ კანდელაკი, ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია, რედაქტორი ზეზვა ზვიადაური, ადმინისტრატორ–ორგანიზატორი აკაკი ხმალაძე. აგრეთვე ცალკეულ დადგმებზე მოწვეული რეჟისორები.

რეპერტუარი:

რეპერტუარის შედგენაში, საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, ყურადღებას ვაქცევთ ნაწარმოების მორელურ-ეთიკურ და შემეცნებით მნიშვნელობას.

სამიზნე აუდიტორია: ვცდილობთ გავითვალისწინოთ მსმენელთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესები. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ახალგაზრდების დაინტერესება ამ ჟანრით. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი სპექტაკლების ინტერნეტში განთავსების შემდეგ. ჩვენს ვებ–გვერდზე და youtube.com-ზე განთავსებულია სამასამდე რადიოსპექტაკლი და ევროპის რადიოსადგურებში განხორციელებული ქართული პიესები, აგრეთვე ევროპული აუდიოსპექტაკლების საუკეთესო ნიმუშები.

აღდგენილი რადიოსპექტაკლები: აკა მორჩილაძე - „სიცივე“, ალექსანდრე გრინი - „ალისფერი იალქანი“, ვასილ ბიკოვი- „ობელისკი“, ბრისვილი - „ვახშამი“, თამაზ გოდერძიშვილი - „მიწისქვეშა სასახლეები, ონორე დე ბალზაკი - პოლკოვნიკი შაბერი, ჯონ გოლსუორსი - „ვაშლის ყვავილი“.

გარდა ამისა მომზადდა რადიოპიესების „ნირვანაში ჩაკარგულების“ და „ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავთ სიზმრებს“ ინგლისური თარგმანები და ამ რადიოსპექტაკლებმა მონაწილეობა მიიღეს რადიდადგმების საერთაშორისო ფესტივალებში: „GRANPRIX NPOVA’’ და “PRIX EUROPA”. აქვე ავღნიშნავთ, რომ ორივე სპექტაკლმა წარმატებით დასძლია შესარჩევი ტური და მოხვდა ფესტივალის ძირითად კონკურსში.

სამომავლო გეგმები: ამჟამად მზადდება მრავალსერიანი რადიოსპექტაკლი მაქს ფრიშის ცნობილი რომანის „ჰომო ფაბერის“ მიხედვით. სერიალი სავარაუდოთ ეთერში გავა 2016 წლის მარტში. ასევე მზადების პროცესშია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“(თავიდან ბოლომდე). ამ აუდიოსპექტაკლში გამოყენებული იქნება რადიოს ოქროს ფონდის უნიკალური ჩანაწერები და თანამედროვე ქართველი მსახიობების მიერ წაკითხული სხვადასხვა ფრაგმენტები.

განზრახული გვაქვს ბექა ქურხულის, კობა ცხაკაიას, მამუკა მაღულარიას, ნინო ჩხიკვიშვილის ახალ რადიოპიესებზე მუშაობა. ასევე ბერლინის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა და ამისთვის ახალი რადიოპიესის დადგმა. (პიესა შერჩევის პროცესშია

**ინოვაციური ლაბორატორია**

ინოვაციათა ლაბორატორიის, მუშაობის პრინციპად განისაზღვრება ჰიპოთეზა და ექსპერიმენტი. მას გააჩნია განსხვავებულ ინოვაციათა მართვის სისტემა - ინოვაციათა ლაბორატორია მუშაობს ეფექტურობის სისტემისაგან განცალკევებით. მისი საქმიანობის

შეფასება სპეციფიკურია და განსხვავედება ორდინალურ პირობებში მოქმედი სამსახურების შეფასების სისტემისაგან; ინოვაცია და ორიგინალუ რობა ინოვაციების ლაბორატორია სასწავლო ცენტრში აყალიბებს სპეციალურ მიმართულებას, რათა მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა გადამზადება ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების ასათვისებლ ამავდროულად, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოწოდებულია საზოგადოებას შესთავაზოს ახალი ორიგინალური პროდუქცია, რაც საჭიროებს მედია სივრცეში არსებული თეთრი ლაქების გამოვლენასა და შევსებას, რასაც განსაზღვრავს პროდუქტის შექმნისა და შესყიდვის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

## მულტიმედია ბლოკი

2015 წლის 6 ოქტომბერს ძალაში შევიდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება №317 (ოქმი №303) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მულტიმედია ბლოკი აერთიანებს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

- პირველი არხი;
- მეორე არხი;
- მესამე არხი;
- რადიო ერთი;
- რადიო ორი;
- რადიო სამი;
- online media;
- მარკეტინგის სამსახური;
- მზა პროდუქციის შერჩევისა და თარგმნა/გახმოვანბის განყოფილება

ბლოკი უზრუნველყოფს სამაუწყებლო ბადის მომზადებას და დასამტკიცებლად წარდგენას პროგრამული პრიორიტეტების, სამაუწყებლო პოლიტიკის, მაუწყებლის სტრატეგიის მოთხოვნების, მარკეტინგული და სოციალური კვლევების შედეგების გათვალისწინებით და მათ საფუძველზე.

საეთერო ბადის შემუშავების პროცესში, ბლოკი ხელმძღვანელობს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებული „საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნისა და განვითარების სტრატეგიის" პროექტით განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებით.

**1 არხი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საეთერო ბადე წლის განმავლობაში განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს, თუმცა არსებითად განახლდა მეოთხე კვარტლიდან (ახალი სატელევიზიო სეზონიდან). დაემატა რამდენიმე ახალი გადაცემა, ხოლო არსებული გადაცემები გავიდა განახლებული ფორმატით.

**ღირებულებები. რისი მიხედვით მოხდა გადაცემის შერჩევა და საეთერო ბადეში ჩაშვება.**

- **როგორ მოხდა შერჩევა (შერჩევის პრონციპი და პროცესი)**
- **ჩამონათვალი შემოსული გადაცემების, რომელი გადაცემა დაიბლოკა და რატომ.**
- **კომისიის წევრები**
- **ახალი გადაცემების საზოგადოებრივი ღირებულებები, სამიზნე აუდიტორია და პროგრამულ პრიურიტეტებთან თანხვედრა.**

2015 წლის 20 ივლისს გამოცხადდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი სატელევიზიო სეზონისთვის პროექტების შერჩევა, რომლის ფარგლებში პროექტების წარმოდგენა ხორციელდებოდა ელექტრონულად, მაუწყებლის ვებ-გვერდზე - www.gpb.ge განთავსებული აპლიკაციის მეშვეობით.

გენერალური დირექტორის 2015 წლის 7 აგვისტოს #110 ბრძანებით დამტკიცდა წარმოდგენილი პროექტების შერჩევის პროცედურა, რომლის თანახმად შეიქმნა

შესაბამისი კომისია (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 17.08.2015წ. #116 ბრძანება) შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი ებრალიძე - კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

- რუსუდან მანჯგალაძე;
- დონარა შონავა;
- ქეთევან სადღობელაშვილი;
- კონსტანტინე ჯანდიერი;
- სერგო გვარჯალაძე;
- ელდარ შენგელაია;
- გოგი გვახარია;
- დავით ბუხრიკიძე;
- თინათინ ბერძენიშვილი

და დეა გველესიანი - კომისიის მდივანი.

პროექტების შეფასება ხორციელდებოდა ორ ეტაპად.

შერჩევის პირველ ეტაპზე განხორციელდა პროექტების შეფასება კომისიის თითოეული წევრის მიერ #1 დანართში განსაზღვრული კრიტერიუმებით 0-დან - 5-მდე ქულიანი სისტემის შესაბამისად.

| | | გთხოვთ, თითოეული კრიტერიუმი შეაფასეთ 0-დან 5-მდე ქულით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროეტის დასახელება** | **ორიგინალური იდეა** | **სინოფსისი** | **პროფესიული გამოცდილება** | **საწარმოო პროცესი** | **ბიუჯეტი** | **შენიშვნა** |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |
| 6 | | | | | | | |
| 7 | | | | | | | |
| 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | | |
| 10 | | | | | | | |

დანართი #1

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავიდა ის პროექტები, რომლებმაც ყველა კრიტერიუმის შესაბამისად დასმული ქულების საერთო ჯამით დააგროვეს არანაკლებ 15 ქულა.

შერჩევის მეორე ეტაპზე წარმოდგენილი "პილოტებიდან" გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა კომისიის წევრების კენჭისყრის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით.

წარმოდგენილი პროექტების პროცედურების დაცვით განხილვის საფუძველზე კომისია გამარჯვებულად აცხადებს პროექტს და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

შერჩევის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 20 ივლისიდან 2015 წლის 15 აგვისტომდე, წარმოდგენილი იქნა სულ 151 (ასორმოცდათერთმეტი) პროექტი შემდეგ კატეგორიებში: „ახალგაზრდული მიმართულება", „იუმორისტული მიმართულება", „კულტურის მიმართულება", „საბავშვო მიმართულება", „მიმართულება - სოფლის მეურნეობა".

თითიეულ კატეგორიაში წარმოდგენილი პროექტების სრული ჩამონათვალი:

*(პროექტების წარმოდგენის გამოცხადებული ვადის ამოწურვის, ელ-ფოსტის მეშვეობით წარმოდგენილი იყო ერთი პროექტი, რომლის ავტორი ითხოვდა მის მიღება/განხილვას, ვადის გასვლის შესახებ ინფორმაციის არასწორად აღქმის მოტივით. კომისიის წევრების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტი არ იქნა მიღებული და შესაბამისად შეფასებული.)*

**მიმართულება: ახალგაზრდული**

1. **"სტერეო+ტიპი"**-გიორგი ჩომახაშვილი
2. **"კულტურის დრო"**-ლევან ლომაშვილი
3. **"უფლებამოსილნი"**-ნანა გაბუნია
4. **"საუბრები ხელოვნებაზე"**-ნატო არჩვაძე
5. **"ეკო - მითი"**-ნინო სულხანიშვილი
6. **"ეკო - სახელოსნო"**-ნინო სულხანიშვილი
7. **"ანfalsი"**-ანი ლეკიშვილი
8. **"სარკესთან"**-ბელა გელაშვილი
9. **"სოფლის მაშენებლები"**-ზიზი ჩანტლაძე
10. **" ვაშლის არომატი"**-ლიდა ჩიხლაძე
11. **"ახალგაზრდა ჟურნალისტი"**-ლუკა ხაჩიძე
12. **,,უცხო სახლის ბინადრები** "-მაია ქუფარაშვილი
13. **"რეალობა"**-მარიამ ჟღენტი

14. **“პირველი”**-ნიკა საჯაია
15. **“ფილმმეიკერთა კლუბი”**-ნიკოლოზ ხომასურიძე
16. **“თაობა**”-პაატა ბერიკაშვილი
17. **“მოიხსენი ჰალსტუხი”**-სოფიო კიკვაძე, ნათია ხოშტარია
18. **“შენი პროფესია**”-ქეთევან ქებაძე
19. **"თაობა"**-კოკა ყანდიაშვილი
20. **“სტუდენტური დემოკრატია”**-მანანა ღოღობერიძე
21. **“პროცესორი”**-ნაჯა ორაშვილი
22. **“ტელეფორუმი”**-ნინო გელაშვილი
23. “Startup Show”- ანა ნავდრაშვილი
24. **"რეტრო სტარი"-გია** ღარიშვილი
25. **“ახალგაზრდული პოზიცია**”-ზვიად ავალიანი
26. **"ავტორჩევები"**-ზურაბ ბეჟაშვილი
27. **“მწვანემაცია**”-მარიამ გოგიაშვილი
28. **"ჩვენი თვალთახედვა"**-სალომე კახეთელიძე
29. **„ინტერ/FACE**“-თამარ კაციტაძე
30. **„25-ე საათი**“-ლიკა ხორბალაძე
31. **“თინეიჯერული ამბები**”-თინათინ გაბუნია
32. **“მომავალი მსოფლიო”**-გოგა სურგულაძე

**მიმართულება: იუმორისტული**

1. **"სიყვარულის ანატომია"**-ნარგიზა გარდაფხაძე
2. **"შარი"**-ნინო გველესიანი
3. **"კიკიბეთი"**-გიორგი ნიკოლაძე
4. **"სიცილიადა**"-გიორგი ნიკოლაძე
5. **"საზოგადოებრივი იუმორი"**-დავით გოგიჩაიშვილი
6. **„სიცილის ოთახი**“ -კოკა ყანდიაშვილი
7. LOL (Laugh Out Loud) –ბაჩო კვირტია
8. **" ანარეკლი** "-ბიძინა მახარაძე
9. **"ნიკოლშოუ" "nikolshow"**-გიორგი ნიკოლაძე
10. **„ტელეთერაპია**“-სოფიო თუმანიშვილი
11. **„გრიშას კუთხე**.“-ვანო სხირტლაძე

**მიმართულება: კულტურა**

1. **"ფლეილისტი"**-გარდაფხაძე ნარგიზა
2. **"ქვათა ღაღადი**"-გიორგი ბაქანიძე
3. **“მკითხველის კონკურსი”**-გიორგი წეროძე
4. **“ორატორული ხელოვნება ნებისმიერ პროფესიაში”-დავით** ჩომახაშვილი
5. **“ მშვიდობის ფოსტა**”-ლევან ლომაშვილი

6. **"ემიგრანტები"**-მამუკა ჯიჯიეიშვილი
7. **"ქაღალდის ჩიტები"**-მერაბ ნინიძე
8. **"მუსიკოსის მოგზაურობა"**-ნატალია პაჭკორია
9. **"პარალელი"**-ნატალია პაჭკორია
10. **„მომავლისათვის"**-გიორგი ქველაძე
11. **„ არტი-დასაბამიდან დღემდე"**- აბრამ (ალეკო) ბათაშვილი
12. **„რადიო ბლოგი ნიუ-იორკიდან"**-ანა სიდამონიძე
13. **"მე მიყვარს როკი"**-ანა ქადიეშვილი
14. **" მე ვუკრავ"**-ანა ქადიეშვილი
15. **"ნაციონალური ფოლკლორი"**-ანა ქადიეშვილი
16. **"რადიობლოგერი"**-ბაჩო კვირტია
17. **"პეპლის ეფექტი"**-გიორგი კალანდაძე
18. 4th Generation-გოჩა ვანაძე
19. **"ქართული კულტურა ტურიზმის სარკეში"**-ელიზბარ ზანგურაშვილი
20. **„ტფილისი და ტფილისელები"**-თამარ თავაძე
21. **"ცოდნის გემო"**-თამარელა წოწორია
22. **„ფეხბურთის სამყარო"**-კახა კახურაშვილი
23. **„ამბავი ერთი ხელნაწერისა"**-კახაბერ იმნაიშვილი
24. **"მუსიკალური საღამოები" კოტე ყიფიანთან ერთად** -კონსტანტინე ყიფიანი
25. **„კინომანია"**-კოტე ჩლაიძე
26. **,,ვიდი"**- ლევან აფციაური
27. **" ჩ ა კ რ უ ლ ო " (ან "ფესვები")**-ლევან ჯიჯურიძე
28. **"რიბირაბო"** -მაია ქავთარაშვილი
29. **„ჩვენი ქალაქის პატარა ამბები"**-მანანა მახარაძე
30. **„ეპოქა და ადამიანი"**-მარიამ ადამაშვილი
31. **პოეზიის თეატრი /რამოდენიმე ლექსი/**-მიხეილ კიწნურაშვილი
32. **"ამ სახლში ცხოვრობდა"**- ნათია ბერიძე
33. **"გრავიტაცია"**-ნანა თუთბერიძე / ნინელი ჭანკვეტაძე
34. **"ერთი კოსტიუმის ისტორია"**-ნანა შონია
35. **"წერილები"**-ნანა შონია
36. **ტელეჟურნალი "კულტურა"**-ნატო ნიჟარაძე
37. **პარანორმალური მოვლენები საქართველოში**- ნიკა ნიკოლაიშვილი
38. **"თავისუფლება,ეს უფლებაა!,, ან ,,თავისუფალი მე"**-ნიკა ჭავჭავაძე
39. **„იმოგზაურე ნიქსთან ერთად"** -ნიკოლოზ ბარტყულაშვილი
40. **"საქმე ქართული"** -ნიკოლოზ მენაბდე
41. **"უცნობი ისტორიები"**-ნინო განუგრავა
42. **„საქართველო"**-ნორეტა კუტიბაშვილი
43. **„ისტორია ნოტებში ანუ გული მღერის"**-ნუცა ჯანელიძე
44. **„ბაბილონის გოდოლი"** -რუსუდან სტრელკოვა
45. **„ლიტერატურიული დისკურსი"**-საბა მეტრეველი

46. **„კულტურული პანორამა“**-საბა მეტრეველი
47. **„სპექტაკლი მიკროფონთან**“-სალომე გოფოძე
48. **„Artექსპერტი**“- ქეთევან კინწურაშვილი
49. **"ღამის არტ თამაშები"**-ბესიკ სოლომანაშვილი
50. **"ემიგრანტები"**-მამუკა ჯიჯიეიშვილი
51. **“ქაღალდის ჩიტები”**-მერაბ ნინიძე
52. **“მუსიკოსის მოგზაურობა”**-ნატალია პაჭკორია
53. **“პარალელი”**-ნატალია პაჭკორია
54. **„მოკლე ჩართვა“** -ხათუნა ხუნდაძე
55. **არტ ლაიფი** (ART LIFE)- ეკატერინე ლემონჯავა
56. **“მრავალსახეობა თეატრისა**”-ელიზბარ ზანგურაშვილი
57. **“ზარი ახლობელთან„**-ზურაბ ინაშვილი
58. **"ფოლკთაიმი"** -კახაბერ გრიგალაშვილი
59. “ART **კოდი”**- მარინე გერმანიშვილი
60. "**ფლეილისტი**"-ნარგიზა გარდაფხაძე
61. **“ასტრონიქსი”**-ნიკოლოზ ბარტყულაშვილი
62. “**ხარისხვა**”-რევაზ შალიბაშვილი
63. “**ჩვენი მემკვიდრეობა**”-სოფიო თუმანიშვილი
64. **„მომავლის გზა“**-ლანა გაბისონია
65. **„ანარეკლები**“-დავით გურგენიძე
66. **“ტრანსმისია**“-ნაჯა ორაშვილი
67. **„გურული ფირალები**“-ვასილი დოლიძე
68. **„ვიდეო-ბლოგი** ART MUSIC**“**-არჩილ გიორგობიანი და ნინო ჟვანია
69. **"ექვსეულის ხუთეული"**-ბესიკ სოლომანაშვილი
70. "REDRUM”-შალვა ცხოვრებაძე
71. **“მუსიკალური პრიზმა**”-გიორგი ხუციშვილი

**მიმართულება: საბავშვო**

1. **"შაბათის დილა"**-გარდაფხაძე ნარგიზა
2. **"საკითხვეთი"**-ნინო გველესიანი
3. **"ჩემი ოქრო ჩემთან"**-ნინო გველესიანი
4. **"ასფურცელა"**-სოფო კვინტრაძე
5. **„დეტექტივი“**-გიორგი ვარსიმაშვილი
6. **„მუსიკა სარდაფში“**-გიორგი კუხიანიძე
7. **,, ანო-ვანოს ამბები"**-ზიზი ჩანტლაძე
8. **„სატელევიზიო თეატრალურ-ქორეოგრაფიული სტუდია“**-ირმა თევდორაშვილი
9. **"ვოკალის აკადემია"**-ლანა ქუთათელაძე
10. **,,ცნობერების შოუ"**-ნანა კაკაბაძე
11. **„მაშველები**“-ნანა კაკაბაძე

12. **„ მშობლები & ბავშვები“**-ნატო ნოზაძე
13. **„ვებინარია“**-პაატა ბერიკაშვილი
14. **„ჩვენ გვიყვარს სიცოცხლე!!“**-შორენა ჯანაძე
15. **„შესანიშნავი შვიდეული**“-ელენე ჭიქაბერიძე
16. **"პატარა ვარსკვლავი"**-კოკა ყანდიაშვილი
17. **სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - მხიარული სტარტები**-ლევან კიკალიშვილი
18. **„ეტალონი**“-გოჩა ტყეშელაშვილი
19. **"ვისწავლოთ ხატვა**"-ზაალ სულაკაური
20. **„დაკარგული განძი“**-ნიკოლოზ ხომასურიძე
21. **"წიგნების თარო"**-ნინო კელაურიძე
22. **„ვისწავლოთ ერთად“**-სოფიო თუმანიშვილი
23. **„კეთილი წიგნების კვალდაკვალ“**-მამუკა ყუფარაძე
24. **“არაჩვეულებრივი შვიდეული**”-თამარ სხვიტარიძე
25. **“პირველები**”-ირაკლი ჯაფარიძე
26. **„მიამბე მოამბე**“ -ირაკლი ჯაფარიძე

**მიმართულება: სოფლის მეურნეობა**

1. **„მარანი**“-მამუკა ჯიჯიეიშვილი
2. **"სოფლის შენებას რა უნდა?!"**-ნატალია პაჭკორია
3. **"სოფლის შენებას რა უნდა**"-ნინო გველესიანი
4. **"აგრონიუსი**"-ბელა ნოზაძე
5. **„სოფლის შენებას რა უნდა“**-მარიამ შენგელია
6. **"სოფლის საქმე"**-ბესიკ სოლომანაშვილი
7. **"გლეხიდან ფერმერამდე**"-თამარ ბუთურიშვილი
8. **„მარანი“**-მამუკა ჯიჯიეიშვილი (რადიოვერსია)
9. **"სოფლის შენებას რა უნდა?!"**-ნატალია პაჭკორია ( რადიოვერსია)
10. **„26 წუთი-სოფელი“**-ნუგზარ სუარიძე
11. **„სოფლად დავით ბირკაძესთან ერთად“**-დავით ბირკაძე

შერჩევის პროცედურით დადგენილი მინიმალური ზღვარი - 15 ქულა და მეტი შემოსული პროექტებიდან დააგროვა 18-მა პროექტმა: „ახალგაზრდული მიმართულებიდან“ - 3, „იუმორისტული მიმართულებიდან“ - 2, „კულტურის მიმართულებიდან“ - 8, „საბავშვო მიმართულებიდან“ - 4, „მიმართულება - სოფლის მეურნეობა“ – 1. აღნიშნული 18 პროექტიდან ორი პროექტის - „საზოგადოებრივი იუმორი“ და „უცნობი ისტორიები“ შემდგომ ეტაპზე გადასვლის საკითხი კომისიის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით დაყენებული იქნა კენჭისყრაზე, რადგან, როგორც სხდომაზე იყო აღნიშნული პროექტების ანალოგები უკვე გადის სხვა მაუწყებლების

ეთერში. გადაწყვეტილება - აღნიშნული პროექტები არ გადასულიყო შემდგომ ეტაპზე, - მიღებულია ერთხმად.

***შესარჩევი კომისიის წევრებმა დადგინეს,*** *რომ* მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად გადავიდა:

- კატეგორიაში „ახალგაზრდული მიმართულება“:
  1. „პროცესორი” - ნაჯა ორაშვილი - 16 ქულა;
  2. „ახალგაზრდული პოზიცია” - ზვიად ავალიანი - 15 ქულა;
  3. „ინტერ/FACE“ - თამარ კაციტაძე - 16 ქულა.
- კატეგორიაში „იუმორისტული მიმართულება“:
  1. „ტელეთერაპია“ - სოფიო თუმანიშვილი - 16 ქულა.
- კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“:
  1. „რადიო ბლოგი ნიუ-იორკიდან“ - ანა სიდამონიძე - 15 ქულა;
  2. „რადიობლოგერი“ - ბაჩო კვირტია - 15 ქულა;
  3. „კინომანია“ - კოტე ჩლაიძე - 15 ქულა;
  4. „ზარი ახლობელთან“ - ზურაბ ინაშვილი - 15 ქულა;
  5. „ანარეკლები“ - დავით გურგენიძე - 16 ქულა;
  6. „ტრანსმისია“ - ნაჯა ორაშვილი - 16 ქულა;
  7. „ვიდეო-ბლოგი ART MUSIC“ - არჩილ გიორგობიანი და ნინო ჟვანია - 16 ქულა.
- კატეგორიაში „საბავშვო მიმართულება“:
  1. „ასფურცელა“ - სოფო კვინტრაძე - 15 ქულა;
  2. „ცნობერების შოუ“ - ნანა კაკაბაძე - 15 ქულა;
  3. „წიგნების თარო“ - ნინო კელაურიძე - 15 ქულა;
  4. „არაჩვეულებრივი შვიდეული” - თამარ სხვიტარიძე - 15 ქულა.
- კატეგორიაში „მიმართულება - სოფლის მეურნეობა“:
  1. „სოფლის საქმე“ - ბესიკ სოლომანაშვილი - 15 ქულა.

შერჩევის პირველი ეტაპის შედეგად მეორე ეტაპზე გადასული 16 პროექტიდან 2 პროექტზე - „ახალგაზრდული პოზიცია“ (ზვიად ავალიანი) და „სოფლის საქმე“ (ბესიკ სოლომონაშილი) ე.წ. „პილოტი“ ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, მეორე ეტაპზე ე.წ. „პილოტები“ წარმოდგენილი იყო 14 პროექტზე, რომელთა დამატებითი შეფასება კომისიამ განახორციელა შერჩევის პირველ ეტაპზე გამოყენებული კრიტერიუმებით, რის შედეგად შეირჩა შვიდი პროექტი.
კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“ ორი პროექტის „პილოტმა“ - „ზარი ახლობელთან“ (ზურაბ ინაშვილი) და „ტრანსმისია“ (ნაჯა ორაშვილი), - შეფასების შედეგად 15-ზე მეტი ქულა დააგროვა. კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული ორი პროექტი არ არის ერთმანეთთან შესადარებელი და, შედეგად, კენჭისყრაზე დააყენეს საკითხი პროექტის „ტრანსმისია“ (ნაჯა ორაშვილი) კატეგორიაში „ახალგაზრდული მიმართულება“ გადატანის შესახებ. გადატანის შესახებ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კომისიის 9 წევრმა.

შერჩევის მეორე ეტაპზე ღია კენჭისყრის შედეგად ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- კატეგორიაში „ახალგაზრდული მიმართულება“:
  4. „პროცესორი” - ნაჯა ორაშვილი - 2 ხმა;
  5. „ინტერ/FACE“ - თამარ კაციტაძე - 4 ხმა;
  6. „ტრანსმისია“ - ნაჯა ორაშვილი - 10 ხმა;
- კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“:
  8. „ზარი ახლობელთან“ - ზურაბ ინაშვილი - 7 ხმა;
  9. „ვიდეო-ბლოგი ART MUSIC“ - არჩილ გიორგობიანი და ნინო ჟვანია - 9 ხმა;
  10. „რადიობლოგერი“ - ბაჩო კვირტია - 9 ხმა.
- კატეგორიაში „საბავშვო მიმართულება“:
  5. „წიგნების თარო“ - ნინო კელაურიძე - 9 ხმა.

***შესარჩევი კომისიის წევრებმა დადგინეს:***

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი სატელევიზიო სეზონისთვის პროექტების შერჩევის შედეგად საუკეთესო პროექტებად დასახელდნენ:

1. „ზარი ახლობელთან“ - ზურაბ ინაშვილი
2. „ტრანსმისია“ - ნაჯა ორაშვილი
3. „ვიდეო-ბლოგი ART MUSIC“ - არჩილ გიორგობიანი და ნინო ჟვანია
4. „რადიობლოგერი“ - ბაჩო კვირტია
5. „წიგნების თარო“ - ნინო კელაურიძე

2015 წლის 4 აგვისტოს გამოცხადდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი სატელევიზიო სეზონისთვის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომლებისაგან წარმოდგენილი პროექტების პროექტების შერჩევა (შემდგომში - “შერჩევა“), რომლის ფარგლებში პროექტების წარმოდგენა ხორციელდებოდა ელექტრონული აპლიკაციის მეშვეობით.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 14 სექტემბრის #128 ბრძანებით დამტკიცდა წარმოდგენილი პროექტების შერჩევის პროცედურა, რომლის თანახმად შეიქმნა შესაბამისი კომისია:
თეიმურაზ გოგოლაძე - კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

- ელდარ შენგელაია;
- გოგი გვახარია;
- დავით ბუხრიკიძე;
- იაგო კაჭკაჭიშვილი

და დეა გველესიანი - კომისიის მდივანი.

თანამშრომლებისგან მიღებული პროექტების შეფასების სისტემა იყო გარე პირებისგან მიღებული პროექტების შეფასების სისტემის ანალოგიური.

შერჩევის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 4 აგვისტოდან 2015 წლის 15 სექტემბრამდე, წარმოდგენილი იქნა სულ 45 პროექტი შემდეგ კატეგორიებში: „Weekend-დღის შოუ", „გასართობი შოუ", „კულტურის მიმართულება", „საბავშვო მიმართულება", „მიმართულება - სოფლის მეურნეობა", „ტელე-ურნალი ევროპაზე", „ტელე-ჟურნალი ეთნიკურ უმცირესობებზე", „ტელე-ჟურნალი საქართველოზე".

თითიეულ კატეგორიაში წარმოდგენილი პროექტების სრული ჩამონათვალი:

## Weekend დღის შოუ

1. „ატლანტიკური დრო"-ირაკლი ტაბლიაშვილი

## ახალგაზრდული

1.„----- „ მაკო სანიკიძე
2.„ემიგრანტული ქრონიკა"- ნანა ლომიძე
3."ვინ არის დამნაშავე?" ირაკლი ჭეიშვილი
4. "აქცია"-კახაბერ ბუხრაშვილი- ნიკოლოზ წერეთელი
5.„განათლება საზღვრებს მიღმა "-ნანა ჭავჭანიძე

## გასართობი შოუ

1."ტელე დეტალები ";ან "ახლო ხედი"-თამუნა გელიაშვილი; ელენე პაპიაშვილი

## იუმორისტული

1. "ყველაზე ცენტრალური შოუ"-ნიკოლოზ წერეთელი

## კულტურა

1. „TV რევიუ"-თეა კახიანი
2. "ალუბლების სეზონი"-ოლგა ბაბლუანი, მაგდა ანიკაშვილი
3. „მასტერ-კლასი"-ეკატერინე მაჭავარიანი
4. „თბილისი"-თამაზ ტყემალაძე
5. "ტფილისური ისტორიები"-თამაზ ტყემალაძე
6. "ძველი, ახალი, უახლესი"-თამაზ ტყემალაძე

7. „ქართველები საზღვარგარეთ“-თამაზ ტყემალაძე
8. "აი ია"-თამაზ ტყემალაძე
9. "არ დავიწყება მოყვრისა"-თამაზ ტყემალაძე
10. "კინოლიტერატურა"-ლია მირცხულავა, ია დანელია
11. "ჩვენი ქალაქის პატარა ამბები"-მანანა მახარაძე
12. „ღამის განათება“-სალომე დადუნაშვილი
13. „მსოფლიოს მუზეუმები“-სალომე დადუნაშვილი
14. “ფოტოგრაფი” “ადამიანი კამერით”-სერგი გვარჯალაძე, თემო კვირკველია.
15. „ცივი შხაპი“-ქეთევან სადღობელაშვილი
16. „ვისაც გვიყვარს პოეზია“ ან „ლექსი თვითონ მწერს“ -ქეთევან ჯოჯიშვილი

**საბავშვო**

1. "მოუგე დროს"-გვანცა მეფარიშვილი
2. „დროის მანქანა/ნივთების ისტორია“-ირაკლი ჭეიშვილი
3. „5x5-ზე“-ირაკლი ჭეიშვილი

**სოფლის მეურნეობა**

1. „აგარაკი“ (ან ნაკვეთი)-ბესიკ შარაშიძე
2. "გზაჯვარედინი" ან "38–ე პარალელი"-ბესიკ შარაშიძე, იასე ცინცაძე
3. "ფერმა"-თამარ ბოლქვაძე

**ტელეთამაში**

1. "ჩემი საქართველო"-თამაზ ტყემალაძე
2. ტელეჟურნალი ევროპაზე
3. "ევროპა საზღვრებს გარეშე"-ოლგა ბაბლუანი
4. „საქართველო-NATO„-გიორგი ცხვიტავა
5. "ევროატლანტიკური საქართველო"-გიორგი ცხვიტავა
6. „არაჩვეულებრივი ევროპა“-ირაკლი ტაბლიაშვილი
7. "ერთად ევროპისაკენ"-ირაკლი ტაბლიაშვილი, გიორგი ცხვიტავა

**ტელეჟურნალი ეთნიკურ უმცირესობებზე**

1. „ჩვენი საქართველო“-გიორგი გუგუშვილი კობა ჩოფლიანი

**ტელეჟურნალი საქართველოზე**

1. „ზღვარზე“-ანა ჯეგნარაძე
2. „ეს საქართველოა"-თამაზ ტყემალაძე
3. ,,კარგი ამბების დრო"-მზია ლომთათიძე

**შემეცნებითი გადაცემა მუსიკაზე**

1. "მუსიკალური რადიოანშლაგი"-მარიამ ჩიჯავაძე
2. „25-ე საათი“-მარიამ ჩიჯავაძე
3. "ხმები წარსულიდან"-მიხეილ ჯავახიშვილი, დავით ცინცაძე
4. "ჩვენ"-ირაკლი ჭეიშვილი

შერჩევის პროცედურით დადგენილი მინიმალური ზღვარი - 15 ქულა და მეტი შემოსული პროექტებიდან დააგროვა 15-მა პროექტმა: კატეგორიაში „Weekend-დღის შოუ“ - 1, კატეგორიაში „გასართობი შოუ“- 1, კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“ - 4, კატეგორიაში „საბავშვო მიმართულება“ - 1, კატეგორიაში „მიმართულება - სოფლის მეურნეობა“ - 1, კატეგორიაში „ტელე-ურნალი ევროპაზე“ - 5, კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი ეთნიკურ უმცირესობებზე“ - 1, კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი საქართველოზე“ - 1.

აღნიშნული 15 პროექტიდან ევროპის და NATO-ს თემატიკასთან დაკავშირებულ კატეგორიებში პროექტების სიმრავლიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს კენჭისყრაზე დაყენებულიყო საკითხი მეორე ეტაპზე აღნიშნული ორი კატეგორიიდან იმ პროექტების გასვლის თაობაზე, რომლებიც კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობას დააგროვებენ. კენჭისყრის შედეგად ხმებიგადანაწილდა შემდეგნაირად:

- „ევროპა საზღვრებს გარეშე“ - ოლგა ბაბლუანი - 1 ხმა
- „საქართველო-NATO“ - გიორგი ცხვიტავა - 0 ხმა
- „ევროატლანტიკური საქართველო"-გიორგი ცხვიტავა - 5 ხმა
- „არაჩვეულებრივი ევროპა“ - ირაკლი ტაბლიაშვილი - 5 ხმა
- „ერთად ევროპისაკენ“ - ირაკლი ტაბლიაშვილი, გიორგი ცხვიტავა - 5 ხმა

***შესარჩევი კომისიის წევრებმა დადგინეს რომ*** მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად გადავიდა.

- კატეგორიაში „Weekend-დღის შოუ“:

1. „ატლანტიკური დრო“ - ირაკლი ტაბლიაშვილი - 18 ქულა;

- კატეგორიაში „გასართობი შოუ“:

1. „ტელედეტალები " ან "ახლოხედი“ - თამუნაგელიაშვილი, ელენეპაპიაშვილი -16 ქულა;

- კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“:

1. „ჩვენიქალაქისპატარაამბები“ - მანანამახარაძე - 15 ქულა;
2. „მსოფლიოსმუზეუმები“ - სალომედადუნაშვილი - 16 ქულა;
3. „ფოტოგრაფი“ „ადამიანიკამერით“ - სერგი გვარჯალაძე, თემო კვირკველია - 19 ქულა;
4. „ცივი შხაპი“ - ქეთევან სადღობელაშვილი - 19 ქულა;

- კატეგორიაში „საბავშვო მიმართულება“:

1. „დროის მანქანა/ნივთების ისტორია“ - ირაკლი ჭეიშვილი - 15 ქულა;

- კატეგორიაში „მიმართულება - სოფლის მეურნეობა“:

1. „ფერმა“ - თამარ ბოლქვაძე - 16 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ურნალი ევროპაზე“:

1. „ევროატლანტიკური საქართველო“ - გიორგი ცხვიტავა - 16 ქულა;
2. „არაჩვეულებრივი ევროპა“ - ირაკლი ტაბლიაშვილი - 16 ქულა;
3. „ერთად ევროპისაკენ“ - ირაკლი ტაბლიაშვილი, გიორგი ცხვიტავა - 17 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი ეთნიკურ უმცირესობებზე“:

1. „ჩვენი საქართველო“ - გიორგი გუგუშვილი, კობა ჩოფლიანი - 18 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი საქართველოზე“:

1. „ზღვარზე“ - ანა ჯეგნარაძე - 15 ქულა.

შერჩევის პირველი ეტაპის შედეგად მეორე ეტაპზე ე.წ. „პილოტები“ წარმოდგენილი იყო 13 პროექტზე, რომელთა დამატებითი შეფასება კომისიამ განახორციელა შერჩევის პირველ ეტაპზე გამოყენებული კრიტერიუმებით, რის შედეგად შეირჩა ცხრა პროექტი:

- კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“:

5. „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები“ - მანანა მახარაძე - 17 ქულა;
6. „მსოფლიოს მუზეუმები“ - სალომე დადუნაშვილი - 18 ქულა;
7. „ფოტოგრაფი“ „ადამიანი კამერით“ - სერგი გვარჯალაძე, თემო კვირკველია - 18 ქულა;
8. „ცივი შხაპი“ - ქეთევან სადღობელაშვილი - 19 ქულა;

- კატეგორიაში „მიმართულება - სოფლის მეურნეობა“:

2. „ფერმა“ - თამარ ბოლქვაძე - 17 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ურნალი ევროპაზე“:

4. „ევროატლანტიკური საქართველო“ - გიორგი ცხვიტავა - 17 ქულა;
5. „ერთად ევროპისაკენ“ - ირაკლი ტაბლიაშვილი, გიორგი ცხვიტავა - 16 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი ეთნიკურ უმცირესობებზე“:

2. „ჩვენი საქართველო“ - გიორგი გუგუშვილი, კობა ჩოფლიანი - 17 ქულა;

- კატეგორიაში „ტელე-ჟურნალი საქართველოზე“:

2. „ზღვარზე“ - ანა ჯეგნარაძე - 16 ქულა.

კატეგორიაში „კულტურის მიმართულება“ სამი სატელევიზიო პროექტის „პილოტმა“ - მსოფლიო მუზეუმები“ (სალომე დადუნაშვილი), „ფოტოგრაფი“ „ადამიანი კამერით“ (სერგი გვარჯალაძე და თემო კვირკველია) და „ცივი შხაპი“ ქეთევან სადღობელაშვილი), - შეფასების შედეგად 15-ზე მეტი ქულა დააგროვა. კომისიის წევრებმა მიიჩნიეს და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სამივე პროექტი უნდა გავიდეს კენჭისყრაზე.

შერჩევის მეორე ეტაპზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით ***შესარჩევი კომისიის წევრებმა დადგინეს:***

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი სატელევიზიო სეზონისთვის მაუწყებლის თანამშრომლებისაგან წარმოდგენილი პროექტების შერჩევის შედეგად საუკეთესო პროექტებად დასახელდნენ:

- „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები" - მანანა მახარაძე;
- „მსოფლიოს მუზეუმები" - სალომე დადუნაშვილი;
- „ფოტოგრაფი" „ადამიანი კამერით" - სერგი გვარჯალაძე, თემო კვირკველია;
- „ცივი შხაპი" - ქეთევან სადღობელაშვილი;
- „ფერმა" - თამარ ბოლქვაძე;
- „ევროატლანტიკური საქართველო" - გიორგი ცხვიტავა;
- „ერთად ევროპისაკენ" - ირაკლი ტაბლიაშვილი, გიორგი ცხვიტავა;
- „ჩვენი საქართველო" - გიორგი გუგუშვილი, კობა ჩოფლიანი;
- „ზღვარზე" - ანა ჯეგნარაძე.

**გადაცემების/პროექტების პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრის მატრიცა**

| ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები | შემეცნება, კულტურა და საზოგადოება | გართობა და სპორტი | სერიალები და საბავშვო გადაცემები |
|---|---|---|---|
| მოამბე | დილა პირველზე | სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად | წიგნების თარო |
| კვირის „მოამბე" | პირადი ექიმი-მარი მალაზონია | სპორტის რეპორტაჟები | დაუნტონის სააბატო |
| მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად | სიტყვების თამაში | ტოპ გიარი | ქესლი |
| ვექტორი | რეალური სივრცე | | ჩენტო ვეტრინე |
| ზღვარზე | კომუნიკატორი | | |
| ინტერVIEW | ტელებლოგი | | |
| ცხოვრება ციფრებში | ზღვარზე | | |
| ეკონომეტრი | ტრანსმისია | | |
| ვაშინგტონი დღეს | ხანმოკლე XIX საუკუნე | | |
| გამომძიებელი რეპორტიორი | მუსიკოლოგოსი | | |
| | წითელი ზონა | | |
| | დღე მუზეუმში | | |
| | გურმანია | | |
| | ადამიანი კამერით | | |
| | ბრაუზერი | | |
| | ფერმა | | |
| | ქართული დოკუმენტალიტიკა | | |
| | უცნობა მუსიკა | | |
| | ეპოქა | | |


ახალი ამბები და მიმდინარე
შემეცნება, კულტურა და საზოგადოება
გართობა და სპორტი
სერიალები და საბავშვო გადაცემები
8%
11%
28%
53%

**მარკეტინგის სამსახური**

**კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი**

1. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება "people meters"-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

2. გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით

3. ყოველთვიურად მზადდება გადაცემების სარეიტინგო მონაცემები და ეგზავნება ფინანსურ დეპარტამენტს

4. ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულობს ყველა საერთაშორისო პროექტების ჩვენების შემდეგ გავგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები, შესაბამისად ყველა საერთაშორისო პროექტზე (სპორტული ღონისძიებები, კონცერტები) სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

5. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნი, მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო აუდიტორიის შესახებ, აუდიტორიის ცალკეული კატეგორიების, სატელევიზიო არხების და სხვა პარამეტრების მიხედვით

6. გადაიხედა და გადახარისხდა ჩვენს საკუთრებაში არსებული მხ. ფილმების და სერიალების ბაზა და სავარაუდო მიზნობრივი ჯფუფების ქცევიდან გამომდინარე დაიგეგმა მათი ეთერში გადანაწილების სტრატეგია

7. ჩატარდა თვისობრივი კვლევა არხის ახალი შეფუთვის გატესტვის მიზნით. ***კვლევის მიზანი:***

- სატელევიზიო რეკლამისადმი ტელემაყურებელთა დამოკიდებულების გარკვევა

- სარეკლამო ჭრებისადმი აუდიტორიის დამოკიდებულების გარკვევა
- რა ახდენს ზეგავლენას ტელემაყურებლის არჩევანზე
- აუდიტორიის დამოკიდებულება კონკურენტი არხების სარეკლამო პოლიტიკისადმი
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სარეკლამო აქტივობების შეფასება
- სატელევიზიო არხების სარეკლამო პოლიტიკის კრიტერიუმების განსაზღვრა
    - ✓ ანონსის ფორმატი
    - ✓ ანონსის ხანგრძლივობა
    - ✓ სარეკლამო ჭრის ხანგრძლივობა
    - ✓ კონტენტი
    - ✓ სარეკლამო ჭრის ოპტიმალური ადგილი

8. ჩატარდა პირველი არხის გადაცემის „დილა პირველზე“ და კონკურენტი არხების დილის გადაცემების მონიტორინგი. განისაღვრა გადაცემის ძლიერი და სუსტი მხარეები. შედარებითი ანალიზის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები და ანგარიში წარედგინა არხის ხელმძღვანელობას და გადაცემის შეოქმედებით ჯგუფს

9. გადაცემების პროდიუსერებთან ერთად შეირჩა და დამზადდა სასაჩუქრე ატრიბუტიკა გადაცემებისთვის „დილა პირველზე“ და „პირადი ექიმი“

10. 2016 წლისთვის სარეიტინგო მონაცემების მზომავი კომპანიის შერჩევის მიზნით, შედგა ტექნიკური დავალება და მომზადდა სატენდერო წინადადება

საზოგადოებრივ მაუწყებელში და სატელევიზიო მედიაში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და მაუწყებლის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა 2015 წლის ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბერში პრესასთან დაკავშირებული №209-1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის **ონლაინ მუზეუმისთვის** მომზადდა ტელევიზიის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული მასალები (1960-1965 წწ).

**საერთაშორისო ურთიერთობები:**

1. **ტრეინინგი გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორმა 15-16 ოქტომბერს, ფინეთში, მონაწილეობა მიიღო ტრეინინგზე გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში ორგანიზება გაეწია პირის რეგისტრაციას და სხვა საჭირო დეტალებს.

2. **საკონსულატაციო ჯგუფის "Innovation" ვიზიტები**

საკონულტაციო ჯგუფი "Innovation", ხელშეკრულების ფარგლებში 3 თვის მანძილზე სამჯერ ეწვია საზოგადოებრივ მაუწყებელს, კონსულტაციების გასაწევად გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით. ვიზიტების ფარგლებში ორგანიზება გაეწია, შეხვედრების დაგეგმვას საზოგადოებრივ მაუწყებელში, ტრანსპორტირების და სხვა დეტალების უზრუნველყოფას.

3. **გენერალური ასამბლეა EBU**

   საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 3 დეკემბერს, შვეიცარიაში ქალაქ ჟენევაში მონაწილოება მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ გენერალურ ასამბლეაზე.

4. **„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" - შეხვედრა**

   საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 19 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" - ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე „ცვლილებები ქართულ მედია სივრცეში - მედიის მფლობელობა და ანტიდასავლური დისკურსის გაძლიერება.

5. **TRT-ის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს ხელმძღვანელობა 7-14 დეკემბერს, თურქეთში ქ. ანტალიაში მიწვეულ იქნა თურქეთის საზოგადოებრივ მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ მედია ტრეინინგზე. ვიზიტის განსახორციელებლად, ორგანიზება გაეწია მოლაპარაკებებს თურქეთის მხარესთან.

6. **„ადამი მედია პრიზი"**

საზოგადოებრივი მაუწყებელი საერთაშორისო კონკურსის „ადამი მედია პრიზი" პარტნიორი გახდა. გალა დაჯილდოება 10 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. ორგანიზება გაეწია კონკურსის ჩატარებას, პირდაპირ ეთერში გაშვებას და სხვა ტექნიკურ დეტალებს.

**7. „დოიჩე ველე აკადემია“ - კონფერენცია**

27 ოქტომბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილოება მიიღო „დოიჩე ველე აკადემია“-ის მიერ ორგანზიებულ კონფერენციაში - „მედია სამართალი და ეთიკა; რეგიონალური პერსპექტივები“.

**8. მაუწყებლის განახლებული ინფორმაცია EBU-ს**

ევროპის მაუწყებელთა კავშირს მიეწოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია.

**9. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ანგარიში**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე თემაზე „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება“ და მედია მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაციაზე.

**10. მსოფლიო ტელევიზიის დღე**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 21 ნოემბერს გაეროს მიერ დაწესებული მსოფლიო ტელევიზიის დღე აღნიშნა, კერძოდ უზრუნველყო ვიდეო რგოლის გაშვება, პირველი არხის და ვების საშუალებით.

**11. „ამერიკის ხმა“**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი მოაწერა ხელშეკრულების გაგრძელებას „ამერიკის ხმა“- თან.

12. Irex GMPP

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო Irex-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საქართველოს მედია პარტნიორობის პროგრამა. კონკურსის

მონაწილეობის ფარგლებში, მოხდა პროექტის მომზადება, აპლიკაციის შევსება და სხვა დამატებითი საბუთების მოგროვება.

**13. შეხვერდა ევროინტეგრაციის სამინისტროსთან**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ორგანზიება გაუწია შეხვედრას ევროინტეგერაციის სამინისტროსთან თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით.

**14. ევროპის საბჭოს კონფერენცია**

14-15 დეკემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე - „ინტერნეტ მმართველობის ფორუმი - ინტერნეტ სფეროში ადამიანის უფლებები“

**15. შეხვედრა Irex-თან**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო Irex-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე რადიოს კვლევასთან დაკავშირებით.

**16. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან პერმანენტულად ხორციელედბა შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე და ასევე კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი პირების შეხვედრებს.**

**პრომოუშენის განყოფილება**

1. მიმდინარე გადაცემების ყოველდღიური ანონსირება: “ტელებლოგი”, “ფერმა”, “გურმანია”, “უცნობი მუსიკა”, “რეალური სივრცე”, “ქართული დოკუმენტალისტიკა” “ეპიცენტრი”, “გამომძიებელი რეპორტიორი” “ინტერვიუ”, “წიგნის თარო”, “დღე მუზეუმში-სალომე დადუნაშვილთან ერთად”, “წითელი ზონა” , “მუსიკოლოგოსი”, “ადამიანი კამერით”, “ეპოქის გრაგმენტები”, “ტრანსმისია”, “ვექტორი”, კონცერტები, ფილმები.
2. პირველი არხის ახალი შეფუთვა
3. მეორე არხის შეფუთვა
4. საახალწლო შეფუთვა

5. პრომოები გადაცემებისათვის: ,,მოაბმე“, ,,პირადი ექიმი მარი მალაზონია“, ,,ყოველდღიური რეალური სივრცე“, ,,ინტერვიუ“, ,,ადამიანი კამერით“, ,,გურმანია“, ,,მთავარი“, ,,წიგნების თარო“,, ,,დღე მუზეუმში სალომე დადუნაშვილთან ერთად“ , ,,ცხოვრება ციფრებში“, ,,უცნობი მუსიკა“, ,,მუსიკოლოგოსი’’, ,,ტელებლოგი“, ,,ტელებლოგი ზღვარზე“, ,,სიტყვების თამაში“, ,,დილა პირველზე“ ,,სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად“, „ეპოქის ფრაგმენტები“, ,,კომუნიკატორი“, ,,ბრაუზერი“, ,,ფერმა",, სახალწლო ტიხრები“, ,,ვექტორი“, ტელესერიალების და ფილმების პრომო.
6. ევროვიზიის მთლიანი პრომოუშენი
7. სპორტი: ფეხბურთის, ძიუდოს ტურნირის, რაგბის, წყალბურთის , კალათბურთის, ჩემპიონთა ლიგის ანონსები .
8. გადაცემებისათვის: ქუდები, ტიხრები, პლაშკები, თიზერები, ფონები და სხვა გრაფიკული ელემენტები.
9. ბანერები
10. სტიკერები
11. სტუდიების დიზაინი
12. ვებ -ქავერები

**საზოგადოებრივი რადიო:**

1. **სიახლეები**

   **1.1 სტუდიის მოწყობა**

საზოგადოებრივმა რადიომ, მაუწყებლის ტექნიკურ სამსახურთან ერთად დაასრულა პირდაპირი ეთერის სტუდიის და მისი მომსახურე ოთახების რემონტისა და აღჭურვის სამუშაოები. მე-4 კვარტლის პირველი ნახევრიდან ახალ ოთახში გადავიდა რადიოს ცენტერალური სააპარატო, ცალკე მოეწყო ონლაინ-მედია ჯგუფის, სტუმრების მისაღები და სერვერების ოთახები. ცვლილებები შეეხო პირდაპირი ეთერის მართვის ოთახსაც. გარემონტდა პირდაპირი ეთერის სტუდიის შესასვლელი და მოეწყო პანდუსები.

**1.2 ცვლილებები პოგრამულ ბადეში**

**1.2.1 კონკურსი**

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააგრძელა ტელე და რადიო პროექტების კონკურსის წესით შერჩევის პროცესი. წინა კვარტალში გაიმარჯვა ბაჩო

კვირტიას „რადიობლოგერმა“. საანგარიშო პერიოდში კი გამარჯვებულად დასახელდა შემდეგი პროექტები:

**ჩვენი საქართველო** - ყოველკვირეული ინტერაქტიული თოქ-შოუ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემაზე. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი გიორგი გუგუშვილი და საზოგადოებრივი რადიოს ყოფილი თანამშრომელი კობა ჩოფლიანი;
**ერთად ევროპისაკენ** - ეს ყოველკვირეული ინტერაქტიული პროგრამა უკვე რამდენიმე წელია გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, თუმცა აქამდე ეს პროექტი ენთუზიაზმის საუფძველზე ხორციელდებოდა და მისი ავტორები შესაბამის ანაზღაურებას არ იღებდნენ. გადაცემა ეთერში ორშაბათობით, 16:10–ზე გადის და ის მიზნად ისახავს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერას და მონიტორინგს. მისი ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები ირაკლი ტაბლიაშვილი და გიორგი ცხვიტავა.
**ჩვენი ქალაქის პატარა ამბები** - ყოველკვირეული პროგრამა ეთერში ჩანაწერის სახით გადის. ყოფითი ისტორიები საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საინტერესო პიროვნებების ცხოვრებიდან. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები მანანა მახარაძე და ფატი თევდორაშვილი;
**სოფლის დილა** - ეს დილის გადაცემა ტრანსჟანრულია ის ერთდროულად საინფორმაციო, შემეცნებითი და მუსიკალურ-გასართობი პროგრამაა. პროექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებმა დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით წარადგინეს.

„სოფლის დილის“ გამოკლებით, კონკურსში გამარჯვებული პროექტები, საზოგადოებრივი რადიო 1-ის სამაუწყებლო ბადეში 2016 წლის პირველი კვარტლიდან ჩაჯდება.

### 1.1.1 საქართველოს ენებზე მაუწყებლობა

საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვაწვდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

## 2. პრობლემები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად პრობლემად ტექნიკური აღჭურვა და რადიოს კეთილმოწყობა რჩება.

### 2.1 მაუწყებლობის მოცვა

დღეისათვის ნაციონალურ მაუწყებელს წარმოადგენს მხოლოდ „საზოგადოებრივი რადიო 1"" და მისი მაუწყებლობაც არ არის სრულფასოვანი. მარეგულირებლის მიერ „საზოგადოებრივი რადიო 1"- ისათვის გამოყოფილი 21 სამაუწყებლო ზონიდან მაუწყებლობა ხორციელდება მხოლოდ 11-ში, აქედან 2 სამაუწყებლო ზონაში გადამცემები კუსტარულია, არ შეესაბამება დამტკიცებულ სიმძლავრეებს. ზოგადად გადამცემების უმრავლესობა მოძველებულია, არ შეესაბამება მარეგულირებლის მიერ დამტკიცებულ სიმძლავრეებს და შესაცვლელია.

10 მუნიციპალიტეტში მაუწყებლობა საერთოდ არ ხორციელდება. განსაკუთრებით საგანგაშოა მდომარეობა ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული პროგრამები განკუთვნილია პირველ რიგში იმ რეგიონებისათვის, რომლებშიც „საზოგადოებრივი რადიო 1" პრაქტიკულად არ მაუწყებლობს.

მაუწყებლობაში არსებული მდგომარეობით ირღვევა კანონმდებლობა და ამ მდგომარეობის გამოსწორება პრიორიტეტულია.

მაუწყებლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს RDS ინკოდერების არარსებობა. RDS ინკოდერი მსმენელს რადიოს იდენტიფიცირების და მაუწყებლობის ერთი ზონიდან მეორე ზონაში გადასვლისას სიხშირის ავტომატურ ცვლას უზრუნველყოფს.

მაუწყებლის ტექნიკური სამსახურის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით „რადიო 1"-ის სრულფასოვანი მაუწყებლობისათვის აუცილებელია 22 გადამცემით მაუწყებლობა.




გავრცელების რუკიდან კარგად ჩანს, რომ კანონით გათვალისწინებული ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არ არის დაფარული. რუკაზე ნაჩვენები ლენტეხის მაუწყებლობის ზონა რამდენიმე წელია აღარ ფუნქციონირებს. სამაგიეროდ მუშაობს მესტიის გადამცემი, თუმცა მისი მოცვის ზონა რელიეფის გამო მცირეა.

### 2.2 სტუდიების აღჭურვა

**საეთეროში სტუდიის განათება იწვევს ხმაურს** რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია რადიომაუწყებლობისათვის. დროსელებიანი განათება შესაცვლელია უდროსელოთი, რომელიც ღია მიკროფონებს აკუსტიკურ ხმაურს არ უქმნის.

ჩამწერი და პირდაპირი ეთერის სტუდიების განკარგულებაში არსებული მიკროფონებისა და შტატივების დანაკლისი და სავალალო მდგომარეობა მოითხოვს ახალი **მიკროფონებისა და შტატივების** ხარისხიანი კომპლექტების შეძენას.

როგორც საეთერო, ასევე სამონტაჟო სტუდიები განიცდის ხარისხიანი **ყურსასმენების ნაკლებობას**.

რადიოს საეთერო სტუდიის აკუსტიკური გაფორმების ჩახშობის კოეფიციენტი არასაკმარისია. საჭიროა საეთერო **სტუდიის ჭერის აკუსტიკური პარამეტრების** კორექცია.

## 2.3 გარე ჩაწერა

სპექტაკლების, კონცერტების, წარმოდგენებისა და სხვა ღონისძიებების გარე ჩაწერისთვის განკუთვნილი მიკროფონებისა და შტატივების რაოდენობა და ხარისხი არასაკმარისია. ასევე აუცილებელია ჩაწერის აპარატურის მეორე, შედარებით მცირე, კომპლექტი, რადგან ხშირ შემთხვევაში 2 ჩაწერა დროში ემთხვევა.

საზოგადოებრივი რადიოს ჟურნალისტები რესპოდენტებს იწერენ პრესისათვის ბეჭდური მედიისათვის განკუთვნილი დიქტოფონებით. შესაბამისად მათ მიერ ჩაწერილი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

## 2.4 კომპიუტერები

რადიოში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მწვავე ნაკლებობაა, ხოლო არსებული ტექნიკის დიდი ნაწილი ტექნიკურად მოძველებულია.

## 2.5 ფონდი

აუდიო ფონდის ძირითადი ნაწილი კვლავ ფირების სახით ინახება, ხოლო მისი კარტოთეკა კვლავ ბარათების სახითაა. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივი რადიო 1-ის მუშაობას, რომლის დიდი ნაწილიც, სწორედ ოქროს ფონდის მასალებზე დაყრდნობით იქმნება.

აუცილებელია აუდიოფონდის სასწრაფო წესით გაციფვრა, რადგან ამ პროცესის დაყოვნება გამოიწვევს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისათვის მნიშვნელოვანი მასალების სამუდამო დაკარგვას.

## 2.6 ტელეპროდუქციასთან არათავსებადი მულტიმედიური მაუწყებლობა

საზოგადოებრივი რადიოს ონლაინ-მედია ჯგუფი რამდენიმე წლის წინ მცირებიუჯეტიანი საგრანტო პროექტის წყალობით შეიქმნა. მან მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა რადიოს მულტიმედიური მაუწყებლობის მიმართულებით, თუმცა ჯგუფის დღევანდელი ტექნიკური აღჭურვა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ონალინ-მედია ჯგუფის მიერ შექმნილი ვიდეომასალა არათავსებადია ტელევიზიასთან. ასევე პრობლებურია მისი კონვერტირება და დამუშავება ინტერნეტში განსათავსებლად.

მაუწყებლის მიერ არჩეული მულტიმედიური მაუწყებლობის სტრატეგიის ფონზე აუცილებელია, რომ რადიოს ვიდეოტექნიკა თავსებადი იყოს ყველა პლატფორმასთან.

ამისათვის საჭიროა ახალი კამერების, მართვის პულტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

ტელევიზიის სტანდარტებს ასევე უნდა შეესაბამებოდეს რადიოს მიერ შექმნილი ვიდეო კონტენტის ვიზუალური მხარე. ამისათვის აუცილებელია ახალი დეკორაციის და კამერების განთავსების ახალი სქემის შექმნა.

ასევე უნდა მიექცეს ყურადღება რადიოწაყმვანთა ვიზუალურ მხარეს.

### 2.7 კეთილმოწყობა

რადიო თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სივრცე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გასული საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ არ გარემონტებულა. თანამშრომლებს აშკარად არასათანადო სამუშაო პირობებში უწევთ მუშაობა.

## 3. სამომავლო ხედვები

2016 წლის პირველ კვარტალში კონკურსში გამარჯვებული პროექტები ეთერში ეშვება. საუბარია შემდეგ გადაცემებზე:

**„რადიობლოგერი“** ბაჩო კვირტიას საავტორო ფორმატის რუბრიკაა, რომელიც ავტორის სუბიექტური მოსაზრებებისგან შედგება. „რადიობლოგერი“, პირდაპირ თუ ირიბად, ქვეყანაში, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ანარეკლია ბლოგებად, რომელიც ცხელ კვალზე ეხმიანება ყველა სიახლეს – დადებითს თუ უარყოფითს, და მსმენელს საკუთარ მოსაზრებას, პოზიციას აცნობს.

**ჩვენი ქალაქის პატარა ამბები** - ყოველკვირეული პროგრამა ეთერში ჩანაწერის სახით გადის. ყოფითი ისტორიები საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საინტერესო პიროვნებების ცხოვრებიდან. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები მანანა მახარაძე და ფატი თევდორაშვილი;

**ჩვენი საქართველო** - ყოველკვირეული ინტერაქტიული თოქ-შოუ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემაზე. პროექტის ავტორები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი გიორგი გუგუშვილი და საზოგადოებრივი რადიოს ყოფილი თანამშრომელი კობა ჩოფლიანი;

ასევე ვმუშაობთ სხვა პროექტებზეც. მათ შორის საუბარია ახალგაზრდულ მუსიკალურ-შემეცნებით პროექტზე, რომელსაც ახალგაზრდა მუსიკოსები მოამზადებენ. წინასწარი გეგმების მიხედვით გადაცემა ყოველდღე ღამის ეთერში გავა.

2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ტექნიკური გადაიარაღების ხარჯები. პრიორიტეტულია გადამცემების შეძენა, სტუდიური განათების, მიკროფონებისა და კამერების შეცვლა.

და ბოლოს, საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს აუდიტორიის კვლევის ჩატარებას, რაც მნიშვნელოვანი გზამკვლევი გახდება საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

**ვებ პორტალი**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაასრულა ვებ გვერდებზე - gpb.ge; 1tv.ge; 2tv.ge; radio1.ge; eurovision-georgia.ge; junior.eurovision-georgia.ge; -მუშაობა. გათვალისწინებულ იქნა ის იდეები და კომენტარები, რაც წლების განმავლობაში მუშაობის პროცესში გაჟღერდა. შესაძლებელი გახდა მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია.

www.1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი, მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

ასევე კვლავ ფუნქციონირებს პირველი არხის ცალკეული გადაცემებისთვის დამზადებული პრომო საიტები განსხვავებული დიზაინითა და ფუნქციებით: komunikatori.ge წარმოადგენს სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის სრულფასოვან ჰიბრიდს. ორსაათნახევრიანი საეთერო მაუწყებლობის გარდა, “კომუნიკატორი” 24-საათიან რეჟიმშია ჩართული ინტერნეტ სივრცეში, ორი დამატებით კამერის საშუალებით, მომხმარებელს შეუძლია მუდმივად ადევნოს თვალი სტუდიაში მიმდინარე პროცესებს. როგორც ეთერის დროს "ალტერნატიული ხედით", ასევე დღის ნებისმიერ დროს, კერძოდ მათ შეუძლიათ უყურონ გადაცემის მომზადების ეტაპებს, ცოცხალი მუსიკის ჩაწერის პროცესს და ა.შ. საიტი komunikatori.ge ტელევიზიასთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობის რესურსია გადაცემის ფუნქციონირებისას. “კომუნიკატორის” ინტერნეტ-პლატფორმიდან ხდება საეთერო თემების დამუშავება და კონტაქტი მაყურებელთან. გადაცემის დროს, სატელეფონოს გარდა, ყველა სხვა სახის კავშირი მაყურებელთან ხდება “კომუნიკატორის” ინტერნეტ-პლატფორმის გავლით, საიდანაც ყველა მსურველს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი

მოსაზრება პირდაპირ ეთერში თავისი პერსონალური კომპიუტერიდან (ტელეფონიდან, პლანშეტიდან) სხვადასხვა სოციალური ქსელის დახმარებით.

http://zgvarze.1tv.ge - პირველი არხის გადაცემისთვის „ზღვარზე ტელებლოგში" დამზადდა ვებ-გვერდი. პროექტი 24/7 რეჟიმში "მაუწყებლობს", ვიზიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია „იმოგზაუროს" საქართველოს საზღვრისპირა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე ადგილებში, მისთვის სასურველი მარშრუტისა და თხრობის ფორმის შერჩევით.

http://1tv.ge/projects/sauketeso-საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა, გამოერჩია წლის საუკეთესო მოვლენა, ადამიანი და ინსტიტუცია 12 სფეროში და დაეჯილდოებინა. ვებ გვერდის და ფეისბუქ აპლიკაციის საშუალებით 12 სფეროში დასახელებული სამ-სამი კანდიდატიდან აირჩია ის მოვლენა, ადამიანი თუ ინსტიტუცია, რომლებმაც, საზოგადოების აზრით, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ კონკრეტულ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობენ.

საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების, ასევე საზოგადოებასთან უფრო მეტი კავშირის დამყარების მიზნით, პირველი არხის საიტზე - http://1tv.ge/ge/ireporter.html იტვირთება საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა. ასევე საიტს დაემატა ბლოგის ფუნქცია http://1tv.ge/ge/blog.html ამჟამად მიმდინარეობს მომხმარებლის მიერ ბლოგის დამატების ფუნქციის დახვეწა.

- მომხმარებელს საშუალება აქვს თავად დაწეროს და განათავსოს სტატია ვებ პორტალზე
- მომხმარებელს საშუალება აქვს დაამატოს თავისი ვიდეო მასალა ვებ გვერდზე.
- მომხმარებელს საშუალება აქვს გააზიაროს და გააპიაროს თავისი და სხვისი სტატიები და გვერდები სიციალური ქსელების მეშვეობით.
- მომხმარებლის სამართავი პანელი მაქსიმალურად დაცულია.
- კომენტარების დატოვების საშუალება აქვთ, როგორც facebook-ის და Google+, აგრეთვე ჩვეულებრივად რეგისტრირებულ მომხმარებლებს.

  www.gpb.ge - შეიცვალა საიტის დიზაინი, დაემატა რამდენიმე ფუნქცია, მაგ. ონლაინ კონფერენცია. საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეოვერსიები, კანონმდებლობა და ა.შ. (ამჟამად მიმდინარეობს ტესტირება, არსებული ხარვეზების გამოსწორება).

www.2tv.ge - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

www.radio1.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- www.radio2.ge liveმაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.

www.eurovision-georgia.ge; **junior.eurovision-georgia.ge** -დასრულდა ევროვიზიის კონკურსთან დაკავშირებული საიტების სრული რებრენდინგი. ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ფოტოები, ბიოგრაფიები. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირება, არსებული ხარვეზების გამოსწორება.

tqvi.ge - მიმდინარეობს საიტის ახალ დიზაინსა და სტრუქტურაზე მუშაობა.

Public.ge - ამ პროექტის განხორციელებით საზოგადოებრივი მაუწყებლის online მედია სამსახური მიზნად ისახავს საკუთარი გამოცდილების და უახლესი სტანდარტების შერწყმას.

ასევე იგეგმება:

- აპლიკაციების შექმნა სხვადასხვა მოწყობილობისათვის.
- მულტიმედია პროექტების განხორციელება.

**YouTube-არხები**

კვლავ მოქმედებს საზოგადოებრივი მაუწყებლის Youtube არხები, კერძოდ "სსმ", "სსმ სპორტი", "თქვი.ge" და სხვ. ასევე ცალკე არხი ფუნქციონირებს პირდაპირი რეპორტჟებისთვის და Live-გადაცემებისთვის, რომელიც გამოიყენება სპორტული რეპორტაჟების, "მოამბის", სპეციალური გამოშვებების, გადაცემების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

"სსმ"-ზე განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, პირველი და მეორე არხის ტოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სპორტს აქვს ცალკე YouTube-არხი https://www.youtube.com/user/SportGPB

"სსმ სპორტზე" იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

**2015 წ. IV კვარტალი - სულ ვიზიტები 1tv.ge საიტზე - 1,790,000; გვერდების ნახვები - 2,200,000**

| | |
|---|---|
| 1. საქართველო | 945,000 (77.0%) |
| 2. აშშ | 43,000 (4.0%) |
| 3. გერმანია | 35,000 (2.8%) |
| 4. რუსეთი | 30,000 (2.4%) |
| 5. საბერძნეთი | 24,000(1.9%) |
| 6. იტალია | 20,000 (1.7%) |
| 7. თურქეთი | 15,700 (1.3%) |
| 8. საფრანგეთი | 15,400 (1.25%) |
| 9. ესპანეთი | 12, 500 (1.00%) |
| 10. დიდი ბრიტანეთი | 12,000 (0.96%) |

live - 112,000

| | | |
|---|---|---|
| 1. | „წლის საუკეთესო“ საზოგადოებრივზე | 22,296 (1.06%) |
| 2. | შეზღუდვები ავტომფლობელთათვის | 9,609 (0.46%) |
| 3. | ბოკერია - შინაარსს, რაზეც ვისაუბრე სააკაშვილთან მთლიანად ვადასტურებ და საჯაროდ ვაცხადებ ახლაც | 8,352 (0.40%) |
| 4. | „591-ზე იწყება ეს ნომერი“ - ელისაშვილი სატელეფონო ამონაწერს ასაჯაროებს | 8,005 (0.38%) |
| 5. | ქართველმა მორაგბეებმა ნამიბია 17:16 დაამარცხეს | 7,831 (0.37%) |
| 6. | რა ფაქტორები იწვევს ბავშვებში ყურადღების დეფიციტს და ჰიპერაქტიურობას - როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები | 7,710 (0.37%) |
| 7. | რა მიზნები აქვს ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს, რა საფრთხე ემუქრება მსოფლიოს და დგას თუ არა საშიშროების წინაშე საქართველო | 6,643 (0.31%) |
| 8. | სტიქიური უბედურება ამერიკასა და ევროპაში - როგორია სინოპტიკოსების პროგნოზი | 5,579 (0.26%) |
| 9. | ალ-ქაიდას სირიული ფილიალის ხელმძღვანელის სიკვდილის კადრები | 5,029 (0.24%) |
| 10. | რას გულისხმობს უვიზო რეჟიმი | 4,972 (0.24%) |
| 11. | არაოფიციალური ინფორმაციით, თურქეთმა საკუთარ საჰაერო სივრცეში რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო | 4,846 (0.23%) |
| 12. | "ბორჯღალოსნები" ტესტ-მატჩებში უელსის, არგენტინის, შოტლანდიის და იაპონიის ნაკრებებს შეხვდებიან | 4,552 (0.22%) |

Youtube არხები (ყველა ერთად)

4,405,000 ნახვა - 14,800,000 წუთი

| WATCH TIME (MINUTES) | VIEWS | YOUTUBE RED WATCH TIME (MINUTES) | YOUTUBE RED VIEWS |
|---|---|---|---|
| 14,172,053 | 4,404,925 | 1,523 | 239 |

Compare metric ▾ Daily ▾ ☐ Show growth




Video | Asset | Geography | More ▾

| Video | Watch time (minutes) ↓ | Views | YouTube Red watch time (minutes) | YouTube Red views | Average view duration |
|---|---|---|---|---|---|
| ტელებლოგი - "სანამ სიგარეტი ჩაიწვება" | 318,594 (2.2%) | 48,463 (1.1%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 6:34 |
| ყოჩაღების ქუჩაზე - 22 ივნისი, 2014 | 210,524 (1.5%) | 37,588 (0.9%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 5:36 |
| Куда изчезла Людмила Путина? | 146,097 (1.0%) | 68,991 (1.6%) | 8 (0.5%) | 5 (2.1%) | 2:07 |
| გამომძიებელი რეპორტიორი - „უცნობი „რუს... | 130,232 (0.9%) | 6,529 (0.1%) | 135 (8.9%) | 7 (2.9%) | 19:56 |
| Волки в Кахетии | 119,724 (0.8%) | 104,227 (2.4%) | 5 (0.3%) | 8 (3.3%) | 1:08 |
| ტელებლოგი - "პროსტიტუცია: პრობლემა ტაბ... | 112,042 (0.8%) | 17,113 (0.4%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 6:32 |
| ყოჩაღების ქუჩაზე - 11 ოქტომბერი, 2014 | 90,750 (0.6%) | 8,165 (0.2%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 11:06 |
| ქართული დოკუმენტალისტიკა - "საერთაშორ... | 81,711 (0.6%) | 10,478 (0.2%) | 27 (1.8%) | 1 (0.4%) | 7:47 |
| ყოჩაღების ქუჩაზე - 26 ივლისი, 2014 | 79,914 (0.6%) | 10,707 (0.2%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 7:27 |
| ქართული დოკუმენტალისტიკა - ბიოგრაფია ე... | 78,532 (0.6%) | 6,202 (0.1%) | 10 (0.7%) | 1 (0.4%) | 12:39 |
| ყოჩაღების ქუჩაზე - ბუას თავგადასავლები სკ... | 78,509 (0.6%) | 9,570 (0.2%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 8:12 |
| საუკუნის პორტრეტები - დავით ყიფიანი | 76,272 (0.5%) | 7,806 (0.2%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 9:46 |

# დემოგრაფია და რეგიონები

1 Oct 2015 – 31 Dec 2015

| ALL | MALE | FEMALE |
|---|---|---|
| 100% | 64% | 36% |







| Top locations | Views ↓ | 13–17 | 18–24 | 25–34 | 35–44 | 45–54 | 55–64 | 65+ | Gender |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Georgia | 3,257,133 | 9.7% | 36% | 33% | 13% | 5.3% | 2.2% | 1.5% | |
| Russia | 344,046 | 5.5% | 22% | 34% | 18% | 13% | 4.0% | 3.7% | |
| Greece | 82,756 | 4.6% | 20% | 32% | 21% | 12% | 7.5% | 3.7% | |
| United States | 80,884 | 2.6% | 14% | 32% | 23% | 14% | 8.2% | 5.9% | |
| Germany | 78,792 | 3.2% | 25% | 46% | 18% | 4.5% | 2.0% | 1.4% | |
| Turkey | 69,539 | 4.1% | 27% | 34% | 16% | 11% | 3.3% | 3.9% | |
| France | 56,932 | 4.2% | 21% | 41% | 19% | 8.7% | 2.7% | 2.2% | |
| Italy | 52,470 | 1.6% | 13% | 44% | 18% | 12% | 7.7% | 3.1% | |
| Ukraine | 44,097 | 6.9% | 23% | 36% | 17% | 8.9% | 5.0% | 3.1% | |
| Spain | 40,509 | 4.3% | 24% | 35% | 20% | 8.3% | 4.5% | 3.2% | |

Only top 10 locations available.

1–10 of 10

### მოწყობილობები

1 Oct 2015 – 31 Dec 2015

| WATCH TIME (MINUTES) | VIEWS | YOUTUBE RED WATCH TIME (MINUTES) | YOUTUBE RED VIEWS |
|---|---|---|---|
| 14,172,053 | 4,404,925 | 1,523 | 239 |

More metrics · Daily · Show growth · Show totals · Show as % of totals




Device type · Operating system

| Device type | Watch time (minutes) | Views | YouTube Red watch time (minutes) | YouTube Red views | Average view duration |
|---|---|---|---|---|---|
| Computer | 9,737,668 (69%) | 2,910,314 (66%) | 718 (47%) | 63 (26%) | 3:20 |
| Mobile phone | 3,136,689 (22%) | 1,156,039 (26%) | 629 (41%) | 143 (60%) | 2:42 |
| Tablet | 1,071,611 (7.6%) | 305,642 (6.9%) | 90 (5.9%) | 24 (10%) | 3:30 |
| TV | 183,060 (1.3%) | 23,758 (0.5%) | 49 (3.2%) | 6 (2.5%) | 7:42 |
| Unknown | 33,506 (0.2%) | 7,291 (0.2%) | 37 (2.4%) | 3 (1.3%) | 4:35 |
| Game console | 9,519 (0.1%) | 1,881 (0.0%) | 0 (0.0%) | 0 (0.0%) | 5:03 |

### მზა პროდუქციის შერჩევისა და თარგმნა/გახმოვანბის განყოფილება

ძალიან მოცულობითი სამუშაო შესრულდა თარგმნა-გახმოვანების კუთხით მეოთხე კვარტლის განმავლობაში:

თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა 2015 წლის IV კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული და ანიმაციური სერიალები. სულ - 259.02 საათი.

აქედან, სერიალი– 138.58სთ, ანიმაცია – 20სთ, მხ/ფილმები –60.75სთ, ზღაპარი - 15.5სთ, დოკუმენტური ფილმები – 24.18სთ.

მათი დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

IV კვარტალში თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფს დაემატნენ ახალი თანამშრომლები. 1 რედაქტორი, 4 მსახიობი, 1 ხმის რეჟისორი და 1 მემონტაჟე. რის შედეგადაც წინა თვეებთან შედარებით გაიზარდა შესრულებული სამუშაოს მოცულობა.

2015 წლის დეკემბრის ბოლოდან, წვდომა გვაქვს საეთერო სერვერზე და HD ხარისხის პროდუქცია პირდაპირ სერვერიდან გადის ეთერში.

ასევე, დეკემბრის ბოლოს გაკეთდა გახმოვანების მესამე სტუდია, სადაც შესაძლებელია ფილმის გახმოვანება 4 ხმაში.

ცვლილებები შევიდა სარედაქტორო პოლიტიკაშიც (ლექსიკა, სლენგი, უცენზურო სიტყვებიდა ა. შ.).

გახმოვანებიის ხარისხის აწევის მიზნით, სამსახურში იგეგმება გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, მოხდება მსახიობების გადაყვანა საჰონორარო ანაზღაურებაზე, რაც უფრო მოქნილს გახდის მსახიობების დაქირავების პროცესს. შესაბამისად, ეს აისახება ხმების მრავალფეროვნებაზე. 2016 წლის იანვრიდან გაიზრდება მთარგმნელების ჰონორარი.

**ინფორმაცია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2015 წლის IV კვარტალში გაწეული ხარჯების შესახებ**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2015 წლის IV კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 962.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1 830.9 ათასი ლარი, სულ 9 793.8 ათასი ლარი.

**ხელფასები**

2015 წლის IV კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 546.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 1 138.3 ათასი ლარი, სულ - 4 684.5 ათასი ლარი.

**მივლინებები**

2015 წლის IV კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 205.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 11.0 ათასი ლარი, სულ - 216.7 ათასი ლარი.

**სამეურვეო საბჭოს ხარჯები**

2015 წლის IV კვარტალში სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 74.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 0 ათასი ლარი, სულ - 74.8 ათასი ლარი.

**მონიტორინგის საბჭოს ხარჯები**

2015 წლის IV კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 18.0 ათასი ლარი.

**სხვა ადმინისტრაციული ხარჯები**

2015 წლის IV კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 616.1 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 534.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 81.7 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 138.6 ათასი ლარი;
- წყალი - 19.3 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 1.1 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 34.5 ათასი ლარი;

- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 63.5 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 5.6 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 1.4 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 26.2 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები -10.4 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 2.5 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 25.6 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი -0.1 ათასი ლარი;
- აუდიტორული მომსახურება - 4.0 ათასი ლარი;
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - 35.2 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 70.4 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 99.5 ათასი ლარი;
- ფართის ქინავნობა/სხვა იჯარა - 11.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 12.4 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 4.1 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 50.1 ათასი ლარი.

## მარკეტინგის ხარჯები

2015 წლის IV კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 43.7 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 30.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 13.0 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 30.7ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 13.0 ათასი ლარი;

## პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2015 წლის IV კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 1 528.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 329.9 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 858.8 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 30.5 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 888.1 ათასი ლარი;
- ქართული ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 15.1 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 282.1 ათასი ლარი;

- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 47.9 ათასი ლარი;
- გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 238.2 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 27.0 ათასი ლარი;

## საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2015 წლის IV კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 333.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 110.0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 443.3 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 105.7 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 37.2 ათასი ლარი;
- საკონსულტაცო მომსახურების ხარჯი - 300.2 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 1.2 ათასი ლარი.

## ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2015 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 1 346.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 29.1 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 375.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 360.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 138.1 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 56.0 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 147.9 ათასი ლარი;
- ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები - 32.8 ათასი ლარი;
- კომპიუტერები - 275.2 ათასი ლარი;
- კამერები - 159.3 ათასი ლარი;
- ლიცენზირებული ანტივირუსი -15.8 ათასი ლარი;
- აუდიო მოწყობილობები, მიკროფონები და აქსესუარები - 134.7 ათასი ლარი;
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 55.8 ათასი ლარი.

## სხვა გადასახდელები

2015 წლის IV კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 344.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 117.9 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა 462.3 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სახელმწიფო სესხის წინსწრებით სრული დაფარვა – 0 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევრო გადასახადი - 0 ათასი ლარი;
- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 412.9 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალიანების დაფარვა - 0 ათასი ლარი;
- მოგების გადასახადი - 0 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 0 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 46.5
- სხვა საგადასახადო ხარჯი - 2.9 ათასი ლარი.

# ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 2015 წელს გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

(თანხები მოცემულია ლარებში)

| # | დასახელება | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შრომის ანაზღაურება** | **1,535,921** | **1,577,100** | **418,008** | **3,531,029** |
| 2 | **პრემია** | | | | **-** |
| 3 | **სოციალური უზრუნველყოფა** | **1,388** | **12,881** | **912** | **15,180** |
| 4 | **მივლინებები** | **98,625** | **48,214** | **58,870** | **205,709** |
| 5 | **სამეურვეო საბჭო** | **28,116** | **27,466** | **19,200** | **74,782** |
| 5.1 | ჰონორარები | 19,650 | 19,000 | 19,200 | **57,850** |
| 5.2 | სხვა ხარჯები | 8,466 | 8,466 | | **16,932** |
| 6 | **მონიტორინგის საბჭო** | **6,000** | **6,000** | **6,000** | **18,000** |
| 6.1 | ჰონორარები | 6,000 | 6,000 | 6,000 | **18,000** |
| 7 | **ადმინისტრაციული** | **140,614** | **124,565** | **269,284** | **534,463** |
| **7.1** | **კომუნალური ხარჯები** | **45,220** | **9,039** | **107,454** | **161,713** |
| 7.1.1 | წყალი | 7,137 | 7,045 | 5,113 | **19,295** |
| 7.1.2 | დენი | 38,083 | | 100,541 | **138,624** |
| 7.1.3 | გაზი | | 194 | | **194** |
| 7.1.4 | სხვა (დასუფთავება/სანიტარული) | | 1,800 | 1,800 | **3,600** |
| **7.2** | **შენობის დასუფთავება** | **7,727** | **7,727** | **15,454** | **30,908** |
| 7.2.1 | "Top House-Georgia" | 7,727 | 7,727 | 15,454 | **30,908** |
| **7.3** | **წარმომადგენლობითი ხარჯები** | | | | **-** |
| **7.4** | **ჟურნალ-გაზ. და წიგნების შიძ.** | **862** | **923** | **2,007** | **3,792** |
| 7.4.1 | შპს "ინფოსერვისი' | 120 | 120 | 240 | **480** |
| 7.4.2 | შპს "ელვა.ჯი' | 742 | 803 | 1,767 | **3,312** |
| **7.5** | **ტრანსპორტი** | **20,686** | **24,483** | **25,552** | **70,722** |
| 7.5.1 | ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება) | 384 | - | 1,054 | **1,437** |
| 7.5.1.1 | ავტოსერვისცენტრ + | | | | **-** |
| 7.5.1.2 | ბიზნეს ჯგუფი 2010 | | | 572 | **572** |
| 7.5.1.3 | R - მოტორსი | 89 | | | **89** |
| | GT-Motors | 295 | | 482 | |
| 7.5.2 | სათარიგო ნაწილები | - | - | - | **-** |
| 7.5.2.1 | თეგეტა | | | | **-** |
| 7.5.2.2. | Type II | | | | **-** |
| 7.5.3 | ავტოტრანსპორტის დაზღვევა | 1,351 | 1,380 | 2,869 | **5,599** |
| 7.5.3.1 | ირაო | | | 109 | **109** |
| 7.5.3.2 | ქართუ | 1,351 | 1,380 | 2,760 | **5,491** |
| 7.5.4 | საწვავ-საპოხი მასალები | 18,802 | 23,104 | 21,630 | **63,535** |
| 7.5.4.1 | ბენზინი | 16,097 | 20,055 | 18,183 | **54,336** |
| 7.5.4.2 | დიზელი | 2,704 | 3,048 | 3,447 | **9,199** |
| 7.5.4.3 | ზეთი | | | | **-** |
| 7.5.5 | ავტოპარკის განახლება | 150 | - | - | **150** |
| 7.5.5.1 | ახალი მანქანების შეძენის ხარჯი | | | | **-** |
| 7.5.5.2 | "სიტი -პარკი" | 150 | | | **150** |
| **7.6** | **კავშირგაბმულობა** | **21,808** | **15,899** | **26,290** | **63,997** |
| 7.6.1 | მობილურების ხარჯი | 13,171 | 6,449 | 6,549 | **26,169** |
| 7.6.1.1 | მაგთიკომი | 13,171 | 6,449 | 6,549 | **26,169** |
| 7.6.2. | სატელეფონო საუბრები | 1,982 | 2,411 | 6,048 | **10,441** |
| 7.6.2.1 | სს "სილქნეტი" | 1,982 | 2,411 | 6,048 | **10,441** |
| 7.6.3 | ინტერნეტი | 6,099 | 6,499 | 12,983 | **25,581** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.6.3.1 | სს "სილქნეტი" | 2,999 | 2,999 | 5,998 | **11,996** |
| 7.6.3.2 | შპს "კავკასუს ონლაინი" | 100 | 500 | 985 | **1,585** |
| 7.6.3.3 | სს "სილქნეტი" | 3,000 | 3,000 | 6,000 | **12,000** |
| 7.6.4 | კავშირგაბმულობა (სხვადასხვა) | 555 | 541 | 711 | **1,806** |
| 7.6.4.1 | 112-ის მომსახურება | 555 | 541 | 711 | **1,806** |
| 7.6.4.2 | Type II | | | | - |
| **7.7** | **შენობა-ნაგებობების დაცვა** | **17,600** | **17,600** | **35,200** | **70,400** |
| 7.7.1 | დაცვის ხარჯი (თბილისი) | 17,600 | 17,600 | 35,200 | **70,400** |
| **7.8** | **საფოსტო მომსახურება** | **274** | **63** | **253** | **589** |
| 7.8.1 | შპს "საქართველოს ფოსტა" | 274 | 63 | 253 | **589** |
| 7.8.2 | შპს "არამექსი" | | | | - |
| **7.9** | **საკანცელარიო საქონელი** | | | | - |
| **7.10** | **მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა** | **409** | **281** | **819** | **1,510** |
| 7.10.1 | კომპ. ტექნიკა და აქსესს. (<500ლ) | | | | - |
| 7.10.2 | კარტრიჯები, საბეჭდი მასალები | 409 | 281 | 819 | **1,510** |
| **7.11** | **ოფისის სხვა ხარჯები (ჟალუზი,სავარძ, სხვა)** | | **4,350** | | **4,350** |
| **7.12** | **იჯარა** | - | - | **3,600** | **3,600** |
| 7.12.1 | საოფისე ფართის ქირავნობა | | | | - |
| 7.12.2 | სხვა იჯარა (ადმინ.) | | | 3,600 | **3,600** |
| **7.13** | **უძრავი ქონების დაზღვევა** | | | | - |
| **7.14** | **სამშ -სარემონტო სამუშაოები** | | **17,680** | | **17,680** |
| **7.15** | **აუდიტორული და საექსპერტო მომს.** | | | | - |
| **7.16** | **საარქივო მომსახურება** | - | - | **183** | **183** |
| 7.16.1 | წიგნების აკინძვა "ტატიანა ყელაურიძე" | | | 183 | **183** |
| **7.17** | **სანოტარო, საკონსულტაციო, სათარჯიმნო მომს.** | - | - | - | - |
| 7.17.1 | სანოტარო და საკონსულტაციო მომსახურება | | | | - |
| 7.17.2 | სათარჯიმნო მომსახურება | | | | - |
| **7.18** | **სასამართლო ბაჟი** | | | | - |
| **7.19** | **თანამშრომელთა დაზღვევის** | **25,627** | **26,070** | **47,846** | **99,543** |
| **7.20** | **საწყობის მოწყობა** | | | | - |
| **7.21** | **სხვა ხარჯები** (მათ შორის სატენდ.) | **400** | **450** | **4,625** | **5,475** |
| **8** | **მარკეტინგი და გაყიდვები** | **7,667** | **7,667** | **15,333** | **30,667** |
| **8.1** | **PR** | - | - | - | - |
| 8.1.1 | ბრენდირება | | | | - |
| 8.1.2 | სასაჩუქრე პაკეტები | | | | - |
| 8.1.3 | სხვა ღონისძიებები | | | | - |
| **8.2** | **სოციალური კვლევები** | **7,667** | **7,667** | **15,333** | **30,667** |
| 8.2.1 | თვისობრივი კვლევა (ფიფლმეტრი) "TV MR საქ) | 7,667 | 7,667 | 15,333 | **30,667** |
| 8.2.2 | სატელეფონო კვლევა | | | | - |
| 8.2.3 | რაოდენობრივი კვლევა - ბაზრის სეგმენტაცია | | | | - |
| **9** | **საინფორმაციო** | **252,628** | **2,907** | **77,770** | **333,305** |
| **9.1** | **სიგნალის გადმოგორება** | **30,853** | **961** | **73,878** | **105,692** |
| 9.1.1 | სიგნალის გადმოგორება (EBU) | 25,147 | 961 | 71,422 | **97,530** |
| 9.1.2 | სიგნალის გადმოგორება (სხვა ორგანიზაციები) | 5,706 | | 2,456 | **8,162** |
| **9.2** | **საკონსულტაციო ხარჯი** | 190,421 | | | |
| **9.3** | **ინფორმაციის მოწოდება** | **31,355** | **1,946** | **3,892** | **37,192** |
| 9.3.1 | შპს "ჯეოჰოტნიუსი' | | 590 | 1,180 | **1,770** |
| 9.3.2 | შპს "ახალი ამბები" (ინტერპრესნიუსი) | 520 | 520 | 1,040 | **2,080** |
| 9.3.3 | შპს "მედიანიუსი" | 180 | 180 | 360 | **720** |
| 9.3.4 | შპს ახალი ამბების სააგენტო "კავკასპრესი" | 206 | 206 | 412 | **823** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9.3.5 | შპს "პირველი' | 450 | 450 | 900 | 1,800 |
| 9.3.6 | 'REUTERS TELEVISION LTD' | 29,999 | | | 29,999 |
| **10** | **პროდიუსინგი** | **608,872** | **620,311** | **299,739** | **1,528,922** |
| **10.1** | **სიგნალის გადმოგორება** | **15,240** | **-** | **15,281** | **30,521** |
| 10.1.1 | სააღდგომო | | | | - |
| 10.1.2 | ჩემპიონთა ლიგა 2015 | | | | - |
| 10.1.3 | 2015 ჩემპიონთა ლიგის დღიური | 8,599 | | 4,584 | 13,184 |
| 10.1.5 | სხვა სპორტი: | 6,641 | - | 10,696 | 17,337 |
| 10.1.5.1 | ფეხბურთის ამხანაგური მატჩები | 6,641 | | 10,696 | 17,337 |
| 10.1.5.4 | ჭიდაობა/ძიუდო/სხვა | | | | - |
| 10.1.5.5 | რაგბის ტესტ მატჩი/ერთა თასი | | | | - |
| **10.2** | **ლიცენზიები** | **362,707** | **405,860** | **68,819** | **837,385** |
| 10.2.1 | 2015 წლის ჩემპიონთა ლიგა | | | 60,333 | 60,333 |
| 10.2.2 | 2016 წლის ოლიმპიადა (sportfive) | | | | - |
| 10.2.3 | ევრო/მსოფლიოო 2016-2018 საკვალიფ. | | | 8,486 | 8,486 |
| 10.2.4 | 2016-2018 საკვალიფ. ჰაილაითის პროგრამა | | | | - |
| 10.2.5 | კალათბურთი- ევრო ბასკეტი | | | | - |
| 10.2.6 | რაგბის მსოფლიოო ჩემპიონატი | | 399,279 | | 399,279 |
| 10.2.7 | 2018 წლის მსოფ. ჩემპიონატი | | 6,580 | | 6,580 |
| 10.2.8 | The Five other events -კონფედერაციის თასი | | | | - |
| 10.2.9 | ევრო თასების ფეხბურთი | | | | - |
| 10.2.10 | რაგბის ერთა თასი | | | | - |
| 10.2.11 | 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი | 362,707 | | | 362,707 |
| **10.3** | **ქართული ფილმები** | **14,307** | **753** | **-** | **15,060** |
| 10.3.1 | ქართული ფილმების შეძენა | 14,307 | 753 | | 15,060 |
| 10.3.2 | კინოპროექტი | | | | - |
| **10.4** | **მიმდინარე გადაცემები** | **-** | **-** | **123,000** | **123,000** |
| 10.4.1 | პროდაქშენის ხელფასი | | | 123,000 | 123,000 |
| **10.5** | **ვიზუალური მომსახურება** | **1,935** | **12,963** | **7,182** | **22,080** |
| 10.5.1 | საპარიკმახერო | | | | - |
| 10.5.2 | კოსმეტიკა | | | | - |
| 10.5.3 | კოსტიუმები / რეკვიზიტები | 1,935 | 12,963 | 7,182 | 22,080 |
| 10.5.4 | სარეცხი საშუალებები | | | | - |
| **10.6** | **ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლები)** | **2,800** | **2,800** | **5,600** | **11,200** |
| 10.6.1 | ბოლნისი | 600 | 600 | 1,200 | 2,400 |
| 10.6.2 | ახალქალაქი | 600 | 600 | 1,200 | 2,400 |
| 10.6.3 | ნინოწმინდა | 600 | 600 | 1,200 | 2,400 |
| 10.6.4 | ზუგდიდი | 1,000 | 1,000 | 2,000 | 4,000 |
| **10.7** | **უცხოური ფილმები** | **19,602** | **190,014** | **72,464** | **282,080** |
| 10.7.1 | სერიალები | 19,602 | 122,001 | 38,303 | 179,906 |
| 10.7.2 | ანიმაცია | | | | - |
| 10.7.3 | კინო | | | | - |
| 10.7.4 | დოკუმენტური ფილმები | | 68,013 | 34,161 | 102,174 |
| **10.8** | **ევროვიზია (დიდების)** | **4,000** | **4,000** | | **8,000** |
| **10.9** | **ევროვიზია (პატარების)** | **8,002** | **3,921** | **6,261** | **18,184** |
| **10.10** | **ახალი სეზონისა და ახალი წლის ხარჯი** | | | **1,132** | **1,132** |
| **10.11** | **REUTERS TELEVISION LTD' საარქივო მასალის შესყიდვა** | **15,999** | | | **15,999** |
| **10.12** | **გადაცემებისთვის ფორმატების ლიცენზიის შესყიდვა** | | | | **-** |
| **10.13** | **დეკორაციები** | **164,281** | | | **164,281** |
| **11** | **ტექნიკური** | **365,302** | **518,447** | **462,696** | **1,346,445** |
| **11.1** | **ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი** | **14,000** | **14,000** | **28,000** | **56,000** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.1.1 | TULIX SISTEMS,inc | 14,000 | 14,000 | 28,000 | **56,000** |
| **11.2** | **კასეტებისა და ელემენტების შეძენა** | | | | **-** |
| **11.3** | **ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)** | **90,000** | **90,000** | **180,000** | **360,000** |
| **11.4** | **სატელიტის მომსახურება** | **13,063** | **-** | **114,413** | **127,476** |
| 11.4.1 | TURKSAT & AZERCOSMOS | 13,063 | | 114,413 | **127,476** |
| 11.4.2 | სხვა სატელიტური სეგმენტით მომსახურება | | | | **-** |
| **11.5** | **სატელეფონო კანალიზაციის ჭებში კაბელების გატარების იჯარა** | | | | **-** |
| **11.6** | **სტუდიების სპეც. განათება** | - | - | - | **-** |
| 11.6.1 | განათება (სტუდიური) | | | | **-** |
| 11.6.2 | გარე განთება | | | | **-** |
| 11.6.3 | საკონცერტო განათების შესყიდვა | | | | **-** |
| **11.7** | **ნათურები, ფილტრები** | **1,700** | | | **1,700** |
| **11.8** | **სერვერ რუმის მოწყობა** | - | - | - | **-** |
| 11.8.1 | სამშენებლო სამუშაოები | | | | **-** |
| 11.8.2 | პრეციზიული გაგრილების ბლოკი | | | | **-** |
| **11.9** | **ელექტრო მასალები** | | | | **-** |
| **11.10** | **ცენტრალური სააპარატოს შეცვლა** | | | | **-** |
| **11.11** | **ქუთაისისისა და პიკის ტექნიკის ინსტალაციის თანხა** | | | | **-** |
| **11.12** | **ვიდეო მიქშერები  და პლაზმა** | | | | **-** |
| **11.13** | **მობილური ჩართვის აპარატის შესყიდვა** | | | | **-** |
| **11.14** | **საოფისე ტექნიკა (>500ლ)** | - | **9,999** | **7,392** | **17,391** |
| 11.14.1 | კომპიუტერები | | 9,999 | 7,392 | **17,391** |
| **11.15** | **კონდენციონერების შეკეთება/შეძენა** | | **6,400** | | **6,400** |
| **11.16** | **ნიუსრუმი-საინფომრაციო სამსახური(არქივი)** | **67,830** | **207,360** | **-** | **275,190** |
| 11.16.1 | კომპიუტერული ტექნიკის შეძენა | 15,990 | | | **15,990** |
| 11.16.2 | კომპ. ტექნიკის გაუმჯობესება/მოდერნიზაცია | | | | **-** |
| 11.16.3 | ნიუსრუმის სისტემა და სერვერები | 51,840 | 207,360 | | **259,200** |
| **11.17** | **რადიოს ტექნიკის შეძენა-მოდერნიზაცია** | | | | **-** |
| **11.18** | **სარელეო ხაზებით მომსახურება** | | | | **-** |
| **11.19** | **პროგრამული უზრუნველყოფა ("კიბერნეტიჩესკი")** | **10,530** | | **5,285** | **15,814** |
| **11.20** | **ლიცენზირებული ანტივირუსული სისტემა** | | | | **-** |
| **11.21** | **საკომუნიკაციო არხების ქირავნობა** | **1,634** | **3,649** | **3,268** | **8,550** |
| 11.21.1 | თბილისი | 1,634 | 3,649 | 3,268 | **8,550** |
| **11.22** | **სტუდიური აუდიო მოწყობილობბები, მიკროფონები და აქსესუარები** | | **26,930** | **107,720** | **134,650** |
| **11.23** | **ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები** | **17,799** | **-** | **15,000** | **32,799** |
| 11.23.1 | შპს "TVC GEORGIA" | | | | **-** |
| 11.23.2 | შპს "ინოვატორი", "გურამექსი" | 17,799 | | **15,000** | **32,799** |
| **11.24** | **კამერები** | | **159,300** | | **159,300** |
| **11.25** | **ოპერატორის კრანის შეძენა** | | | | **-** |
| **11.26** | **კამერის ვაიერლეს სისტემის შეძენა** | | | | **-** |
| **11.27** | **საკაბელო არხების შეძენა** | | | | **-** |
| **11.28** | **კომპიუტერულის სათადარიგო ნაწილების შეძენა** | | | | **-** |
| **11.29** | **გახმოვანების შიდა წარმოების მოწყობა** | | | | **-** |
| **11.30** | **საინჟინრო განყოფილება** | | | | **-** |
| **11.31** | **ლიფტის შეძენა/მონტაჟი** | | | | **-** |
| **11.32** | **დაცვის სისტემების შეძენა მონტაჟი** | | | | **-** |
| **11.33** | **GPS ოპერატორი** | **809** | **809** | **1,619** | **3,238** |
| **11.34** | **PTS -ს იჯარა** | **147,936** | | | **147,936** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.35 | EBU-ს ახალი ამბების & რადიოს ქსელის შექმნის პროექტი | | | | - |
| 11.36 | თანამშ. რეგისტრაციის სისტემა "ტურნიკედი" | | | | - |
| 11.37 | პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება საკომუნიკაციო | | | | - |
| 12 | გადასახდელების დაფარვა | 90,000 | 232,957 | 21,440 | 344,397 |
| 12.1 | სახელმწიფო სესხი | - | - | - | - |
| 12.1.1 | ძირი | | | | - |
| 12.1.2 | საურავი | | | | - |
| 12.2 | (EBU) 2015 წლის საწევროს ხარჯი | - | - | - | - |
| 12.2.1 | EBU | | | | - |
| 12.2.2 | სხვა ორგანიზაციები | | | | - |
| 12.3 | უკუდაბეგვრის დღგ | | 1,125 | | 1,125 |
| 12.4 | დღგ | 90,000 | 206,795 | | 296,795 |
| 12.5 | ქონების გადასახადი | | | | - |
| 12.6 | მიწის გადასახადი | | | | - |
| 12.7 | მოგების გადასახადი | | | | - |
| 12.8 | (EBU) დავალიანების დაფარვა | | | | - |
| 12.9 | სხვა გადასახდელები | | | | - |
| 12.10 | საგადასახადო დავალიანება | | | | - |
| 12.11 | კრედიტორული დავალიანებები | | | | - |
| 12.12 | საავტორო უფლებები | | 25,037 | 21,440 | 46,478 |
| 12.13 | ბანკის სესხი | | | | - |
| 12.14 | სხვა მიმდინარე დავალიანება | | | | - |
| 12.15 | 26 მაისის ღონისძიება | | | | - |
| | სულ | 3,135,131 | 3,178,515 | 1,649,252 | 7,962,898 |

**ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ ეკონომიკური საქმინობიდან მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ**

საანგარიშო პერიოდი: 2015 წელი

ვალუტა: ლარი

| *შემოსავლები* | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ 2015 |
|---|---|---|---|---|
| სარეკლამო შემოსავლები | 162,726 | 143,727 | 113,518 | **419,972** |
| იჯარიდან შემოსავალი | 82,741 | 70,296 | 94,535 | **247,572** |
| ტექნიკის გაქირავება | 9,284 | 15,715 | 25,407 | **50,406** |
| სხვადასხვა შემოსავალი | 28,443 | 20,260 | 39,773 | **88,476** |
| **ჯამი:** | **283,194** | **249,998** | **273,234** | **806,425** |
| *ხარჯები* | | | | |
| **ადმინისტრაციული** | **21,332** | **33,234** | **1,176,407** | **1,230,974** |
| შრომის ანაზღაურება | 850 | - | 1,118,266 | **1,119,116** |
| პრემია | - | - | - | **-** |
| სოც. უზრუნველყოფა | - | 2,494 | 16,667 | **19,161** |
| მივლინებები | 5,614 | 1,000 | 4,400 | **11,014** |
| სამეორვეო საბჭო | - | - | - | **-** |
| სხვა ადმინ ხარჯები | 14,868 | 29,741 | 37,074 | **81,683** |
| **მარკეტინგი და გაყიდვები** | **6,504** | **2,484** | **4,005** | **12,992** |
| **საინფორმაციო** | **250** | **54,346** | **55,420** | **110,016** |
| **პროდიუსინგი** | **41,552** | **75,019** | **213,372** | **329,942** |
| **ტექნიკური** | **7,441** | **7,475** | **14,179** | **29,095** |
| **სხვა გადასახდელები** | **807** | **116** | **116,933** | **117,855** |
| **ჯამი:** | **77,885** | **172,674** | **1,580,316** | **1,830,874** |

## არქივი

**სამუშაოს აღწერა**

განხორციელდა არქივის სტრუქტურული ერთეულების მოდერნიზება და საშტატო სტრუქტურაში თანამდებობრივი პოზიციების დაზუსტება.

განხორციელდა არქივის ხელმძღვანელის გიორგი ჩართოლანის, ფინანსური ბლოკის ანალიტიკური სამსახურის უფროსის ვაჟა მაჭარაძის, ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ავთო ჩხაიძის და არქივის ხელმძღვანელის თანაშემწის შეხვედრა სამეურვეო საბჭოსთან.

სამეურვეო საბჭოსთან შეხვედრაზე არქივის ხელმძღვანელმა გააკეთა პრეზენტაცია, რომელიც მიმდინარეობდა 3 საათისა და 30 წუთის განმავლობაში არქივში არსებული მდგომარეობის და მომავალში მისი მოდერნიზაციის შესახებ. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო სრული პაკეტი, რაც შეიცავდა როგორც ტექნიკურ გადაიარაღების სამუშაოებს, ისე ახალი სტრუქტურის მოდელს. პრეზენტაცია მოიცავდა არსებულ ფონდებში დაცული მასალის გაციფვრისთვის საჭირო სამუშაოებს, ასევე არქივის საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის ჩასატარებელ ღონისძიებებს და მაუწყებლის არქივის პოპულარიზაციის სამუშაოებსაც. მათ შორის სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულოგიური პროექტებს, მარკეტინგულ სამუშოებს არქივის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით. პროექტებს ეთნიკური (მათ შორის აფხაზური და ოსური) მოსახლეობისთვის არქივის ფონდებში დაცული მასალის ადაპტირებული ვარიანტების შექმნას და ა. შ. ეს პროექტი დეტალურადაა განხილული და სრული სახით გადაგზავნილი სამეურვეო საბჭოსა და მენეჯმენტისთვის. პროექტი ასევე მოიცავდა არქივის მომავალი 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის სრულ პაკეტს, რომლის მიხედვითაც უნდა შედგენილიყო არქივის 2016 წლის ბიუჯეტი.

**რა არის სიახლე**

არქივის ცხოვრებაში ამ კვარტალში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი სიახლე, რაც მოიცავდა სოციალური პროექტის პრეზენტაციას. სმენადაქვეითებული მოსახლეობისთვის მოხდა არქივში დაცული ტელესპექტაკლის, თემურ ჩხეიძის "კუკარაჩს"

გატიტვრა. ჩვენ საკუთრი ძალებით მოვახდინეთ ამ ადაპტირებული სპექტაკლის პრეზენტაცია კინოთეატრ რუსთაველში, სადაც მოვიწვიეთ სმენადაქვეითებული საზოგადოება. პრეზენტაციაზე ეს საზოგადოება პირველად შეხვდა შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს- რეჟისორს თემურ ჩხეიძეს, მსახიობებს ნანი ჩიქვინიძეს და გოგი ქავთარაძეს. ამ პროექტს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში: ტელეკომპანია "იმედმა" და რადიო "იმედმა" თავის გადაცემებში მიიწვეს არქივის ხელმძღვანელი გიორგი ჩართოლანი და საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის შესახებ საუბარს. ასევე პრეზენტაციაზე ვრცელი სიუჟეტი მოამზადა ტელეკომპანია GDS-მა, თავის ცენტრალურ საინფორმაციო გამოშვებაში "20:30" . ბუნებრივია, ეს პროექტი გაშუქდა ჩვენი მაუწყებლის გადაცემებშიც,: "დილა პირველზე", "რეალური სივრცე", "კომუნიკატორი", "პიკის საათი".

ამას გარდა, ჩვენ ამ კვარტალში კიდევ ორი მასალა გავტიტრეთ სმენადაქვეითებულებისთვის : სატელევიზიო ფილმი "რეკორდი" და ტელესპექტაკლი "ჯაყოს ხიზნები".

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ კვარტალში დავიწყეთ მეორე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პროექტი მაუწყებლის აფხაზურენოვანი საიტისთვის, რომლის პრეზენტაციაც მოხდება 2016 წლის დასაწყისში. ამისთვის ჩვენ აფხაზურად გავახმოვანეთ თ. ჩხეიძის ცნობილი დრამატული სპექტაკლი "ჰაკი აძბა".

**მიმდინარე პროცესები**

გენერალური დირექტორის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს ფილმო ფონდში დაცული მასალების ხელახალი აღწერა და ელექტრონულ კატალოგში შეყვანა. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ რა მასალა არის ადგილზე, რა მასალა არის დაკარგული და გამოვიკვლიოთ მიზეზები, თუ როდის და სად გავიდა ამ ფონდიდან მასალა და რატომ არ დაბრუნდა ის ფონდში. ეს პროცესი დაიწყო 2015 წლის მეოთხე კვარტალში და გაგრძელდება 2016 წლის პირველ კვარტალშიც.

ამ კვარტალში დაიწყო მაუწყებლის საიტისთვის არქივის გვერდის შექმნა, სადაც განთავსდება ელექტრონული კატალოგი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება ნებისმიერი მასალის მოძიება, ნახვა და ელექტრონული განაცხადების შევსება.

ასევე მაუწყებლის საიტის აფხაზურენოვანი გვერდისთვის მოძიებულია და მიმდინარეობდა ციფრულ მატარებელზე გადატანა აფხაზური სუბტიტრებით გაკეთებული ქართული მხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმების. ვაწარმოეთ მოლაპარაკებები ამ ფილების ავტორებთან და 90% განაცხადა თანხმობა უსასყიდლოდ მათი ფილმების ჩვენს საიტზე განთავსებაზე. მიმდინარეობდა იურიდიული დოკუმენტის მომზადება ამ ავტორებთან ხელშეკრულებების გაფორმებისთვის. დავიწყეთ მზდება ამ საიტის პრეზენტაციისთვის, რომლის განხორციელებაშიც უნდა ჩაერთოს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურები და ამან უნდა მიიღოს სახელმწიფოებრივი რეზონანსი და მასშტაბი, როგორც ქართულ-აფხაზური კულტურული დიალოგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

დაწყებულია მუშაობა ვიდეოთეკასთან და არქივთან ელექტრონული კომუნიკაციის პროგრამის შექმნაზე. 2016 წლის პირველ კვარტალში დასრულდება ეს პროექტი და ნებისმიერ სატელევიზიო თუ რადიო პროგრამის ექნება ელექტრონული განაცხადების საშულებით მასალის მოთხოვნის შესაძლებლობა. ასევე ყველა პროგრამას (ტელევიზიაშიც და რადიოშიც) სამუშაო კომპიუტერიდან ექნება წვდომა არქივის მონაცემთა ერთიან ბაზაზე, რაც გაადვილებს და უფრო ოპერატიულს გახდის პროექტების მომზადებისთვის საჭირო მასალის მოძიებას, შერჩევას და მათზე განაცხადების გაკეთებას.

***ვიდეო ფონდი***

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, კინო და ძველი ვიდეომატარებლებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 785 ჩანაწერი - 693 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, – 472 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (55 მმ.) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებელზე 18 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით 18 სთ და 23 წთ. პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა, თარიღების დადგენა, დაზუსტება, დამატებითი დეტალების შეტანა, კორექტურის გასწორება და სხვ.).

***ფილმო-ფოტო ფონდი***

მწყობრიდან არის გამოსული 35 მმ. კინოფირების სკანერი. 16 მმ კინოფირებიდან გადაწერილია 58 დასახელების 103 ნაწ; საქართველოს ტელევიზიის 60-70-80 იანი წლების გადაცემები (უხმო და ხმოვანი), ციფრულ (DVCAM) მატარებელზე -17:16 სთ. აქედან: უნიკალური მონიტორული ფირებიდან- 7 დასახელების, 24 ნაწილი- 4 სთ. პარალელურად მიმდინარეობს: რედაქციების მიხედვით გადაცემების ბარათების შეტანა ელექტრონულ კატალოგში ( შეტანილია 1800 ბარათი), მასალების გამოვლენა, კატალოგთან შედარება; მასალების განიავება, დაზიანებული კოლოფების და სტიკერების შეცვლა.

კინოსაცავში ჩატარდა კინოფირების შერჩევითი ტესტირება ძმრის სინდრომზე (17 - 27.11.2015): ტესტები ჩაიდო( ბოქსებში და საერთო საცავებში) სპონტანური შერჩევით, 67 კოლოფში ცივ გარემოში (+4 C). შედეგი შემოწმდა 48 საათის შემდეგ (დაბალი ტემპერატურის გამო). ტესტები ჩაიდო თბილ (+20 C ) გარემოში, 3 კოლოფში, შედეგი შემოწმდა 24 საათის შემდეგ .

სულ შემოწმდა 70 კოლოფი (35 და 16 მმ. შ/თ და ფერადი ფირების ყველა სახეობა- (პოზიტიური , ნეგატიური, ლავანდა) და ასაკობრივი ჯგუფი. დაძმარების დასაწყისი სტადია ( 0 დან 1 მდე) გამოიკვეთა 26 ერთეულში. ტესტირებამ გვიჩვენა რომ ძველი , 60-იანი წლების კინოფირები მეტი მდგრადობით გამოირჩევიან (გაიტესტა 32 ერთ.) ვიდრე 80-იანი წლების კინო ფირები.

ასევე მეტი მდგრადობა დაფიქსირდა ფერად კინოფირებში (გაიტესტა 16 ერთ). ზამთრის პერიოდში ფირები ბუნებრივად აღმოჩნდებიან შესაბამის (გრილ პირობებში). გაზაფხულისთვის გარდაუვალი აუცილებლობაა საცავებში გაგრილების სისტემების მოწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზაფხულის სიცხე დააჩქარებს კინოფირების „დაძმარების" პროცესს.

კინო და ვიდეო საცავებში განვათავსეთ თერმომეტრები და ტენიანობის მაჩვენებლები და ვაწარმოებთ დაკვირვებას საცავების კლიმატზე.

***აუდიოფონდი***

გადაიწერა, გაიშიფრა, გაიციფრა 20 წუთიანი ნიმუშით და კატალოგში შევიდა 83°48' ე.ი. 49 GB მასალა, რომელიც გადაგზავნილ იქნა ერთიან მასივში ("სერვერში|). გაკეთდა CD დუბლიკატები, ნაწილი დუბლირებულია კარტრიჯებზეც

ფონდებში შემოვიდა მერაბ მამარდაშვილის ლექციების აუდიომასალა 24 მაგნიტოფირიანი კასეტა. ეს მასალა მოგვაწოდა მისმა ოჯახმა, რომელიც გაიციფრა და გამზადდა კატალოგში შესავანად

გაიშიფრა გადაცემები: "საღამო მშვიდობისა", გზა" და "რადიო "თავისუფლება 50 წლისაა. ასევე გადაცემა ემიგრანტ აკაკი რამიშვილზე

2015 წლისთვის სულ დამუშავდა 514°52' რაცის 308 GB მოცულობის მასალა. ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები-დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 8°85 ფაილი, რომელმაც შეადგინა 108 საათი.

***საინფორმაციო სამსახურის არქივი***

ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები-დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 8085 ფაილი, რომელმაც შეადგინა 108 საათი.

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 12 კასეტაზე, რაც შეადგენს 36 საათს, ანუ შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 100 ბარათი.

GDS -ამ ტელეკომპანიისთვის მოძიებული და გაცემულია 5 საათის მასალა.

დეკემბრის თვეში საინფორმაციო სამსახურის არქივიდან მასალა გაცემულია: საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის; „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილისთვის; საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდისთვის (სორქ ფონდი).

**რა პრობლემებია**

არქივი საჭიროებს დაუყოვნებლივ, სასწრაფო გადარჩენას, რომ ყოველ დღეს და ყოველ წუთს იღუპება უნიკალური ისტორიული და კულტურული ღირებულების მასალა და მალე ჩვენ დავრჩებით საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი ვიდეო მასალის გარეშე, იმ მასალის, რომელიც მხოლოდ ჩვენს ფონდებშია დაცული. დღევანდელი მდგომარეობითაც არსებული ტექნიკა ისეთ დღეშია, რომ ის შესაძლოა ყოველ წუთს გამოვიდეს მწყობრიდან, რაც სერიოზულად შეაფერხებს ეთერის წარმოებას. ამ ნაშრომშივეა აღწერილი თუ რამდენად მწირია ადამიანური რესურსი და, რომ არქივის თანამშრომლები ვერ აუდიან მოზღვავებული მასალის გაშიფვრას, გაციფვრას და დაარქივებას.

მოუწესრიგებელია ე.წ. "კომუნიკატორის" სტუდიაში მიმდინარე გადაცემების დაარქივება. ყველა ის გადაცემა (ასეთია 4 გადაცემა - "დილა პირველზე", რეალური სივრცე" "ბრაუზერი" და კომუნიკატორი"), რომელიც ამ სტუდიიდან მაუწყებლობს პირდაპირ ეთერში ვერ არქივდება იმის გამო, რომ ტექნიკურად არ არის უზრუნველყოფილი ამ მასალებისადმი არქივის წვდომა.

საინფორმაციო პროგრამა მოამბის 2008-2012 წწ. მასალა არის მხოლოდ DVD დისკებზე შენახული, რაც იმის საშიშროებას წარმოშობს, რომ ეს მასალა სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც განადგურდეს, რადგან ამ დისკებზე მასალის შენახვა დაუშვებელია.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა ფონდებში დაცული მასალების დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, რაც უნიკალური მასალას განადგურების საშიშროების წინაშე აყენებს.

## რის გაკეთებას აპირებდით და რა ვერ/ არ შესრულდა

პირველ ყოვლისა, ვაპირებდით დაგვეწყო მუშაობა იმ პროქტის რეალიზაციაზე, რომელიც შემქნა სპეციალურმა კომისიამ არქივის დაუყოვნებლივი რეაბილიტაციისთვის. ეს პროექტი უკვე წელიწადნახევარია არსებობს. ვაპირებდით ამ პროექტის ფარგლებში გაგვეკეთებინა არქივის სრულყოფილი სტრუქტურა. ეს სტრუქტურა მომზადებულია სრული პაკეტით - სამუშაოების აღწერით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, დაქვემდებარებებით და თანამშრომელთა კვალიფიკაციების მითითებით.

ვაპირებდით, რომ მოგვეხდინა არქივის სრული ტექნიკური აღჭურვა. ამის გამო, გვქონდა შეხვედრები კომპანია სონის წარმომადგენლებთან, რომლებსაც მსგავსი სამუშაოების წარმოების დიდი გამოცდილება აქვს. დავადგინეთ ამ კომპანიის მომსახურების ღირებულება, ასევე გაწერილია ზოგადად არქივის გაციფრების, ფონდების მასალების რეაბილიტაცია - რესტავრაციის და სხვა მრავალი სამუშაოსთვის საჭირო თანხების რაოდენობა და იმ შემთხვეაში, თუ სამეურვეო საბჭო გამოყოფდა შესაბამის თანხებს ვაპირებდით არქივის გადარჩენას და თანამდროვე მოდიფიკაციას.

ჩვენ მოვამზადეთ საგრანტო პროექტიც, რომელიც ვთარგმნეთ ინგლისურ ენაზე და დავუკავშირდით რამდენიმე ორგანიზაციას. მათ შორის პროექტს "კრეატიული ევროპა".

**სამომავლო ხედვები**

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, გარდა არქივის ფიზიკური გადარჩენის სამუშაოებისა.

არქივის უკვე გაციფრული მასალების საფუძველზე გვსურს წარმოებაში ჩავუშვათ სხვადასხვა სახის პროექტები:

*საგანმანათლებლო* - რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სასწავლო პროგრამების სრულყოფისთვის ჩვენს ფონდებში დაცული მასალის გამოყენებას;

*სოციალური* - რაც გულისხმობს შშმ პირებისთვის ფონდებში დაცული მასალების ადაპტაციას, ასევე საბავშვო სამედიცინო დაწესებულებებში ხანგრძლივად მყოფი ბავშვებისთვის საფონდო მასალების ადგილზე მიტანას, მასში მონაწილე პიროვნებებთან ერთად;

*ეთნიკური უმცირესობებისთვის* - ფონდებში დაცული მასალების ადაპტაცია აფხაზურ და ოსურ ენებზე, ასევე სხვა ეთნიკური უმცირესობების ენებზე;

*საერთაშორისო* - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მსოფლიოში აღიარებული ხელოვანების ნიმუშების, რომლებიც დაცულია ჩვენს ფონდებში, რეტროსპექტულ ჩვენებას მასტერკლასებით და ვორქშოპებით;

ევროპის საზოგადოებრივი მაუწყებლების არქივების საერთაშორისო ფესტივალის მოწყობას, სადაც თითოეული ქვეყნის პავილიონში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის მაუწყებლის უნიკალური საარქივო მასალა. ეს საქართველოს ევროპულ ქვეყნებთან დიალოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება და ჩვენი კულტურის და ისტორიის ევროპული ქვეყნებისთვის გაცნობას ისახავს მიზნად.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ

- ☐ დასაქმდა 95 პიროვნება,
- ☐ სამსახურიდან გათავისუფლდა 24 თანამშრომელი.
- ☐ სტაჟირება გაიარა 2 ადამიანმა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ თვეების მიხედვით:

| | თანამშრომელთა რაოდენობა | კონტაქტორი | განთავისუფლება (კონტაქტორი) | მიღება (კონტაქტორი) | სტაჟირება |
|---|---|---|---|---|---|
| ოქტომბერი | 1071 | 1071 | 10 | 17 | 2 |
| ნოემბერი | 1108 | 1108 | 8 | 45 | 0 |
| დეკემბერი | 1135 | 1135 | 6 | 33 | 0 |

2. საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოები

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში არსებული მუდმივი პროცესები:

- ☐ ყოველდღიური მიმდინარე სამუშაოები: თანამშრომელთ მიღება, გათავისუფლება და გადაადგილება, შრომითი ხელშეკრულებების გაგრძელება, შვებულებების გაფორმება, სხვადასხვა ტიპის ბრძანებების გამოცემა, შემოსული წერილების პასუხის მომზადება და სხვა;
- ☐ პერსონალის საბანკო ბარათებით უზრუნველყოფა (თვის განმავლობაში სახელფასო პროექტზე მომუშავე ბანკის ოფიცერს ორჯერ ეგზავნება დაზუსტებულ მონაცემები ახალი თანამშრომლების შესახებ და ხორციელდება მონიტორინგი რათა შეუფერხებლად გაიხსნას სახელფასო ანგარიშები და დროულად მიეწოდოს ბუღალტერიას საბანკო რეკვიზიტები).

☐ განხორციელდა სადაზღვევო პოლისების ბაზების განახლება და ახალი ბარათების დარიგება;

☐ ყოველთვიურად გაეგზავნა სადაზღვევო მონაცემები ბუღალტერიას, სადაზღვევო კომპანიას და ჯანდაცვის სამინისტროს. აღნიშნულ საანგარიშებო პერიოდში სადაზღვეო მონაცემები შეადგენს შემდეგს:

2015 წლის IV კვარტალში შპს '"სადაზღვევო კომპანია ალფა" და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის 2015 წლის 3 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაზღვეულ პირთა რაოდენობა შეადგენს:

ოქტომბრის თვე -1054 დაზღვეული

ნოემბრის თვე - 1060 დაზღვეული

დეკემბრის თვე -1096 დაზღვეული

☐ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში დამზადდა და გაიცა როგორც სახელფასო, ასევე საელჩოში წარსადგენი, სტაჟის შესახებ და სტაჟირების შესახებ ცნობები (ქართულ, ინგლისურ ენებზე):

დამზადდა- 183 ცნობა; აქედან გაიცა- 109;

ადამიანურირ ესურსების მართვის სამსახურში განხოპრციელებული სიახლეები:

☐ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ გამოცხადებულმა რეორგანიზაციის პროცესმა, გამოიწვია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ დამატებითი სამუშაოების ჩატარება, კერძოდ: 2015 წლის 6 ოქტომბრიდან სტრუქტურის ძირეული ცვლილების გამო უმოკლეს ვადაში მომზადდა და შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში არსებული პროგრამული უზრუნველყოფისთვის როგორც ახალი კლასიფიკატორი, ისე კოდირების სისტემა. ეს ცვლილებები შეეხო ყველა მომსახურე პერსონალს, რომელიც უნდა ასახულიყო ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში და მონაცემთა ბაზებში. სტრუქტურის ცვლილებამ საჭირო გახადა ასევე თითქმის ყველა თანამშრომლისთვის ახალი სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად განახლებული ხელშეკრულებების დამზადება ან შეთანხმებების დადება.

☐ IV კვარტალში შიქმნა და დაკორექტირდა საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ბაზა, მიმართულებების, ბლოკების და თანამდებობების მიხედვით ინგლისურ და ქართულ ენაზე, რის საფუძველზეც დაიბეჭდა მაუწყებლის თანამშრომელთა საშვები.

☐ მომზადდა დოკუმენტი, რომელშიც გაიმიჯნა შეთავსების მქონე თანამშრომლების ხელფასები. დიდი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით პროგრამისტთან ერთად შემუშავდა სპეციალური ანოტაციები შეთავსების მქონე თანამშრომლებისთვის.

☐ 2015 წლის ოქტომბერში გამოცხადდა ვაკანსიები ვებ-პროგრამისტის და ვებ-დიზაინერი ვაკანსიებზე.

☐ ვაკანსიები განთავსდა www.jobs.ge -ს ვებ-გვერდზე, hr.ge-ზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge , facebook-ის ოფიციალურ გვერდზე და itnews.ge;

☐ შეიქმნა ვებ-პროგრამისტის და ვებ-დიზაინერის შესარჩევი კომისია;

☐ გადაირჩა აპლიკაციები და მიეწოდა შესაბამისის სამსახურის უფროსს;

☐ დაიგეგმა გასაუბრებები შერჩეულ კანდიდატებთან;

☐ გაკეთდა შემაჯამებელი ოქმი;

☐ საზოგადოებრივ მაუწყებელში გამოცხადდა ვაკანსია პრეს-სპიკერის ვაკანსიაზე.

☐ შეიქმნა პრეს-სპიკერის შესარჩევი კომისია;

☐ გადაირჩა აპლიკაციები და მიეწოდა შესაბამისის სამსახურის უფროსს;

☐ დაიგეგმა გასაუბრებები შერჩეულ კანდიდატებთან;

☐ ჩატარდა შერჩევის პირველი ტური- გასაუბრება;

☐ დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია Eurovision Academy ტრენინგ ცენტრის ტრენერების და ტრენინგის მონაწილეების შეხვედრას სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესაჯამებლად. განხორციელდა Eurovision Academy-ს ფარგლებში მიმდინარე ტრეინინგის ორგანიზება.

☐ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სრული ორგანიზებითა და მხარდაჭერით EBU-ს წარმომადგენელთან ერთად შეჯამდა ტრეინინგების მსვლელობა. შემაჯამებელი შეხვედრისთვის მომზადდა და ითარგმნა დოკუმენტაცია. დასკვნით შეხვედრაზე ტრენერებთან ერთად შეფასდა ტრენინგის თითოეული მონაწილე. ასევე, დაიგეგმა მომავალი ტრენინგის კურსი და კონკურსის საშუალებით შეირჩა შემდეგი კურსის მონაწილეები. შედგა ტრენინგების მიახლოებითი გრაფიკი.

☐ საზოგადოებრივი მაუწყებელში არ არსებული მოწესრიგებული სტაჟირების პროგრამის გამო, შემუშავდა სპეციალური 20 გვერდიანი დოკუმენტი „სტაჟირების პროგრამა საზოგადოებრივ მაუწყებელში“, სადაც დეტალურად გაიწერა სტაჟიორების მიღების პროცედურა და პროგრამის ეფექტური მართვის დეტალები.

☐ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ორმა თანამშრომელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესში, რომელიც დაიწყო ნოემბერში.

☐ განხორციელდა საახალწლო საჩურებისთვის დამატებითი მომსახურების გაწევა. კერძოდ, თანამშრომლებისთვის საჩუქრების დახარისხება, შეფუთვა და გაცემა.

☐ 2015 წლის დეკემბერში მოწვეული კონსულტანტებთან ერთად მოხდა სამუშაო აღწერილობების სამოქმედო გეგმის შემუშავება. შეხვედრების დაგეგმვა და საორგანიზაციო

საკითხების მოგვარება.  სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით დაიგეგმა შეხვედრები თანამშრომელთან.  სამუშაო აღწერილობებისთვის ჩატარებული სამუშაოები მოიცავდა შემდეგს:

•	პირველ ეტაპზე შეხვედრები ჩატარდა მულტიმედია ბლოკის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებთან. შეხვედრების მიზანი იყო მულტიმედია ბლოკისთვის დებულების მომზადება. აღნიშნული მიზნის შესასრულებლად ჩატარდა 13 შეხვედრა. ამავე მიზნით, ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკში შეხვედრები განხორციელდა სამსახურის ხელმძღვანელებთან - 11 თანამშრომელი.

•	შეხვედრების  მეორე ეტაპი ემსახურებოდა მულტიმედია ბლოკის თითოეული პოზიციისთვის სამუშაოს აღწერის მომზადებას. აღნიშნული მიზნით, შეხვედრები განხორციელდა მულტიმედია ბლოკის 60 თანამშრომელთან.

•	2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემუშავებული იქნა: 56 სამუშაო აღწერა (მულტიმედიის ბლოკის ყველა პოზიცია), მულტიმედია ბლოკის დებულების სამუშაო ვარიანტი და ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დებულების სამუშაო ვარიანტი.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში არსებული გამოწვევები:

საზოგადოებრივ მაუწყებელსი მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესის გამო ხორციელდება ბევრი საკადრო ცვლილება ( თანამშრომლების გადაყვამა, სახელფასო სარგოს ცვლილება, თანამშრომლების აყვანა და განთავისუფლება), რაც ზრდის არსებულ პოროცესემთან დაკავშიორებულ საკითხების განხილვის აუცილებლობასა და შესაბამისი საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას. აღნიშნული პროცესებზე კი სამსახურის შრომითი რესურსის საკმაოდ დიდი წილი იხარჯება. შესაბამისად, ვერ ხერხდება საკმარისი რესურების დათმობა თავად სამსახურის რეორგანიზაცია-გვანვითარებისთვის.

დიდი მოცულობის სამუშაოს მომზადების გამო შეფერხდა დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიების  შენახვის, პროგრამაში ინფრომაციის შეყვანის პროცესი,  რაც დღემდე გრძელდება მიმდინარე საქმეებთან ერთად.

განხილულ იქნა „სტაჟირების პროგრამა საზოგადოებრივ მაუწყებელში“. აღნიშნული პროგრამა მისაღები აღმოჩნდა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, მაგრამ მისი ძალაში შესვლა დროებით გადაიდო რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე.

## იურიდიული სამსახური

*1. ხელშეკრულებების შესახებ*

2015 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 285 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

*2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ*

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2015 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1. | **ფ/პ ფიქრია მიქაბერიძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (ყოველთვიურად 700 ლარის ოდენობით 2010 წლის 30 დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე) და სამუშაოზე აღდგენა | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ასევე სახ. ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა მოსარჩელის, ხოლო, 609 ლარის გადახდა - სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ**<br>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით<br>**_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.04.2014წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი**<br>_ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.<br>**_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ იმ ნაწილში, რაც ეხება სასარჩელო მოთხოვნას განაცდურის ანაზღაურებისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების თაობაზე, ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.**<br>**_ საქმეზე ჩატარდა სააპელაციო სასამართლოს სხდომა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი, კერძოდ:**<br>• **ფიქრია მიქაბერიძეს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.**<br>• **რაც შეეხება კომპენსაციას, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ფ. მიქაბერიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის სახით თანხის ანაზღაურება დაახლოებით 26 000 ლარის ოდენობით (დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ შეგვეძლება კონკრეტული ოდენობის ზუსტად მითითება)** |
| 2. | **ფ/პ გიორგი იასაშვილი** | სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი) | _ აღნიშნული მოთხოვნით სარჩელები შეტანილი იქნა როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.<br>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, მის წარმოებაში არსებული სარჩელი განცხადობით გადააგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად.<br>_ შესაბამისად, გ. იასაშვილის 5 (ხუთი) სარჩელი (დაზუსტებული სარჩელები) იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.<br>_ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო 2015 წლის 3 ნოემბერს რომელიც გადაიდო იმ მიზეზით, რომ საქმე დაეწერა სხვა მოსამართლეს.<br>_ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა. |
| 3. | **ფ/პ მამუკა გერმანიშვილი** | სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. |
| 4. | **ფ/პ გიორგი ბაქრაძე** | სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო 2015 წლის 4 ნოემბერს, რომელიც გადაიდო განუსაზღვრელი ვადით.<br>_ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მოსამზადებელი სხდომა. |
| 5. | **ილია ნატროშვილი** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნულია 2016 წლის 5 აპრილს. |

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2015 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1. | **შპს "ტელეკომპანია პიკ"** | 1.<br>ა) მატერიალური ზიანის სახით 137 237,35 ლარის დაკისრება;<br>ბ) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის საიჯარო დავალიანების და პირგასამტეხლოს ანაზღაურება<br><br>2.<br>შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა სასამართლოში აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 63 470,55 ლარის დაკისრება | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.04.2014წ. გადაწყვეტილებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, შპს "ტელეკომპანია პიკ"-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. შედეგად:**<br>• გაიქვითა სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" და შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს შორის არსებული მოთხოვნები და ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 73 766,80 ლარის ოდენობით<br>• შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 448,92 ლარის და 92 032,24 ლარის გადახდა<br>• შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 310 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად<br>• სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შპს "ტელეკომპანია პიკ"-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 905 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად<br><br>_ შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.<br>**_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.** კერძოდ, შემცირდა მხოლოდ მოპასუხეზე დაკისრებული საიჯარო ქირის თანხები და მოპასუხეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა #47-1 საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე 999,46 ლარის და #26-7 საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე _ 63 483,83 ლარის გადახდა. შესაბამისად, განისაზღვრა საპროცესო ხარჯებიც დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.<br>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.<br>**_ საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად, დასრულდა საქმის წარმოება.** |
| 2. | **შპს "აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი"** | სასპონსორო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების - 3 000 აშშ დოლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სასარგებლოდ დაეკისრა:**<br>1) 2 500 აშშ დოლარი;<br>2) 1 747,50 აშშ დოლარი;<br>3) პირგასამტეხლო 2014 წლის 16 მაისიდან აღსრულებამდე 2 500 აშშ დოლარის 0,01%-ის ოდენობით<br><br>_ სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობები პირგასამტეხლოს და საპროცესო ხარჯების დაანგარიშების ნაწილში, რომლის გამოსწორების თაობაზე სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" განცხადებით მიმართა სასასამართლოს. **სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | **დაკმაყოფილდა**<br>**_ სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებლის" მიერ შეტანილი იქნა ასევე სააპელაციო საჩივარი.**<br>**_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სახ. ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი იქნა ხარვეზი, რაც სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გამოსწორებულია.**<br>**_ შესაბამისად, საქმე იმყოფება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში** |
| 3. | **შპს "გრინ ბილდინგ"** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების 4 986,17 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება, ასევე, მატერიალური ზიანის სახით 2 146,09 დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ძირითადი დავალიანების ნაწილში სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. რაც შეეხება, პირგასამტეხლოს ნაწილს, სასამართლო გეგმავს ჩანიშნოს სხდომა და ზეპირი განხილვის შედეგად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება |
| 4. | **ფ/პ ადა მჭედლიძე** | გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 1 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, მოპასუხეს სრულად დაეკისრა ძირითადი დავალიანების გადახდა. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, მისი ოდენობა შემცირდა და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი დავალიანების 0,01%-ის ოდენობით.<br>_ სასამართლო გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა.<br>_ ამ ეტაპზე უცნობია, გასაჩივრდა თუ არა სააპელაციო წესით სასამართლო გადაწყვეტილება თავად მოპასუხის მიერ. |
| 5. | **შპს "ბიოფუდჯორჯია"** | სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 2 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია კერძო საჩივრით.<br>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.<br>_ შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" უფლებამოსილია კვლავ წარადგინოს სარჩელი მოპასუხის მიმართ. |
| 6. | **შპს "ამპლიტუდა"** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 3 744,98 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ძირითადი დავალიანების ნაწილში სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. რაც შეეხება, პირგასამტეხლოს ნაწილს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასამართლო გეგმავს ჩანიშნოს სხდომა და ზეპირი განხილვის შედეგად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება |
| 7. | **შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 2 275,69 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 8. | **შპს "Georgian Water & Company"** | სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნულია 2016 წლის 11 მარტს. |
| 9. | **შპს "ავტოლუქსი"** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 1 897,48 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 10. | **შპს "საზოგადოებრივი** | სასპონსორო მომსახურების | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **კოლეჯი 21-ე საუკუნე“** | ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 2 546,98 აშშ დოლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 11. | **შპს “ეკვატორი“** | სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 700 აშშ დოლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 12. | **შპს “ჯეოსერვისი“** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 3 799,32 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 13. | **შპს “კრეატივ ქორნერი“** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 1 388,10 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |

2.3.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააღსრულებო ფურცლები მოვალეების: **შპს “კიკალა სტუდიო ტვ“-ს, შპს “ნიუ-რაციოს“, შპს “ეი-სი ჯგუფი“-ს, “სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი“-ს, შპს “ფვენიქსის“, შპს “კინოსტუდია სანგუკო“-ს, შპს “რაქი“-ს, შპს “ლაივ პრომო“-ს, შპს “ტელე-რადიოკომპანია ტვ-7“-ის, შპს “ნონეიმ სტუდიო“-ს, შპს “მილ პოინტი“-ს, შპს “ნ და გ კომპანის“, შპს “S.T. იმპორტი“-ს, შპს “აიბი გრუპი“-ს, ი/მ თამარ კოპალიანის** და **შპს “მედია ჯგუფი“-ს** მიმართ.
- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს “სქაი ჯორჯია“-ს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ შპს “სქაი ჯორჯია“-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**.
  იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს “სქაი ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.
  **კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოწვეულ იქნა ა/წ 21 ოქტომბერს. იმის გამო, რომ კრედიტორთა კრებას არ ესწრებოდა კრედიტორთა 51%, კრება გადაიდო ა/წ 28 ოქტომბერს.**
  **განმეორებითი კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩატარდა ა/წ 28 ოქტომბერს.**
  **სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.**
  **აღნიშნული წარმოება მიმდინარეობს და ამ ეტაპზე დასრულებული არ არის.**

***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2015 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 12 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 4 განცხადება (ამასთან, 1 განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტება), 1 განცხადება არ დაკმაყოფილდა, 3 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 4 განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

***4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ***

*ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ*

1.

2015 წლის 29 ოქტომბერს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გიორგი იასაშვილმა.

ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ მან 2015 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ: სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2003 წლის ბრძანება სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე, რაზეც მას სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2015 წლის 20 ოქტომბრის #3745/02 წერილით ეცნობა იმის შესახებ, რომ გ. იასაშვილის განცხადებაში აღნიშნულ პერიოდში საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ ბრძანება არ გამოცემულა. გ. იასაშვილის აზრით, აღნიშნული განმარტება არასწორია და ის მომზადებულია და გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების უხეში დარღვევით, რის გამოც, ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60(1).1. მუხლის შესაბამისად.

გ. იასაშვილმა ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ 2015 წლის 20 ოქტომბერს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი #3745/02 და დაევალოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს გ. იასაშვილს 2003 წლის სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის დამოწმებული ასლი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.

2015 წლის 25 დეკემბერს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გიორგი იასაშვილმა.

ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ მან 2015 წლის 16 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის #727-კ ბრძანების საფუძვლის, ხელშეკრულების მიწოდება, რომელიც მისი აზრით დაედო საფუძვლად მის გადანაცვლებას სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებაში, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის გამოც, გ. იასაშვილი ითხოვს ა) ბათილად იქნას ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2015 წლის 22 დეკემბრის #4820/02 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ბ) დაევალოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, გ. იასაშვილს მიაწოდოს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის #727-კ ბრძანების საფუძველი, კერძოდ, გიორგი იასაშვილსა და სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობას" შორის დადებული შრომის ხელშეკრულება, რაც საფუძვლად დაედო სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" ტელეკომპანია მე-2 არხიდან სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" პირველი არხის "სხვადასხვა მომსახურე განყოფილებაში" გიორგი იასაშვილის გადანაცვლებას.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

*ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ*

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2015 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

***5. სხვა საკითხების შესახებ***

გარდა ზემოაღნიშნულისა, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს ამზადებს სამართლებრივ აქტებს და მათ პროექტებს (წერილებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას, შინაგანაწესს, შიდა ნორმატიულ აქტებს და ა.შ.); ამზადებს ხელშეკრულებებს; გასცემს საჯარო ინფორმაციას (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი არის საზოგადოებრივი მაუწყებლის იურისტი); შესაბამისი იურისტის/იურისტების საშუალებით ახორციელებს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წარმომადგენლობას სასამართლოებში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში.

**მაუწყებლობის და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი**

1. პირველ სტუდიის სააპარატოში დემონტაჟი გაუკეთდა SD ფორმატის ვიდეო მიქშერს და მონიტორების სტელაჟს.
2. სტუდიის სააპარატოში დამონტაჯდა გურამექსის ფირმის წარმოების ახალი HD ფორმატის ვიდეომიქშრერი.
3. სააპარატოში დამონტაჟდა ახალი მონიტორების სტელაჟი Sonys წარმოების რვა ცალი 40 დიუმიანი HD ფორმატის მონიტორებისაგან.
4. სააპარატოში დამონტაჟდა Evertz-ის და AJA-ას წარმოების SD/HD ფორმატების კონვერტერები და LES-ის წარმოების SD to Pal კონვერტერების კალათი.
5. პირველ სტუდიის სააპარატოში განთავსებულ DVCam-ის ფორმატის მაგნიტოფონებში დამონტაჟდა ციფრული SDI შემავალ-გამომავალი პლატები.
6. სააპარატოში ასევე დამონტაჟდა HD SDI ფორმატის ორი ვიდეო სიგნალის ჩამწერი MAC-ის კომპიუტერი.
7. პირველ სტუდიის სააპარატოს უწყვეტი კვების მოწყობილობაში გამოიცვალა 20 ცალი აკუმულატორების ბატარეა.
8. ოც-ოცი ცალი აკუმულატორების ბატარეების კრებული.ასევე გამოიცვალა ცენტრალურ სააპარატოში და „ც“ სტუდიის სააპარატოში.განთავსებულ უწყვეტი კვების მოწყობილობებში.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი, პირველი არხის პროგრამების ინტელექტუალურ, ავტომატიზირებული მედია მენეჯმენტის მართვის სისტემური უზრუნვეყოფისათვის, არსებული სამონტაჟო, გარე და სტუდიური გადაღებების, სტუდიის სარეჟისორებისა და სოციალური ქსელების ინტეგრაციისათვის, ინტერნეტ საშუალებების პირდაპირ ეთერში გამოყენებისათვის და საარქივო, სასერვერო სისტემების განვითარებისათვის.